ლიტერატურული გაზეთი

№102 2 აგვისტო - 5 სექტემბერი 2013 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 50 თეთრი



მარიამ წიკლაური

ღვთისსახელავ

როგორ გინდა,
მომიარო, დამასვენო, ამომასუნთქო.
მოდიხარ ხოლმე უხმაუროდ,
ფეხაკრეფით ეშვები მთიდან
და გამჭვირვალე ნაბიჯებით მიახლოვდები...
ჰაერივით მივსებ დაღლილ ძველ სამოსახლოს,
ნიავივით მაცოცხლებელ ჩქერებს მოაპობ
არაფრობიდან ამოსული,
მკლავებს ისე დაიკაპიწებ, არცა მკითხავ,
სად ფქვილია, სად ხმელი ფიჩხი,
როდის უნდა ჩააკრა პური,
როდის კვალი გაიტანო ჩემს ყანაში,
არცა მკითხავ, წყაროს წყალზეც ისე ჩადიხარ,
მე ჯერ კიდევ ძილის ფიჭა მიდგას თვალებში...
როდის უნდა დაჯდე, დაღლილმა
როდისღა უნდა დაასვენო შენივე თავი,
ღვთისსახელავ – ჩემო კვირადღევ...

IV-V

გიორგი ლობჟანიძე

ჩემი ფანჯრებიდან

ფრაგმენტები

* * *

საფლავზე ორ დღეში ერთხელ მაინც გავდივარ. ისეთი გაგულისებით ვგლეჯ ამოსულ ბალახებსა და სარეველებს, თითქოს ამათი ბრალი იყოს ყველაფერი. თითქოს რამეს გააწყობდე ადამიანი მიწის გულიდან ამოხეთქილ ამ სიცოცხლესთან, რომელიც შენი მშობლების მკერდიდან იზრდება და მზისაკენ მიიწევს.

ხანდახან ვფიქრობ, იქნებ ეს დედაჩემის თითებია, რომლებიც ასე მებღაუჭებიან და ცდილობენ, რაღაც გამაგებინონ მარადისობაზე.

ყველა ბალახისა და ყვავილის სახელიც სწორედ დედისგან ვიცი. მთელი სოფლის მინდვრები ერთად გვაქვს დავლილი და ყოველთვის მიკვირდა, როგორ არჩევდა ამდენ მცენარეს, საიდან იცოდა და ახსოვდა თითქმის ყველა ყვავილის სახელი.

ერთხელ, გაზაფხულზე საგანგებოდ წამიყვანა ბაღში, რომ ეჩვენებინა, როგორ იძინებენ გვირილები. მზე ნელნელა ჩადიოდა და გვირილებიც მზესთან ერთად ხუჭავდნენ თვალებს. მე და დედაჩემი კი ვიდექით და ამ საოცარ სანახაობას შევცქეროდით. მაშინ რატომღაც ძალიან დამასევდიანა ამ ამბავმა. სახლში რომ მოვედით, ოთახში ჩემთვის შევიკეტე და ტირილი დავიწყე.

საერთოდ, უცნაურია ბავშვობის, ბავშვის სიმარტოვე, მე მგონი, ყველა ასაკის სიმარტოვეზე უფრო გაუსაძლისი და აუტანელი, რაკიღა რასაც გრძნობ, სწორად ვერ გამოგითქვამს და გულში იბრუნებ დარდს, რომელიც შენს არსებაში ყველა ჩამავალ მზეს, თითქმის ყოველ დაისს შემოჰყვება.

დედაჩემი შინაგანად ძალიან გულჩვილი ადამიანი იყო, მაგრამ ვერ იტანდა დარდის ხმამაღალ გამომჟღავნებას ვერც ქალისგან და, მამაკაცისაგან ხომ ასეთი რამ, საერთოდ, დაუშვებლად მიაჩნდა. იშვიათად მახსოვს წყობიდან გამოსული და წონასწორობადაკარგული. ფიზიკურ ტკივილზეც ხმის ამოღება არასდროს სჩვეოდა. ბოლოსაც, ნაღვლის ბუშტი გაუსკდა, მაგრამ თურმე ისე ითმენდა ამ ტკივილებს, რომ სანამ ლოგინად არ ჩავარდა, უფრო სწორად, სანამ არ წაიქცა, ვერავინ, —ამდენი შვილიდან— ვერცერთმა ვერაფერი გავიგეთ...

პირიქით, იმ დღეებში ჩემს დას, ირმას ბიჭი ეყოლა და დედა ასეთი ტკივილებით მაინც ჩავიდა რუსთავში ჩვილის სანახავად. თან თავისი შეკერილი ლოგინი ჩაუტანა და იქიდან მობრუნებული სიხარულით ბრდღვიალებდა.

მეორე დღეს გარდაიცვალა.

მე მაშინაც სოფელში ვიყავი. ჩემს დებს, მდგომარეობის გაუარესება რომ დაუტყვიათ, ერთი ჩვენი ნათესავი გამოუგზავნიათ მანქანით, სასწრაფოდ გიორგი მოიყვანეთ, ეგება დედას ცოცხალს მოუსწროსო.

მე რომ მივედი, დედა უკვე გონზე აღარ იყო. მამაჩემსა და ჩვენს სხვა გარდაცვლილებს ელაპარაკებოდა. წამით თუ მოვიდოდა ჩვენკენ, უკვე ვეღარ გვცნობდა. მხოლოდ იმას იძახდა: „ღმერთო, რა საცოდავად ვტოვებ გიორგისა და ჩემს შვილებსაო!"

პალატიდან გარეთ გამომიშვეს. საავადმყოფოს დერეფანში ვიდექი და წარმოსახვაში გვირილების უზარმაზარ მინდორს გავყურებდი...

მზე ჩადიოდა და გვირილები ნელნელა იძინებდნენ...

VI-VII

რუსუდან რუხაძე

თავიკაცი

„შენ დარჩი!“ — ველოდი, რომ ხანგრძლივი თათბირის შემდეგ ირაკლი ჩემთან ცალკე მოისურვებდა საუბარს. ნინკამ ტუჩები მოპრუწა: შე საბრალოო — პეპლებიანი ბლოკნოტი მკერდზე მიიკრა და პირველმა დატოვა შეხვედრის ოთახი. როგორც კი დაცარიელებული ყავის ჭიქებით სამზარეულოსკენ გაიკრიფა ყველა, თავისებურად დაიწყო:

— მაოცებ, არჩილ! ასე თუ გაგრძელდა, იძულებულს გამხდი, განყოფილება სხვას ჩავაბარო. ჰო ნახე, რა გამოვიდა აუდიტის შედეგებით? კადრების შერჩევაშია მთავარი შეცდომა დაშვებული!

— მესმის, მაგრამ სამსახურში მიღების პროცედურები ამ კომპანიაში ჩემი მოგონილი არ არის, — წარუმატებლად ვცადე თავის დაძვრენა.

— არჩილ, ჩემო კარგო! თუ რამეა შესაცვლელი, ამაზე ინიციატივასაც შენგან ველი. მეტი უნდა ვიფიქროთ თანამშრომლების მოტივაციაზე, ზოგისთვის შეიძლება სულაც მაგიდის ფანჯრისკენ მიბრუნება აღმოჩნდეს საკმარისი. არ ვიცი, არ ვიცი...

უფრო ვრცელი შეხვედრა ხვალინდელი დღისთვის გადავდეთ, ხასიათი დილიდანვე წამიხდა, სხვების წახალისებაზე კი არა, ჯერ საკუთარზე უნდა მეზრუნა. აივანზე გავედი მოსაწევად. „რაო, რაო?“ — ამეკიდა ნინკა. „არაფერი“, — ცივად მოვუჭერი და სამ ნაფაზში ჩავაქრე სიგარეტი. ამჯერად ხელში მურაკამის „ნორვეგიული ტყე“ ეჭირა. სულ წიგნების გაცვლათხოვებაშია. სამ-ოთხ დღეში შეუხსენებლად აბრუნებს. „წავიკითხე,“ — დაადგება ხოლმე წიგნის პატრონს ანაკონდას გამომეტყველებით, დაქუცმაცების გარეშე რომ ჰყავს გამომწყვდეული მსხვერპლი მის სხეულში. არასოდეს გამოუთქვამს აზრი წაკითხულზე და არც მის წაბლისფერ თვალებს დატყობია ოდესმე დაღლა, ცასავით მოკრიალებული აქვს სკლერები.

კაბინეტში მივბრუნდი. ისევ აუდიტის ანგარიში გადავფურცლე. გუშინაც ვერ დავუდე გული და ამიტომაც იყო, რომ თათბირზე წესიერად თავი ვერ დავიცავი. ჰალსტუხი შევიხსენი და ტელეფონს დავხედე. გამოტოვებულ ზარებს ჩავყევი. აქედან სამი მიშასი იყო, სოფელში ჩვენ ეზოებს ტრიფოლიატის ღობე ყოფს ალაგალაგ. ცუდი არაფერი მიფიქრია, მაგრამ კარგადაც არ მენიშნა. დავურეკე და არც მომსალმებია, პირდაპირ მომახალა:

— აღარაა, ბიჭო, ბაბუაშენი... — ქალების ხმაური ერეოდა მიშას ხმას.

— რას ამბობ, მიშა?! — სავარძლიდან წამოვხტი.

— ჰო... მამაშენს არ ვაგებინებ, სანამ ეგ დუნიას შემოუფრენს და ჩამოვა, ორმოცის დრო მოუვა ცხონებულს.

— როდის გარდაიცვალა? — ისევ ჩავეშვი სავარძელში.

— ასე, ორი საათის ამბავია...

— ახლავე გამოვდივარ! — საათს დავხედე.

— გელოდებით, აბა! — თავისი სათქმელი დაასრულა და ტელეფონი გათიშა.

რამდენიმე წუთში ისევ დარეკა. „ფრთხილად იარე, ბიძიკო, აღარსადაა გამქცევი ბაბუაშენი“, — მთლად მომიღო ბოლო. ტელეფონი მაგიდაზე დავაგდე, ხელები თავზე შემოვიწყე და დიდხანს ვიჯექი თვალებდახუჭული. „რაღა დღეს?!“ — მეტი არაფერი მომდიოდა თავში და მივხვდი, ბაბუაჩემის სიკვდილს ფიქრითაც ვერ მივწვდებოდი მანამ, სანამ ბუხრის ოთახში არ ვნახავდი დასვენებულს. აუდიტის ანგარიში ჩანთაში ჩავდე, პიჯაკი მხარზე გადავიკიდე და ნინკას მაგიდას მივუახლოვდი. ცალი ხელით სავარძლის საზურგეს დავეყრდენი, თავი მისკენ დავხარე და ჩუმად ვუთხარი:

— ნინ, მისმინე, ბაბუა გარდამეცვალა და სოფელში მივდივარ.

— ვაიმე, ბაბუაა? — ხმამაღლა შეიცხადა.

— ჰო! — ხელით ვანიშნე, ცოტა ჩუმად ელაპარაკა.

— სოფელში? — ხმას დაუდაბლა და თვალები კიდევ უფრო გაუფართოვდა.

— ჰო, არ მაქვს ირაკლისთან დალაპარაკების თავი. უთხარი, ეს კვირა არ იქნებათქო.

— გაგიჟდიი? გაგიჟდება!

— ჰოდა, სალათისფერი ამშვიდებს.

— იდიოტო! — გაბრაზება არ იყო ერთადერთი, რისი იმიტაციაც ნინკას შეეძლო.

ორი კვირის წინ ჩემს კაბინეტში მომიწყო სტრიპტიზი. ხელმოსაწერი დოკუმენტები მაგიდაზე დააწყო, პერანგი ჩაიხსნა, ცერა თითით სალათისფერი ლიფის ბრეტელი გამოწია და უცოდველი სახით მკითხა: „რაღაც ისეთი ფერია, ამშვიდებს, არა?“ მას მერე ყოველ შესვენებაზე ერთმანეთის დასამშვიდებლად ვტოვებთ ოფისს. უკანდაბრუნებული კი ტალღებაშლილ პერანგს შეკრული პიჯაკის ქვეშ ვმალავ საგულდაგულოდ.

***

სახლში შევიარე. სპორტულ ჩანთაში ტანსაცმელი სწრაფად ჩავყარე, გზად ბანკომატიდან ფული გამოვიტანე და სოფლის გზას გავუყევი. ტრასა ცარიელი იყო, მშვიდად ვმგზავრობდი. გაზაფხულს უკვე თავისი გაეტანა და თოვლის ნათელი გაშლილი კვირტების სითეთრით შეეცვალა. პირველივე ხიდის გადავლამ ამიშალა ფიქრები. გამახსენდა, მამაჩემის მანქანიდან როგორ შევყურებდი ხოლმე მდინარეში მუხლებამდე ჩამდგარ, სარაფანაწეულ გოგოებს და მე მგონი, ახლაც ამის წარმოდგენა უფრო მაღელვებდა, ვიდრე ნინკას სალათისფერი ლიფი.

სოფელში დაბინდებისას ჩავედი. ჭიშკარი ღია დამხვდა. მანქანა კომშის ხის ქვეშ დავაყენე და საერთო სალამი ვუთხარი ეზოში შეკრებილ მეზობლებს. უხმოდ გაიყვნენ ორად და სახლისკენ გზა გამითავისუფლეს. ბაბუა ბუხრის ოთახში ტახტზე ზუსტად ისე ესვენა, შუადღეს მკვდარ საათს რომ გამოაცხადებდა და გულღაღმა მისცემდა ძილს თავს. რამდენჯერ მიმიყურადებია მძინარესთვის, ნეტავ, თუ სუნთქავს-მეთქი. ახლა კი მისი უსიცოცხლო სხეული მოტყუებული თვალით ჩათვლემილს დამგვანებოდა. სათითაოდ შემოვიდნენ მეზობლები და სამძიმარი მითხრეს. თავი უხერხულად ვიგრძენი და სიგარეტს მოვუკიდე. ბუხრის თავზე დადებული პატარა სპილენძის თასი ხელში ავიღე და ისე დავუწყე თვალიერება და დაკვირვება, თითქოს პირველად ვხედავდი. არაფერი მერჩივნა იმის ცქერას, როგორ იპარსავდა ბაბუა წვერს. სამზარეულოს წინ სკამზე ააყუდებდა სარკეს, წყლით სავსე ფიალას, ქაფით სავსე სპილენძის თასს, ფუნჯს და საპარსს კოხტად დაალაგებდა და თვითონ სამფეხაზე ჩამოჯდებოდა. მე ხან ბაბუას ვუყურებდი, ხან კი მის აქაფებულ ანარეკლს სარკეში. საპარსს ერთი-ორჯერ მეც ჩამომასმევინებდა დაღარულ სახეზე და თავს კაცად მაგრძნობინებდა.

მიშა გვერდით ამომიდგა. მაგიდაზე გაშლილ ნარდზე მიმითითა, ორ კარს შუა მოკლული ქვა იდო. „შუადღეს გადმოვაკითხე, შუა ნარდის თამაშის დროს, გლახად ვარო. ტახტზე წამოვაწვინე. სანამ ჭიდან წყალი მივაწოდე, მთლად გათეთრებულიყო საწყალი. მივაძახე, მაგრამ სააქაოს აღარ იყო, სადღაც იყურებოდა, იქეთ... რახან შენ მოხვედი, ვერიჩკა, რაღა მომკლავსო და კი დალია სული!“ — ხელი ხელს შემოკრა მიშამ.

— თავიკაცი უნდა ავირჩიოთ, — შესვენების გარეშე გადავიდა საქმეზე.

— რა თავიკაცი, მე თვითონ მივხედავ ყველაფერს. ნურავის შევაწუხებთ, — უადგილოდ შევიცხადე.

— რა შეწუხება, შე კაცო, პატივია! — ხელები გაშალა მიშამ.

— კი, მაგრამ როგორ უნდა ავირჩიოთ?

— მე ახლა ჩემსას გეტყვი, კოსტია ხომ გახსოვს? გარე ბიძაშვილია თქვენი.

— კოსტია როგორ არ მახსოვს!

— ჰოდა, სანდო, პატიოსანი და თავიანი კაცი ეგაა. პატივს არ დააკლებს ბაბუაშენს!

ყოველგვარი განხილვის გარეშე დავთანხმდი. სხვა კანდიდატურა მე არ მყავდა. საღამოს რიგ-რიგობით დაიწყეს ბიჭებმა დარეკვა. ყველას ვთხოვე, არ ჩამოსულიყვნენ. იმათი მასპინძლობის და ნაბახუსევიდან გამოყვანის თავი ნამდვილად არ მქონდა.

***

მეორე დილით უთენია ავდექი. ნინკას მესიჯი დამხვდა: „სოფლიკ, მომენატრე“. არაფერი მიპასუხია. აქამდე მეგონა, ნინკას მხოლოდ პირველიდან ორ საათამდე ვახსოვდი, ისიც სამუშაო დღეებში. სოფელს უკვე ეღვიძა. კოსტია მოსულიყო. წლების უნახავს ხორბლისფერ თმაში ჭაღარა შერეოდა. მომისამძიმრა, მადლობა მითხრა თავიკაცად არჩევისთვის და ჩემების ამბები გამომკითხა წვრილად. დოქიდან წყალი ჩამოისხა და მომიბრუნდა:

— ეჰ, სიკვდილს სადაა აქვს ჭკუა, თორემ სოფელში გაზაფხულსა და შემოდგომაზე კაცი არ უნდა კვდებოდეს, მარა ყანების მოცდენა ჯობია მიცვალებულის უპატივცემულობას. შენ ნუ გეშინია, ყველა დაგიდგება გვერდით. ვისაც აქ ხედავ, სულს განირავენ იასონისთვის. ასეა მადლი! შენ დასაპატიჟებელი ხალხის სია დამიწერე საღამომდე.

— შენ და მიშა უნდა მომეხმაროთ, — ვერაფერს ვაბამდი თავს დაუხმარებლად.

— აქ არა ვართ?! ჰო, ელზა იქნება თავიქალი, ცეცხლი გასდის ხელიდან, ნამეტანი პატივს სცემენ ქალები. მე სად ვდიო ახლა ყველას სათითაოდ.

— კი ბატონო, — უსიტყვოდ დავთანმხდი.

— მოპატიჟე ლელა იქნება. არაა სეფაში გამოსამწყვდევი გოგო, შესახედადაც კარგია და ლაპარაკიც არ ეშლება. სუფრაზე ის მიიპატიჟებს გასვენებაში მოსულ სტუმრებს. გასათხოვარი გოგოა და ახლა უნდა მაგას ხალხში გამოჩენა. ხომ გახსოვს ანეტას შვილიშვილი?

ჩემს პასუხს არ დაელოდა, ქალებთან ერთად მოფუსფუსე ლელას გასძახა. ვეღარ ვიცანი, შეფერთხილიყო და გაფერმკთალებულიყო. ჯერაც არ დამვიწყებია, როგორ გამომაპანღურა ბებიამისმა ანეტამ ჩემი ბადმინტონის ჩოგნებიანად: „იასონს რამდენი ყავს შენისთანა ჭკვიანი? ჯერ ერთი მაგ დაკვარჩხულს ბურთს ეძახი, მერე მაგის დაჭერას შეხტომა უნდა, წადი და ბიჭებს ეთამაშე!“. მაგის მერე იყო, ქუჩაზე გაუთავებელი ავლა-ჩავლა და ლელას ჭიშკართან იასონის ველოსიპედის გაფუჭება რომ დავიწყე. ბოლოს ბებიამისმა ღობეზე ქანჩები გადმოკიდა, რომელიც დაგჭირდეს, ის აიღე, ჩემს შვილიშვილს მაგისთვის ნუღარ შეაწუხებო. ლელა მომიახლოვდა, ვიზიარებ მწუხარებას იასონ ბაბუას გარდაცვალების გამოო, სხაპასხუპით მომისამძიმრა და ხელი ჩამომართვა. იმდენად მესიამოვნა მისი დანახვა, პასუხად გავუღიმე და მადლობის ნიშნად თავი დავუქნიე.

— გადასახურავის ამკრეფად ვალიკოს დავსვამ. შენ ვალიკო არ დაუძახო, ზურიკო ჰქვია. სულ ვალი აქვს მაგ უბედურს და იმიტომ ვეძახით ვალიკოს, დათვლა კი იცის კაი, — საქმეზე ლაპარაკი განაგრძო თავიკაცმა.

— რას ამბობ, კოსტია? ფულის შეკრება არ გამაგონოთ!

— ბაბუაშენს იმდენი გავალება აქვს, რად უნდა, ბიჭო, შენი ფული! პატივი ეცი მის კაცობას.

— სანდოა ვალიკო? — მორჩილად და სხვათაშორის ვიკითხე.

— სანდო რომ არ იყოს, ვალი კი არ ექნებოდა, ბიძიკო. შოთას ბიჭი არ დამიტოვოთ, — გასძახა ეზოში შეკრებილ ბიჭებს, — გასვენების დღეს ეტლიანად გადმოიყვანეთ, დაუჯდება ვალიკოს გვერდით და მიეხმარება. მარტო არც ის ინდობს ფულის დათვლას!

კოსტია ჩქარობდა ხალხის შეკრებას, რომ საქმეს დროულად შესდგომოდა. ყველა შეთავაზებაზე უსიტყვოდ ვთანხმდებოდი, მაგრამ მაინც გულმოდგინედ მიხსნიდა, რატომ ეიმედებოდა ვალიკო ან რითი აჯობებდა ელზა სხვა ქალებს. ზედმიწევნით კარგად იცოდა, სოფელში ვინ რისი გამკეთებელი იყო და რატომ იქნებოდა მოხარული ჩვენი ოჯახის მსახურებით.

— სამი ახალი კომლია სოფელში, იცი?

— არა, საიდან.

— მთაში ცხოვრობდნენ და მეწყერს წაუღია იმათი სახლები. წელიწადი არაა, რაც დაგვიმეზობლდნენ. ჰოდა, იმათ ვთხოვ ეზოს დალაგებაში მოგვეხმარონ, არ დაგვზარდებიან. ჩვენ თუ არ ვაგრძნობინეთ, რომ ამ სოფელში ერთის ჭირი და ლხინი ყველასია, სულ ასე ცალკე იქნებიან.

საღამოს ვახშამი ეზოში გავშალეთ და ყველამ ერთად მოსაპატიჟებელი სტუმრების სია შევადგინეთ. მზარეულიც შემოგვესწრო და სადილის მენიუ შეგვითანხ-

მა. მოკლედ, საქმე ყველამ დაინაწილა. საღამოობით სამძიმარი რომ მოთავდებოდა, შეიკრიბებოდნენ კალოშებში გამოწყობილი თავწაკრული ქალები და რეზინის ჩექმებიანი კაცები და მეორე დღის საქმეს დაგეგმავდნენ. მერე ერთად შემოუსხდებოდნენ მეზობლების მიერ რიგ-რიგობით მომზადებულ ჭირისუფლის მოსაკითხ სადილს და კიდევ ერთხელ იტყოდნენ ბაბუას შესანდობარს. ყოველ დილით კოსტია პირველი შემოაბიჯებდა ეზოში, ახლა მე თუ დამიწყო ლოდინი ამ ხალხმა, შუადღემდე ვერ მოვაბამთ თავს დაგეგმვასო. ვინმე თუ მოვიდოდა ჩემთან, თავიკაცი გვერდით გაიხმობდა, მე მითხარი, არჩილს სადაა აქვს ამაზე ფიქრის თავი, მაგან მიცვალებულს თავისებურად უნდა სცეს პატივიო. ერთი სიტყვით, კოსტია იყო ჩემი ჭირის უფალი.

***

დაკრძალვის წინა დილას ბაბუას ცხედრის გამპატიოსნებლები უნდა დამესახელებინა. თავიკაცისგან უკვე ვიცოდი, რომ ბევრი ელოდა ამ პატივს ჩვენი ოჯახისგან. კოსტიას გარეშე ახლაც ვერაფერი გადავწყვიტე. „მე თუ მკითხავ, ერთი ანგელინა უნდა იყოს, ეს ორი მოხუცი იყო ამ ქუჩაზე დარჩენილი ერთმანეთის იმედად. ანგელინაზე ახლობელი ბაბუაშენს არავინ ჰყავდა. გენადის ბიჭი მიეხმარება, ავადაა ნამეტანი, იქნებ შეენიოს უფალი და გამოჯანმრთელდეს. მიცვალებულის სხეულის გაპატიოსნებაზე დიდი მადლი არაფერია, იცოდე,“ — მგონი, ელოდა კიდეც, რომ აზრს აუცილებლად დავეკითხებოდი. შევთანხმდით, საღამოს ანგელინა და გენადი გამოაწყობდნენ ბაბუას. ჯოხზე ჩამოყრდნობილ გენადის იქვე გავანდე გადაწყვეტილება. დაუჯერებელი მეგონა, რომ ასეთ შეთავაზებას შეიძლება ადამიანი გაებედნიერებინა.

ანგელინას სახლში ვეახლე. ჭიშკრიდან არ დამიძახია, ისე შევედი ეზოში. ფანჯარასთან დამჯდარიყო, წიწილები კალთაში ჩაესხა და დამჭკნარი ხელებით პურს უფშვნიდა. მაგიდაზე მიბმული კრუხი ჰაერში გაჭიმული ცალი ფეხით იწევდა მოხუცისკენ. „ანგელინა ბებია!“ — მივუახლოვდი და ჩუმად დავუძახე.

— რომელი ხარ? — თავი არ მოუბრუნებია ჩემსკენ, ისე მკითხა.

— არჩილი ვარ, იასონის.

— აჩია, შენ ხარ, ბებო? გიცანი, თვალს დამაკლდა, თორემ საცნობარი კი არ დამიკარგავს. კარგი ბაბუა გყავდა, კარგი! — მომატირა და ჩამოწელილი თვალის გუგები ცრემლით გაევსო, — გახსოვს უჟმურის გამოსალოცად რომ დავდიოდი თქვენთან?

— მაგას რა დამავიწყებს. ზეპირად ვიცი — „უჟმურო დედიანო, უჟმურო მამიანო, შენი დედა ტირის, შენი მამა ტირის...“ — უშეცდომოდ ამოტივტივდა მეხსიერების ზედაპირზე.

— შავგულე დოუკლავთ, ულუფაში შოუნახავთ, ადრე მიხვალ კი გაჭმევენ, გვიან მიხვალ არ გაჭმევენ, — გამხიარულდა ანგელინა.

— ფუი, ასე გააქარე, ფუი, ასე გააქარე! — ერთხმად შევძახეთ და ორივეს გულიანად გაგვეცინა.

— ის უჟმური ისედაც კი გაგივლიდა, ბებია, მაგრამ მე რომ გამოგილოცავდი, იმ ღამეს მშვიდად ეძინა ვერიჩკას, — წიწილებიანად გადმოიფერთხა კალთა ანგელინამ და მაგიდისკენ მიმითითა, — ხალვა უნდა იდოს თეფშზე, აიღე, პირს გამოგიკეთებს!

— ანგელინა ბებია, შენ უნდა გააპატიოსნო იასონი, — გადაწყვეტილება გავაცანი.

— მაგაზე გეტყვი, ბებია, უარს?! ძმასავით მყავდა ეგ უბედური, ერთი შემცხადებელი არ ჰყავს ოჯახში, თორე მაგის სიკვდილი მიწაზე ადრე ცას უნდა გაეგო, ცას! — თვალები ზემოთ აღაპყრო.

სანამ გამპატიოსნებლები მოვიდოდნენ, ბაბუას კარადა გამოვაღე. მისი სხეულისა და ნესტის სურნელი ერთმანეთში ირეოდა. ტანსაცმელს დიდხანს ვურჩევდი, მამას გამოგზავნილი პერანგებიდან შედარებით ახალი ამოვარჩიე და სკამზე გადავკიდე. „დაგვტოვე ახლა მარტო,“ — ანგელინას ხმა შემომესმა ზურგსუკან. „წესია ასეთი,“ — მომიბოდიშა გენადიმ. აივანზე გავედი და სიგარეტს მოვუკიდე, კარგა ხანს მესმოდა, როგორ ეღუღუნებოდა ანგელინა ბაბუაჩემის მკვდარ სხეულს. „იასონ, გაუყარე ხელი, არ გატკენ, რამ შეგაშინა, შე კაცო! ჩემი გერცხვინება? და ვარ მე შენი! ნუ გაჯიუტდი ახლა, შეხედე ამას!“ — გაუწყრებოდა კიდეც ხანდახან. „ვერიჩკამდე კი მიგყვება ჩემი ხელის სითბო, იასონ, არ გეამა ნატკენ გულზე რომ დაგისვი? შენ გულს ვენაცვალე! ჯერ კაცი უნდა წავიდეს და მერე ქალი, ცოდვაა ცოლის ცრემლი არ მიყვებოდეს და მისი ხელი არ ეფერებოდეს შენს დამჭკნარ სხეულს!“ — უქალოდ სიკვდილის კიდევ ერთხელ შემეშინდა და ჰამაკში მოქანავე ლელას გავხედე.

***

დილით გადმოწვიმა. სისველემ მეტი სიმკვეთრე შესძინა ხეების ნორჩ სიმწვანეს, ლელას ოქროსფერქამრიან ლურჯ კაბას და ლამაზად ჩაწნილ ქერა თმას. ოთახიდან კარგად ვერ ვხედავდი ეზოს, მაგრამ ფეხის ხმით ვხვდებოდი მის მოახლოვებას და სიშორეს, სამძიმარზე მოსულებს ჯერ სახლისკენ გამოუძღვებოდა, შემდეგ კი სადილზე მიიპატიჟებდა. შუადღისთვის ეზოებში დაკრეფილი შროშანებითა და ყოჩივარდებით მთლად დაიფარა ბაბუას სხეული.

მღვდელსა და მგალობლებს შეთვლაც არ დასჭირვებიათ, ისე მოვიდნენ დაკრძალვის დღეს წესის ასაგებად. „არა არს კაცი, რომელიც ცხონდეს და არა სცოდოოოს,“ — მეტი არაფერი გაუგია ჩემს ყურებს. ბაბუას თავთან დადებულ შავ-თეთრ ფოტოს მივშტერებოდი და ჩემს ბედნიერ ბავშვობაზე ვფიქრობდი. ფოტოზე ბებიას კოპლებიანი კაბა ეცვა და სკამზე ოდნავ წინ წამოწეული და წელში გამართული იჯდა, სამხედრო ფორმაში გამოწყობილ ბაბუას კი ერთი ხელი ბებიას მხარზე ჩამოედო, მეორეთი კი ჩიბუხი დაეჭირა განზე. ფსალმუნების ფონზე ჩვენს უქალოდ დარჩენილ ოჯახზე ვფიქრობდი. ბებიას გარდაცვალებისა და დედაჩემის გათხოვების შემდეგ დავიფანტეთ კაცები. ბაბუა არაფრით გამოგვყვა ქალაქში, მამა აფრიკაში წავიდა სამუშაოდ, მე რაც წამოვიზარდე, ათასში ერთხელ თუ ჩავდიოდი სოფელში. უქალებოდ გავცივდით, აღარც ვსაყვედურობდით ერთმანეთს უყურადღებობის გამო. თითქოს ერთმანეთს ვაბრალებდით მათ გაქრობას ჩვენი ცხოვრებიდან.

მღვდელმა რომ დაგვტოვა, კოსტია ჩუმად ამომიდგა გვერდით, საფლავი გამზადებულია, ყველაფერი წესრიგშიაო, ჩუმად მითხრა და სადღაც გაქრა. ნელ-ნელა მოსამძიმრეთა რიგი შეთხელდა, ჯგუფ-ჯგუფად მოეყარათ თავი ეზოში და ბაბუას გასვენებამდე ლაპარაკით იქცევდნენ თავს.

„დროა, სადაა თავიკაცი?“ — გადავჩურჩულე მიშას. ხელით მანიშნა, ნუ ღელავო. კარებისკენ გადავინაცვლე და ეზოში შეკრებილების გადავავლე თვალი. უცებ სიჩუმე ჩამოვარდა და ყველა ჭიშკრისკენ მიბრუნდა. კარგად შემონახულ ძველსა და ნათხოვარ ტანსაცმელში გამოწყობილ იასონის მსახურებს თავიკაცი მოუძღოდათ. კოსტიას ეკლის ხის ტოტი დაეჭირა, მეზობლებს ზედ სანთლები დაენთოთ და თეთრი ჭინჭები შეებათ. ჩამორჩენილებს დაელოდა და ეზოში შემოაბიჯა. სახლში შემოსვლისთანავე ეკლის ხე ბაბუას თავთან დადგა და ყველას მაგივრად წარმოთქვა, თუ რამე გაწყენინეთ, შეგვინდე და დალოცვილები დაგვტოვეო. გარს შემოერტყნენ მიცვალებულს, გულამოსკვნით ტიროდნენ ქალიან-კაციანად, ზოგი იასონს, ზოგიც თავის მკვდარსა და უბედო ცხოვრებას და სათითაოდ ემშვიდობებოდნენ ბაბუას.

„დროა!“ — თავიკაცმა მხარზე ხელი დამადო, დაგვტოვეო, მანიშნა და ბიჭებს გახედა. ყანამოცდენილებმა მხარზე გაიდეს ბაბუა და სოფლის სასაფლაომდე ფეხით ატარეს. იასონი ვერიჩკას გვერდით დავკრძალეთ, მიწაში ჩაფლულ ეკლის ხეს ჩემი ცხვირსახოცი შევაბი და ყველა გამოტოვებული დაბადების დღის და უსიტყვოდ გაგზავნილი ფულის გამო პატიება ვთხოვე.

დილით ადრე ავდექი. ქალებს ჭურჭელი უკვე დაერეცხათ, ითვლიდნენ და ყუთებში ალაგებდნენ, ზღვიდან მობერილ ქარს აყვავებული ტყემლების სურნელი ერეოდა. დიდი ჯამები სახლის გარეთა კედელზე მიეკიდათ გასაშრობად. იქვე ჩემი ბავშვობისდროინდელი ბადმინტონის ჩოგნები და ბაბუას თოხის პირები ეკიდა მწკრივად, მიწიდან აყოლილ ნესტს რომ არ დაეჟანგა.

— აბა, ხალხო, მალე ჩამოვალ, — მათთვის სათქმელ მადლობას სხვაგვარად მაინც ვერ ვიტყოდი.

სათითაოდ დავემშვიდობე ყველას და ქალების გამზადებული საგზალი საბარგულში ჩავდე. კოსტიამ თეთრი საქაღალდე გადმომცა და გადამეხვია:

— იასონის საბუთებია, შენთან იყოს. მისი ხარჯები კი გაისტუმრა ბაბუაშენმა. სატირალის რვეულიც აქ ჩავდე. სიკეთეში გადაგეხადოს, აჩია, ამ ხალხისთვის!

— თქვენს ვალს რა გადამახდევინებს, კოსტია, შენ რომ არ დამდგომოდი გვერდით! — იმ წუთას მასზე ახლობელი არავინ მყავდა.

— ბაბუაშენის არყის სახდელია ჩემთან, გადმოვიტან ამ დღეებში და სარდაფში შეგინახავ, — კოსტიასაც ბაბუაჩემივით გასჩენოდა იმედი, რომ ოდესმე სოფელს დავუბრუნდებოდი, — ნუ გეშინია, ბიძიკო, საქმეს მიხედე, ორმოცამდე არ გამოვკეტავთ ამ სახლს, სანამ ბაბუაშენის სული აქ ტრიალებს და მერე, აბა, შენ იცი, როგორ არ გააციებ კერას, ამ ოჯახის თავი შენ ხარ აწი!

თბილისში შუაღამისას დავბრუნდი. სანამ სოფლიდან წამოღებულ დავთრებს და საბუთებს საწერი მაგიდის უჯრაში მივუჩენდი ადგილს, გადავარჩიე, დავახარისხე, ძველი ქვითრები დავჭმუჭნე და ძირს დავყარე. ერთ გაცრეცილ რვეულს ბაბუას ხელით ეწერა „ჩემი ვერიჩკას სატირალი“. გადავფურცლე, ვრცელი სია იყო გვერდით მიწერილი ფულითა და სურსათ-სანოვაგით. ბოლოში გამოუგზავნელი წერილი ვიპოვე: „რაფერ ხარ, აჩია? ბაბუ, ესაა საშობაოდ ჩამოვალო? რად მინდა მე თქვენი გამოგზავნილი ფული, გლახაკი კი არ ვარ. ჩემი სამყოფი საჭმელი სულ მაქვს. მამაშენმა მთლად მომაყარა მიწა. დედაშენს გადაეცი, ჩემი ნუ მოერიდება, ჩამობრძანდეს, როცა ენებოს. ერთი სათხოვარი მაქვს, ბაბუ, გულმა შემომიტია ამ ბოლო დროს, ექიმი არ გამაგონო! რამე საგულე ეცოდინება პროვიზორს, გირჩევს რამეს. იასონი.“

***

„შენ დარჩი!“ — ველოდი, რომ ირაკლი თათბირის შემდეგ ჩემთან ცალკე მოისურვებდა საუბარს. ნინკამ ტუჩები მოპრუნა, ახლა რაღას გერჩისო. პეპლებიანი ბლოკნოტი მკერდზე მიიკრა და პირველმა დატოვა შეხვედრის ოთახი. როგორც კი დაცარიელებული ყავის ჭიქებით სამზარეულოსკენ გაიკრიფა ყველა, მომიბრუნდა და თავისებურად დაიწყო:

— მაოცებ, არჩილ! ნახე ახალი გამოკითხვის შედეგები? არც ერთი გაშვებული ადამიანი და ამდენი ბედნიერი თანამშრომელი სულ ოთხ თვეში! რა დაგიბარა, ბიჭო, ბაბუაშენმა? — ღიმილით მკითხა.

— ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო, — გავუღიმე და თავი დავხარე, — ირაკლი, ვტოვებ კომპანიას, — მაინც გამიჭირდა კარგად მოფიქრებული გადაწყვეტილების გამხელა.

— მეხუმრები, კაცო? სად მიდიხარ? — ბრაზი შეერია ხმაში.

— არა, არა, სხვა სამსახურის ამბავი არ არის. სოფელში მივდივარ, — ახლა უფრო თამამად შევხედე.

— კარგი რა, არჩილ, კარგი რა! კარგად მოიფიქრე, გადაღლილი ხარ, ბევრი იშრომე ეს თვეები. კუთვნილი შვებულება გამოიყენე და მერე დავილაპარაკოთ, — ხელი ჩამომართვა და ოთახიდან გავიდა.

კაბინეტში მივბრუნდი და ჩემი ნივთები პატარა ყუთში ჩავალაგე, საშვის და ოფისის გასაღების ჩასაბარებლად მისაღებში შევჩერდი. ნინკა ფანჯრისკენ მიბრუნებული მაგიდის კიდეზე ჩამომჯდარიყო და ტელეფონზე ლაპარაკობდა. ყავის ჭიქა შენი იყოს-მეთქი, ვანიშნე და შუბლზე ვაკოცე. ვერაფერს მიხვდა, ლაპარაკი არ შეუწყვეტია, ისე დამაწია გზაში ჰაეროვანი კოცნა. იმ ღამეს არ დამეძინა, ტანსაცმელი და წიგნები პირდაპირ საბარგულში ჩავყარე და გათენებამდე დავტოვე ქალაქი...

მარიამ წიკლაური

ყანისგულს ერთი ყაყაჩო

ეთეროს

ყანისგულს ერთი ყაყაჩო
წითს. წითლის ქებად ანთია.
მარტო ლამაზი არ ეთქმის,
მიმგვანებულა განთიადს.
მზის ჩიტია თუ ყვავილი,
ფრთედ რომ ეშლება ფურცელი?
ჟამიერს მოილაჟვარდებს
გულისჩქამივით უცები...
წითს. წითს და იმის სინათლე
ყანისგულს ადევს სამანად.
ნუმც დალევია წყალობა
ნაქარს და ნამზეკაბანარს.

მე დგნალის ხე ვარ

შებუსვილი ჟრუანტელით და
მოლოდინით
მე დგნალის ხე ვარ —
გაზაფხულის ბუდე — ბაია...
მივერეკები ზამთრის ქარებს ყვითელი ღინღლით,
და გადაიარს
ეს სურნელიც წნორის შოლტებით
ნაპობ ჰაერის...
ზორბა ზროში აურზაურით
როს ზამთარს დაზრავს
ნაზიარები სიზმრის ცხელება —
ტყის ნისკარტში ჩატეული სიხარულის
ყვითელი ფთილა.
მე დგნალის ხე ვარ,
მე გახარებთ დიდებით მოსვლას
იმისას, ვისაც
სულ გაზაფხული
ჰქვია სახელად
და ჭუკებივით მიგვერეკება
გულის მწვანე გუბურებისკენ.

შენ როცა წახვალ

რა თქმა უნდა, შენ როცა წახვალ,
აღარაფერი არ დარჩება ჩემგან ხსენებად.
მხოლოდ შენზე ისაუბრებენ,
შენ დაგბრალდება ყველაფერი,
რაც თავს გადამხდა.
შენს მოიმედედ იქნება ყველა,
შენი ძალის მოიმედედ, რომ
ბოლომდე მიერთგულებ, მიპატრონებ,
არ დაანებებ ჩემს თავს ეშმაკს, ქაჯსა და მაცილს,
შენ როცა წახვალ,
ისევ შენი მადლიერი იქნება ყველა
და ერთი კაციც არ იტყვის ქვეყნად,
რა ძნელი იყო შენი ასე ტარება ჩემგან...
ბედნიერების სახელით რომ სულსა მხდიდი,
სუნთქვას მიკრავდი, ლუკმას მაცლიდი,
გულს მიკუმშავდი...
ტანჯვის სამკაულს ჩემს თხელ მაჯაზე ისე მადებდი,
რა იყო ხუნდი ან იმასთან, ან ბორკილი, ან ეშაფოტი..
არავინ დათვლის მეტანიებს,
არც ცვრის წვეთებს დაითვლიან, არც ცრემლის წვეთებს,
შენთვის გაღებულს...
და როცა წახვალ, ისევ შენი გზა იკურთხება..
მე გზა ვინ მომცა,
მე ბილიკიც არ მექნება გასავლელი,
რადგან იგი ვარ,
ვისაც ტოტივით ჩამოსაჯდომად ირჩევენ მხოლოდ.
ან არც ირჩევენ...
ისე, უბრალოდ,
დაღლილობას ჩამოსდებენ ძველი სულები
მათ ვიწრო მხრებზე,
ან თვალებში უსახლდებიან..

სათოვლიეგი

ტყე სავსეა სათოვლიებით.
სიჩუმის ფეხქვეშ იშმუშნება
ჟანგისფერი, ნანისლი ნეშო...
თოვლი კი არ ჩანს.
არც მოვა, ვეჭვობ.
მეც რამდენჯერ გავსუსულვარ
გულში გაშლილი სათოვლიის იისფერ შუქზე,
მეც რამდენჯერ დავლოდებივარ სითეთრის ზეიმს.
მეც რამდენჯერ დამიცდია სიყვარულისთვის.
მიცქერია მაღლა და ზევით.
გადაფრენილან ზამთრისპირულზე წეროების გუნდები და
ჩაუვლიათ ხმაურიან მარეკებს ტყისპირს...

დრო მოვა

თქვენი ნაცვარით განაკვერ
მთის ფერხთით ჩამოგიჯდებით.
გიოცებთ, ცქერა არა მღლის.
დახვალთ სამყაროს სიზმრები.
მიწა არ გიბამთ ფესვებით,
რა გიშავთ, დიხართ, ნისლებო.
ნაგიშრალ ღამეს გაჰყვებით
თუ დილის ფრთებად იშლებით.
ეგებ, აგხსნათ და მიგიხვდეთ,
ეგებ ვივარგო მისანად.
თქვენ კი ზევიდან დამძახით:
ჩვენით ნასველი მიწა ხარ.
ნუ შინაურობ, არც ეგრე
საიოლე ვართ სათქმელად.
მივდი-მოვდივართ ხილულის
უხილავს გადასადგმელად.
ჩვენც ბევრი არა ვიცით რა,
ხან წვიმას ვდივართ საკმევლად,
ხან ვდგავართ ელვის კარვებად,
ხან დაღლილი ცის საგებლად.
ხანაც ვთამამობთ, ვაშინებთ
მთას საიდუმლოს გამხელით.
ხან ექო დაგვდის ქარიშხლის,
როგორც დევების ნამღერი.
ნუ გინდა ჩვენი ძიება,
ჩვენთვის სახელის დარქმევა,
დრო მოვა, ჩვენად იქცევი,
შენც ამ მთის წვერებს დაქელავ...

ხახვის ფურცლები

ზღაპრის კარიდან გამოსაგნებად
ხახვის ფურცლებს ყრიდნენ ბილიკზე.
დევთადედასაც პოულობდნენ,
თავს აღწევდნენ ურჩხულების საბრძანებელს
მამის სახლიდან დაკარგულები.
გამოქვაბულის ავ სულებთან დატყვევებულნი
ძმას სიკვდილიდან ამოყავდა
ხახვისფურცლის აბჯრის ამარა...
ან ქარი როგორ არ ფანტავდა იმ ხახვის ფურცელს,
ან ნიბლია ჩიტს არ მიჰქონდა გაზაფხულისპირს
ბუდეების ამოსაგებად?
მეც რამდენჯერ მივყოლივარ ხახვის ფურცელს,
მეც რამდენჯერ მიძებნია ჩემივე თავი ზღაპრის ბილიკზე...
ფეხი ნიავზე დამცდენია,
გადავყოლილვარ ჰაერის უფსკრულს
ანგელოზების მანათობელი ფრთის ჩქერებში,
ხან ტყეების ფესვების ჩრდილში დავკარგულვარ,
ტბების მხარეშიც მოვხვედრილვარ და ლელქაშებშიც.
თვალს ვაცეცებდი, არსად ჩანდა ნიშანი მცირეც.
ან ამ ქარიშხლებს რა ფურცელი გაუძლებდა,
ვინ შეძლებდა მათ მიკემსვას ჩვენს სავალზე,
ან ვინ გვყავდა ჩვენ ამხელა დარდის მოწილე?
ან სიმართლე რა გვინახავს, სად შეგვხვედრია?!
ღმერთივითაა ჩვენი სიმართლეც...
ხახვის ფურცლები...
სისხლის წვეთები...
არც წვიმა შლის და არც ქარია იმის წამღები,
ვერც ჩიტი კენკავს, ლოდიც არ იწოვს.
რა ბჭენი უნდა დაემსხვრია,
სული უნდა დაეღწია, უნდა ევლო
და დაეწყო უკულმიდან წაღმა პირი
სიცოცხლის და სიყვარულისა...
ხახვის ფურცელი, აბა, ამას რას ეყოფოდა?!
ენთო ცეცხლი კერაზე და დედაბოძი ტოტებს შლიდა,
სამოთხემდე ჩეროს მაინც რომ მიეღწია,
და სიზმარი ჯვრის ტანს ხედავდა იმის თვალებში,
ვინც ცეცხლიდან გამოღწევას ცდილობდა ჩვენთვის,
საკუთარი სისხლის ვარდებით,
ის ზღაპარი სინანულისა რომ არასოდეს დაგვვიწყებოდა.
რომელი უფრო მეტი იყო, უფრო მართალი?
რომელი უფრო მძიმე იყო, უფრო საგმირო?
სიყვარულის თუ შიშის ზღაპარი?
ხახვის ფურცელში გვიღებავდა მკვრივ ცრემლებს და
ახალ მთვარეზე ღამეებში დაგვატარებდა
ცეცხლის მწყემსებს
ერთი სხივის საძებნელად უკუნითი უკუნისამდე...



გაზაფხულს რომ არ ეგონოს...

ნუ გეგონება აღარ გელი,
ვეღარ გამჩნევ,
აღარ მაღელვებ.
ვეღარც კი ვგრძნობ, ფეხაკრებით რომ შემოდიხარ,
რომ ჩამოჯდები, იქ, სადაც თავი გეგულებოდა.
სადღაა ჩემი ჟრუანტელის საფრთხობელები...
აღარსად დგანან მშიერ ჩიტების დასაფეთებლად.
ხედავ, ატმებმაც ლამისაა ამოიყვავაონ უბეები,
ყვავიან მსხლებიც, ალუბლებიც, ვაშლიც აყვავდა.
მე ჯიბრით ტოტიც არ შემომაქვს სახლში წყალობად.
ჭერმის ყვავილებს რა ხანია ქარებს ვატან
გალავნების ამოსაკირად.
ალბათ ვერც ხვდები, რომ ჩვევაში გადამეზარდე,
მიხარიხარ, მიხარიხარ და ბაღის ნაცვლად
ბაზრისაკენ მივეშურები,
რომ ჭინჭარი და სატაცური მოვზიდო სახლში.
ლარნაკის ნაცვლად ქვაბებს ვარჩევ,
დავაპურო უნდა ჯალაბი.
ეჰ, გაზაფხულო,
რომ არ გეგონოს აღარ გელი, აღარ მიყვარხარ,
ჩემს ფანჯარაში ნაცარქათამას სურნელს რომ იგრძნობ,
მოდი ახლოს და შენებურად წაიღიღინე,
იქნებ როგორმე გამიტყუო ამწვანებული თვალებიდან.
იქნებ, ზამთარსაც
ყვავილოვან ხარაჩოებს რომ შემოავლებ,
მეც მაიძულო, წაგიკრა ხელი,
ერთი დღე მაინც მივაშენო სიყვარულისა...

რა მდიდრები ვართ

რა მდიდრები ვართ,
რამდენია სათენებელი,
სამრთელებელი,
რამდენია საყვარებელი,
საბრალებელი,
დამმართებელი,
ამანთებელი,
საოცებელიც რამდენია,
საოცნებელიც,
რა მდიდრები ვართ.
ან სხვის თვალში ღატაკებად რაღატო ვჩანვართ?!
მარტო სევდაზე იმდენი მაქვს თია-ნუჟრები,
მარტო გულზე იმდენი მაქვს ტკივილის კოჟრი,
და სინიდისის მშობლიური ლანდშაფტი ხომ
სავსე არის ეროზიით,
ნასახლარით,
ნასაფლავარით...
ღირსიც კი ვარ, მარტოობაში ჩამივარდეს თვალი,
ჩამერღვეს...
ღირსიც კი ვარ,
ჩემ სახელზე ღრუბლის ფთილაც
არა წვიმდეს ასამწვანებლად
სულგაჩეხილ ხატის ტყეებში.
არადა. მართლა რა მდიდრები ვართ,
რამდენი გვაქვს საკეთებელი,
საღმერთებელი,
რამდენი გვაქვს საეჭვებელი...

ვინ დავაჯერო, რომ საყიდელიც არაფერია

რა არ ვიყიდე...
სულ პირველად ბატიბუტის წითელი ბურთი,
ყველაზე ტკბილი.
ვეებერთელა ტომარაში ჩაყრილი და
ჩვენს ქუჩაზე ატარებულ-ჩატარებული.
რა არ ვიყიდე...
მეორედ ჯოხზე შესკუპული ტკბილი მამალო,
ეგეც ჩვენს ლამაზ ქვაფენილზე
ატარებულ-ჩატარებული.
ეს ქუჩა სავსე იყო თეთრი აკაციებით.
ბატიბუტის და მამალოს ყიდვა თუ არ შემეძლო,
ყვავილების სიტკბოც კმაროდა იმისათვის,
რომ გაზაფხულს თავი მარტო არ ეგრძნო და
ამყოლოდა სიხარულში, რომლის ყიდვაც
არასოდეს დამჭირვებია.
რა ნაყინი, რა საწეპი, რა პლასტმასის თოჯინები,
რა ქვაბები, რა ფანქრები, რა მაქმანები,
რა მძივები, რა ბროშები, ფინიკის ხურმა,
ინგირული რვეულები,
შაქრის ბამბის ტკბილი აგური — იაღლიბუღლი...
რა არ ვიყიდე,
რა მზესუმზირა, რა დონალდო,
ღია ბარათებს თვლა არ ჰქონდა,
წერილების ლამაზ კონვერტებს.
გადავდიოდი ოცნებიდან ოცნებაში, რომ ერთხელაც
გავიზრდებოდი, სადიდო ფილმებს ვნახავდი და
შეყვარებულს ვაკოცებდი,
არც ობობები შემაშინებდნენ
და ვიყიდდი ნამდვილ მანქანას, ნამდვილ ჯინსებს,
ნამდვილი ფულით ნამდვილ ბეჭედს ვიყიდდი და
შვილთაშვილებს სამახსოვრდ დავუტოვებდი...
რა არ ვიყიდე იმის მერე,
რა ფული არ მეჭირა ხელში,
სხვადასხვა გერბით, სახელით და ფერით შემკული,
რა არ ვიყიდე,
ხუთი ტონა კარტოფილი, სტაფილო, ფქვილი,
შვიდი ტონა მწვანილი და ბალახ-ბულახი,
ტონა ლობიო, ტონა რძე და ტონა ზეთი, ტონაც მუხუდო,
შპალიერი, ჯინსი, ქურთუკი, რა არ ვიყიდე,
დიდი ქვაბი, დიდი ბალიში, თარო, კარადა,
ჟურნალ-გაზეთი,
ვიღას ახსოვს ქაფენილზე ატარებულ-ჩატარებული
მამალოები...
ჭარხალი, ხახვი, ცხიმი, ფხვნილი, ტომატი, ვაშლი...
კიდევ კარგი რომ ამ დროსავით არ ილევა ხელი საქმეში.
აი, ბეჭედი კი, ვერ ვიყიდე...
შვილთაშვილებს რა დავუტოვო,
რით შევიმკო ცარიელი, დამჭკნარი ხელი,
პირჯვრისწერას რომ ვერ აუდის...
ვინ დავაჯერო,
რომ საყიდელიც არაფერია...
ან ის თეთრი აკაციები სადღა ვნახო,
ტოტებზე ტკბილი მამალოებით
ბატიბუტის მრგვალ პლანეტაზე ამოზრდილები...

მაპატიეთ

პატიებას გთხოვთ ყველაფრისათვის,
ჩემო შიმშილო,
სიღატაკევ,
უძლურებავ,
გთხოვთ მაპატიოთ,
რომ ვერასოდეს გაგამზეურეთ
ღვთის სინათლეზე.
ვერ შევძელი თქვენი ტარება
სულის მჭვირვალე სამკაულივით.
გთხოვთ მაპატიოთ,
რომ ჯიბეში ვეძებდი ხურდას,
ჯამში ლუკმას,
სახლში სითბოს,
კარადაში ლამაზ სამოსელს.
გთხოვთ, მაპატიოთ,
რომ ხელებში ვეძებდი ძალას,
ჰორიზონტზე მზიური კოშკის ქონგურს ვეძებდი,
სახლს ვალაგებდი განუწყვეტლივ სტუმრის ლოდინში,
და როცა ვიღაც მიკაკუნებდა,
ვერასოდეს მიგამსგავსე, ჩემო უფალო...
შენც მომიტევე, სიყვარულო,
როგორ გტანჯე, როგორ გაწვალე,
ერთხელაც ვერ გიშინაურე,
სულ გაზაფხულზე რომ გელოდი,
შენ კი ზამთრის თეთრი სიზმარი იყავი თურმე...
გთხოვთ, მაპატიოთ, რომ დაგტანჯეთ, ოცნებებო,
ძველ ტკივილების ერთგულებით,
სევდით, შიშით და სიხარბით,
რომ სიცოცხლე იმაზე მეტი მსურდა ყოველთვის,
ვიდრე თავად ვიყავ ცოცხალი.
გთხოვთ, მაპატიოთ, თქვენც, დღეებო, განუცდელებო,
სულო, სიმშვიდის არტახებში ნანანავებო,
გთხოვთ მაპატიოთ,
რომ ვერ გაგკვებეთ ჩემი სიცოცხლის ხმელა ყუათი,
ცრემლიც ვერ გასვით.
გულის ბუდიდან გადმოვარდნილო
ამაოების მოშიშარო წამის ბჟიტებო.
წუთადაც რომ ვერ გაქციეთ,
არამც თუ დროდ, არამც თუ ჟამად!

დაფარვა

თოვს.
ფარავს მიწას, ცას, მდინარეს,
ეზოების მოზაიკით ნახატ სამშობლოს,
ფარავს საფლავებს —
ამ სამშობლოს საოჯახო ალბომების
ქვაზე ნაკვეთ სანიშნების უთვალავ წყებას,
ფარავს დაფლეთილ სიცარიელით დაკემსილ ტყეებს,
ფარავს სიპებს და ნასოფლარებს,
ფარავს ფირნიშებს, ბანერებს და
პლაკატების უაზრო ზუზუნს,
ფარავს სიხშირეს სივრცეებში მიმოფანტულებს,
ფარავს ბუდეებს – გაზაფხულის ნაწერ წერილებს,
ფარავს შავიდან გამოუხსნელ
სიფერადეს ჩვენი სამოსის,
ფარავს რუხ-რუხ ბაზრობებში
ნარინჯისფრის გაუგებრობას,
და უხარია, უხარია თავისი თავი,
როგორც პირველი კბილის დაჭერა —
პირველი ძალა და დასტური დედის ჯობნისა.
ასეთია ახლა ეს თოვლი.
თითქოს ელის, როდის ვიკივლებთ
სიხარულს და ტკივილს თანაბრად,
როდის მივუშვებთ გასაზრდელად და
ყვავილებად როდის იქცევა,
რომ სითეთრეში ჩაყურსულ ფერებს ისევ დაერქვას
თავის დაღწევა სიჩვილიდან და სიკვდილიდან,
სანამ ისევ დავიფარებით...

ბაბუაწვერას სამყარო

დილიდანვე
სულს ვუბერავ ირგვლივ ყველაფერს.
სულისბერვით დაიწყო ღმერთმაც:
ჯერ გრძელ ღამეს უბერა სული და
სიბნელე გააცალა.
მერე დილასაც უბერეს სული,
მდუმარება გააცალა
და გამოჩნდნენ ჩიტები...
და სულისმბერველიც გაბევრდა.
გაზაფხულს უბერეს სული და
სიმწვანე გააცალეს.
ზაფხულსაც უბერეს სული და
მწიფე თაველები გააცალეს.
შემოდგომასაც უბერეს სული,
ნაყოფი გააცალეს.
ტყეებს უბერეს სული,
ფოთლები გააცალეს.
მეც მიბერეს სული,
სიტყვები გამაცალეს,
წლები გამაცალეს,
თმის ბულულიც კი...
ჩემს დროს წამები გააცალეს,
ჩემს სივრცეს ფრთები...
რამდენი რამე გაგვაცალეს,
რამდენი ვინმე.
აღარ ჩამოვთვლი,
რამდენი რამე გააცალეს ჩემს სამშობლოსაც
სულის ბერვით, სულის ამოხდით...
ბაბუაწვერა, მასწავლე, აბა,
ასე განძარცულს, ასე შიშველს
არ შემრცხვეს ღმერთის?
და მეუბნება ბაბუაწვერაც:
უკანვე მოხვალ მაგ სულის ბერვით,
ნუ გეშინია...

* * *

...ჩემი და ჩემზე ერთი წლით უფროსი დისშვილის, შორენას საზიარო სიხარული ხაშურის პიონერთა სახლის მხატვრული კითხვის წრეა, თინიკო კოშკაძესთან, სადაც ერთად დავდივართ და თინიკო მასწავლებელი ათასნარ ლექსს გვასწავლის გამოთქმით. მართალი რომ ვთქვა, მე ხმამაღლა ლექსების კითხვა არ მიყვარს, შორენას კი შეუძლია, მთელი სტუმარ-მასპინძელი სიტუაციურად, როლებში წაიკითხოს.

მე კი უფრო ლიანა მასწავლებელთან, ლიანა ტატიშვილთან მისვლა მიხარია ხოლმე, მუსიკაზე. თავის დროზე დედაჩემის დაჟინებული მოთხოვნით დავიწყე ხაშურში ფორტეპიანოზე სიარული და პარალელურად მოვხვდი ლიანა ტატიშვილის საბავშვო ანსამბლში, რომელსაც ჩემთვის უცნაური სახელი „დისკანტი“ ჰქვია და რომელსაც მე ჩემებურად „ნისკარტად“ „ვთარგმნი“, თუმცა ვიცი, რომ „დისკანტი“ სინამდვილეში ბიჭუნას ყველაზე მაღალ, წკრიალა ხმას ნიშნავს.

განსაკუთრებით ხუთშაბათი მიყვარს, რადგან ამ დროს ლიანა მასწავლებელთან შინ მივდივარ სოლფეჯიოსა და მუსლიტერატურის გაკვეთილზე. ამ დროს მთელი სამყარო იხსნება ჩემთვის — ნამდვილი მუსიკით ტკბობა და სხვა ათასგვარი ცოდნა, რომელსაც ლიანას მეტი ვერავინ გასწავლის. თვითონ ნამდვილი ქარიშხალია ლიანა — უნიჭიერესი მუსიკოსი, რომელიც მხოლოდ პროფესიული უიღბლობის გამო აღმოჩნდა ხაშურში და ახლა თავს აქ ისე გრძნობს, როგორც ჭიქა წყალში.

ის არის ყველაზე არაორდინარული ადამიანი, ვინც აქამდე მინახავს. არაფრად აგდებს „ხაშურის კანონებს“ და მხოლოდ მუსიკის უდიდეს სულს ემორჩილება.

მაგრამ ჯადოსნურ სამყაროში შესაღწევად ყოველთვის უნდა გადაიხადო რაღაცა საფასური და ლიანასთან ხუთშაბათობით მისულს ორი დაბრკოლების გადალახვა მიწევს — ერთი მისი ყოვლად საძაგელი ფინიაა, რომელიც მუდმივად ფეხებში მეტანება და ერთიც კიდევ „აუცილებელი“ მათლაფა წვნიანი.

საქმე ისაა, რომ რამდენიმე წლის წინ დედამ დაიჩივლა ლიანა მასწავლებელთან: ძალიან უჭმელია ეს ბიჭი, რა არ ვიღონე და პირს არაფერს აკარებსო და იმის შემდეგ ლიანა წლების განმავლობაში მასთან მისულს მაიძულებს ცრემლებთან ერთად ვყლაპო მისი გაკეთებული უგემრიელესი, მაგრამ ჩემთვის მაინც საზიზღარი სუპი.

კიდევ ერთი რამ, რაზედაც ლიანა გამუდმებით მიჩიჩინებს, ჩემი სიარულის უცნაური მანერაა, რომლის გამოსასწორებლადაც ზოგჯერ მეტად ორიგინალურადაც ირჯება: მაგალითად, ქუჩაში შორიდან მომკრავს თვალს, დამიძახებს, გიორგიო და ჩემკენ ზუსტად ჩემნაირად, ჩლახუნით წამოვა.

შემთხვევას რას უზამ? — ქარიშხალი უცებ შეიძლება ყველას დაატდეს თავს, მაგრამ მასთან ვცდილობ, თავი ვაკონტროლო...

სწორედ ლიანასთან მოვისმინე პირველად ედიტ პიაფის ძალიან კარგი ჩანაწერი და მივხვდი, თავისი განუმეორებლობის მიუხედავად, ვის ჰგავდა ყველაზე მეტად ეს უცნაურად საყვარელი ქალბატონი: ის არის ნამდვილი პიაფი — ხაშურში, ბეღურა — ყინვის საშინელ მარწუხებში...

ლიანას მეზობლად მურად მთვარელიძე ცხოვრობს. მას და მის მეუღლეს, არაჩვეულებრივ ექიმს ნანა კაკიაშვილს ორი შვილი ჰყავთ: პატარა თათია და მასზე უმცროსი მინდია. ეს ბავშვები განსაკუთრებულად მიყვარს და, რა თქმა უნდა, მურადის დედა ქალბატონი ევგენია, რომელიც გვარად ლობჟანიძეა, გვენათესავება და ამის გამო მე „ჟენია მამიდას“ ვეძახი. მართალია, მურადს ამაზე ირონიულად ეღიმება, მაგრამ „ჟენია მამიდა“ ნამდვილ მამიდებზე მეტად თუ არა, ნაკლებად არ მიყვარს. მურადი ხომ საერთოდ, ჩემი იდეალია: არაჩვეულებრივი პოეტი, მეცნიერი, ხაშურის რკინიგზის მესამე საშუალო სკოლის დირექტორი, რომელიც ჯერ კიდევ ჩემი მშობლების სიცოცხლეში გავიცანი, როცა ჩემი ორი ლექსი პირველად დაიბეჭდა ხაშურის რაიონულ გაზეთ „გამარჯვების გზაში“.

ამ ლექსების დაბეჭდვა საერთოდ ძალიან სასაცილო ამბავი იყო.

მუზამ ძალზე ადრეულ ასაკში შემაწუხა

გამომცემლობა „ინტელექტი“ ცოტა ხანში „ჩანაწერების“ სერიით გამოსცემს პოეტისა და მთარგმნელის გიორგი ლობჟანიძის წიგნს „ჩემი ფანჯრებიდან“. მანამდე მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე ჩანაწერს ამ წიგნიდან.

გიორგი ლობჟანიძე

ჩემი ფანჯრებიდან

„ჩვენ ყოველივეს ვხედავთ არა იმგვარს, როგორიც არის, არამედ ისეთს, როგორებიც თავად ვართ...“

თალმუდი

და უფრო მეტად შეაწუხა ჩემი მშობლები და დები, რომელთაც ვერ გაეგოთ, რა მემართებოდა. რატომ მაძლევდა სიცხეს ძალიან ხშირად და მერე დრო და დრო რატომ ვიკეტებოდი და ვჯღაბნიდი რაღაცებს.

მოკლედ, საკმარისად რომ ვჯღაბნე და ლექსების კარგა გვარიანი დასტა დამიგროვდა, ჩემი დებიდან ყველაზე მოხერხებულმა და ყოჩაღმა გადაწყვიტა, რომ ამ განძის მხოლოდ ოჯახის საკუთრებად დატოვება აღარ შეიძლებოდა და ხაშურის რაიონული გაზეთის რედაქციაში გადამიძღვა.

რაიონული გაზეთის რედაქტორმა გაგვაცნო თავისი თანაშრომელი გოგი გოგოლაძე და გვითხრა: აი, ეს კაცი დაგაკვალიანებთო. მეც დამსვა „ძია გოგიმ“ (როგორც მაშინ და მერეც კარგა ხანს ვეძახდი) და დიდი მოთმინებითა და სიყვარულით გამომკითხა ყველაფერი. მართალი გითხრათ, მე არაფერი მახსოვს, მაგრამ როგორც ახლა თვითონ გოგი იხსენებს, რომ უკითხავს, აბა ახლა რას კითხულობო: მითქვამს, გოგებაშვილის მესამე ტომს-მეთქი. იმას ჰგონებია, ვიტყუებოდი და ჩამძიებია, აბა, რა წერია მაგ მესამე ტომშიო და მე თითქმის ზეპირად მომიყოლია გოგებაშვილის პედაგოგიური წერილები.

კიდევ ერთი ფრაზა, რომელიც მაშინ სრულიად პათეტიკურად წამომისვრია და რაზეც გოგი დღემდე დამცინის, იყო ის, რომ შეკითხვაზე, აქ ეს და ეს სახე ასე რატომ გიწერიაო, მიმიგია: „იცი, რა, ჩვენ, პოეტები, სულ სხვანაირად ვხედავთ სამყაროს-მეთქი“.

იმის შემდეგ გოგი, რამდენი შემხვდება, სულ ამას გაიძახის „ჩვენ, პოეტებიო“, მაგრამ მართალი გითხრათ, მე ეჭვი მეპარება, რომ ეს ფრაზა მეკუთვნოდეს, რადგან იმდენად მორიდებული ბავშვი გახლდით, ამის თქმას უცხო ადამიანს ვერასდროს შევბედავდი. ხოლო თუ ვთქვი, ეს იმას ადასტურებს, რომ იმ წუთას ძალიან სტრესულ მდგომარეობაში ვიყავი.

ასე იყო თუ ისე, დაიტოვა გოგიმ ეს ჩემი დასტა და იქიდან ორი ლექსი აარჩიეს, რომელიც 1986 წლის 11 ივლისს გაზეთ „გამარჯვების გზაში“ დაიბეჭდა.

იმავე საღამოს, სოფლის ფოსტალიონმა, ჟენია ძალომ, სულ ფრიალ-ფრიალით მოგვირბენინა გაზეთი, რომელმაც მოიარა ოჯახის ყველა წევრი და საბოლოოდ სამუდამოდ დაიდო ბინა დედაჩემის წინსაფრის ჯიბეში.

დედას უფრო ის უხაროდა, რომ გიჟი კი არა, პოეტი აღმოვჩნდი... მამაჩემისთვის პოეტობაც დიდი ვერაფერი შეღავათი იყო, მაგრამ მაინც წელში გაიმართა, რადგან ამით ჩემს უცნაურობას ასე თუ ისე რაღაც პატარა გამართლება მაინც მოეძებნა...

უფრო დიდი სიხარული კი მეორე დღეს მელოდა თურმე, როცა იმავე ჟენია ძალომ ახლა უკვე დეპეშა მოგვიტანა, მაშინდელი სრული წესის დაცვით, კირილიცათი აკრეფილი ქართული სიტყვები: äèäè ñèõàðóëèò öàâèêèòõå òêâåí è ëåêñåáè, àóñèëåáëàä ãí àõàâò Ì óðàä Ì òâàðåëèäçå.



ეს ნაბახტევის მასშტაბებისათვის უკვე მსოფლიო აღიარება იყო.

„აღიარებაზე“ მთავარი კი ის არის, რომ მურადი ამის შემდეგ ჩემთვის ნამდვილ მასწავლებლად იქცა. ჩემი — პირველი სკოლიდან— გამოსული მისი — რკინიგზის მესამე— სკოლისაკენ მივიჩქაროდი და თან ახალ-ახალი ლექსები მიმქონდა. მურადს შეეძლო უდიდესი სიხარულით ეკითხა ეს ჩემი უმწიფარი ნაწერები და საათობით ესაუბრა ჩემთან პოეზიასა და ლიტერატურაზე. ახლა მიკვირს, როგორ შეეძლო ისედაც უამრავი მოვალეობით გადაღლილ ადამიანს ასე მოთმინებით, სიხარულით ედევნებინა თვალი ჩემი ნაბიჯებისათვის, ასე ყველაფრით დაინტერესებულიყო და ჩართულიყო ჩემს ბედისწერაში. მოგვიანებით, ერთხელ შემომთავაზა კიდეც, იქნებ ჩემს სკოლაში გადმოხვიდე სასწავლებლადო, მაგრამ მე კატეგორიული უარი ვუთხარი, რადგან ხაშურის გიმნაზია ანუ მაშინდელი პირველი საშუალო სკოლა ყველაფერს მერჩივნა. საოცრად მიყვარდა ჩემი კლასელები და მათთან დაშორებას ვერაფრით ავიტანდი. სოფლის სკოლიდან გადმოსული, თავის დროზე, ამ კლასმა ძალიან კარგად მიმიღო და ახლა ჩემი გოგო-ბიჭების თავს არაფერი მერჩივნა. თან მორიგი შეყვარებულიც კლასშივე მყავდა და აბა, იმას მურადში როგორ გადავცვლიდი?!

სიყვარულებზე ცოტა უფრო მერეც შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ საუკეთესო მასწავლებლები მყავდა. ჩვენი კლასის დამრიგებელი თამარ გაგნიძე ისტორიას გვასწავლიდა. სკოლის დირექტორი ლია ებანოიძე გერმანულს, ნელი ფცქიალაძე — ფიზიკას, ციალა ბერიძე — რუსულს, ლილი ცხოვრებაშვილი — მათემატიკას, მერი ხარაბაძე — ბიოლოგიას. ჩემი გამოკვეთილი ინტერესების გამო კი ყველაზე კარგად, ცხადია, ქართულის მასწავლებლებს ვეწყობოდი: მეხუთე-მეექვსე კლასში — მარინა ციცქიშვილს, რომელიც მეშვიდე კლასიდან მეთერთმეტეს ჩათვლით ჩემთვის სრულიად განსაკუთრებულმა ადამიანმა ფატი კურტანიძემ შეცვალა.

ფატის მასწავლებლობამდეც კარგად ვიცნობდი. ჯერ კიდევ მეოთხეკლასელის ლექსების ჩასაწერად რადიოდან ხაშურში ჩამოვიდა მისი კურსელი ქეთევან (საქინე) ონიკაშვილი — ფერეიდნელი გურჯი, რომელიც ფერეიდნელების პირველი ჩამოსახლებული ტალღის შვილი იყო, 14 წლიდან საქართველოში გაზრდილი და ჩვენი უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის კურსდამთავრებული. მაშინ ჩვენთან ქეთინოს ფატი კურტანიძეც მოჰყვა თავისი 4 წლის გიორგი კერესელიძით და მას შემდეგ ფატი კურტანიძე და მისი ოჯახი ჩემი მეორე ოჯახიც გახდა.

უფრო სწორად, ეს ძია გიორგი კურტანიძისა და მარო დეიდას — მარიამ კონსტანტინოვის დიდი ოჯახი იყო: ფატით, დარეჯანით, გიორგით, მურმანით, მერე კი ტუხოთი და თევდორეთი...

ოჯახში, რა თქმა უნდა, მთავარი გიორგი ძია იყო — საოცრად კეთილი, მაგრამ სიტყვაძუნწი კაცი, რომელიც მხოლოდ მზერით მოგეფერებოდა. ასეთი მოფერება მარტო ძია გიორგის შეეძლო. არასოდეს დაუწყია იმისი მტკიცება, როგორ ვუყვარდი. არადა, ყოველთვის ვგრძნობდი და სულ მინდოდა მეყურებინა, რას საქმიანობდა ეზოში. ეს მთელი სიამოვნება იყო: საქმეში ჩაფლული ძალიან კეთილი ადამიანი, რომელიც გარშემო სინათლეს ასხივებდა.

ძია გიორგის სტალინი უყვარს და ჩვენი ანუ ახალგაზრდების დიდი პროტესტის მიუხედავად, მაინც პერსონალურად სვამს ხოლმე მის სადღეგრძელოს.

ქვეყანაში კი ეროვნული მოძრაობა და ზვიად გამსახურდიას იდეები მძვინვარებენ და ჩვენ ძია გიორგის ტუჩსაც კი ვუბზუებთ: რა დროს სტალინია, მაგან დაგვაქცია! „ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოოფადიო...“ ილია ჭავჭავაძეს ვიშველიებთ და სხვისა არ ვიცი, მაგრამ მე პირადად იმ სკოლის პერიოდში ნამდვილად არა მაქვს ილია ჭავჭავაძე კარგად წაკითხული. გიორგი ძიას შეუპოვრობის მიუხედავად, კამათი არ სჩვევია და გვითმობს. ჩუმდება, თუმცა ისე გვიყურებს, ამ მზერაში ყველაფერი იგულისხმება...

მარო დეიდა უფრო აქტიური სიკეთე გახლავთ. თუ გინდათ გაიგოთ, რას ნიშნავს, ქართული სიტყვა „ჯავარი“, ამდენი ხნის მერეც მარო დეიდა უნდა ნახოთ და ზუსტად მიხვდებით, რა იგულისხმება ამაში.

ხმაურიანი,მშფოთვარე და დაუდგრომელია. ჩემი სტუმრობისას, ხომ აღარ იცის, როგორ მასიამოვნოს. სულ რაღაცას აკეთებს, მისი თათარბერაკისნაირი თათარბერაკი კი, შეიძლება ითქვას, არსად მიჭამია!

ფატიმ პირველი შეხვედრისას რაბინდრანათ თაგორის წიგნი მაჩუქა, შიგნით რაჭული ყოჩივარდებით ჩახვავებული. რაჭაში თურმე ყოჩივარდას „კაწარკუწუროს“ ეძახიან და მას შემდეგ ფატმანსაც შერჩა ჩემგან ეს სახელი. ყველაზე საყვარელი კაწარკუწუროა ამ ქვეყნად! თაგორის ყდაზე კი ასეთი წარწერაა:

„სიცოცხლე ნიჭად გვენიჭება“ — ეს სიტყვები ამ წიგნში შეგხვდება, აი ესეც: „ჩვენ შეცდომით წავიკითხავთ ხოლმე ცხოვრების წიგნს, ვამბობთ კია, რომ იგი გვატყუებს. მე მჯერა, ისე იცხოვრებ, სიცოცხლეს სიყვარულით აავსებ და გაამშვენიერებ...“

რაჭული კაწარკუწუროები გახმა, მაგრამ ყავლი არ გასვლია ამ რჩევას: ვცდილობდი მივყოლოდი... არ ვიცი კი, რამდენად მოვახერხე...

* * *

კურტანიძეების გარდა, ხაშურში კიდევ ერთი ოჯახი და სამი თუ ოთხი კულტურული დაწესებულება მაქვს, სადაც ხშირად ვტრიალებ. ერთი მაყვალა ხაჩიძის სახლია. იქ მაყვალა და მისი ვაჟი გიგა ცხოვრობენ. გიგა ჩემზე ოთხი წლით უფროსია და თურმე ეჭვიანობს, დედას ეუბნება, გიორგი უფრო მეტად გიყვარს, ვიდრე მეო.

მაყვალა რაიონული გაზეთის რედაქტორის მოადგილეა და უამრავი საქმე აქვს, მაგრამ იშვიათად ნახავთ მასზე უფრო ხალისიან და მუდმივი ძიებებით შეპყრობილ ადამიანს. არაჩვეულებრივად ესმის პოეზია და თვითონაც წერს პატარ-პატარა მარგინალიებს, რომელსაც თითქმის არავის უჩვენებს. ისე, მშვენიერი ჩანაწერებია. მაყვალას უყვარს ყველა, განსაკუთრებით კი ორი ადამიანი — ზურა კიკნაძე და ტარიელ ხარხელაური. ზურა მისი ძვირფასი ლექტორი იყო, ტარიელი — მისი სტუდენტობის დროინდელი ძმადნაფიცი. ტარიელის ლექსები სწორედ მაყვალასგან და გოგისგან ვიცი ზეპირად. მაყვალა კი დაპირებულია, რომ გაზაფხულზე ტარიელთან სიმონიანთხევში წამიყვანს და ჩემს საყვარელ პოეტს პირადად გამაცნობს.

მაყვალამ ძალიან არტისტული თხობა იცის. თხრობისას მისი ჩვეული ფრაზაა — „არ ვაჭარბებ!“ — მაგრამ ჩვეულებრივი, მერკანტილური ადამიანისათვის, რა თქმა უნდა, ეს მონათხრობი ბევრი რამით ჰგავს გადაჭარბებულს... მარტო მე და მაყვალამ ვიცით, რომ რასაც ახლა და ამ წუთას მიყვება, შეთხზული კი არა, სრული სიმართლეა...

ის ასეთია და სამყაროსა და, რაც მთავარია, ხაშურს აიძულებს, ასეთი მიიღონ. დიახ, ნუ გაგიკვირდებათ: ხშირად სამ-

ყაროს მოთვინიერება უფრო იოლია, ვიდრე ხაშურისა და მაყვალამ შეძლო, ამ პატარა, ყრუ და პირქუშ ქალაქში თავისი წილი პოეზია აეყვავებინა...

მაყვალას პატარა ბინაში თითქმის მთელი ხაშურის ინტელიგენცია იკრიბება. არავის ულხინს, ისეთი დროა, მაგრამ ადამიანებს ერთმანეთის ნახვა და ერთმანეთთან ყოფნა ჯერ კიდევ უხარიათ. მაყვალასთან თითქმის განუყრელად არის მზია მაღალდაძე — ხაშურელი პოეტი და მხატვარი.

არ ვიცი, რომლის იდეაა, მე მგონი, უფრო მზია მაღალდაძისა, მაგრამ ერთხანს ეს ჯგუფი სპირიტუალიზმმა „გაიტაცა“: თეფშს ატრიალებენ და არიან ერთ ამბავში... მეც, ჩემი მეოცნებე ნატურის გამო, მსგავსი ამბები ძალიან მაინტერესებს და არცერთ „თეფშის ტრიალს“ არ ვაკლდები, თან გულწრფელად რომ გითხრათ, ამ ყველაფრისა ძალიან მეშინია. მაგრამ როგორ გინდა ცდუნებას გაუძლო, როცა მზია მაღალდაძე ჩაბნელებულ ოთახში, არ მეტი არც ნაკლები, ილია ჭავჭავაძის სულს გამოიძახებს და იდუმალი ხმით ჰკითხავს: როდის გათავისუფლდება ჩვენი ტანჯული ქვეყანა დამპყრობლების მარწუხებისაგან?

უცებ ტორტმანით დაიძვრება სანთლით გახურებული ლამბაქი, ჯერ მ-სთან მივა, მერე ა-სთან, მერე ლ-სთან და ბოლოს ე-საც რომ მიადგება, მთელი ეს სპირიტუალური საზოგადოება შვებით ამოისუნთქავს: „მალე!“

მართალია, ყველას ერთმანეთზე ეპარება ეჭვი, რომ თეფშს სწორედ ის, სხვა ატრიალებს, მაგრამ საბოლოო სიხარული იმდენად დიდია, რომ ყოველგვარ ეჭვს აქარწყლებს: ჩვენ დიდი ილიას სული დაგველაპარაკა და გვითხრა, რომ მალე გავთავისუფლდებით.

ხოლო იქ მყოფთაგან მე მაინც იმითი განვსხვავდები, რომ სხვების გარდა, ჩემს თავში უფრო მეპარება ეჭვი. დღესაც არა ვარ დარწმუნებული: იქნება იმდენად ვიყავი მონუსხული იდეით, რომ ლამბაქს იმ წუთას საჭირო ასოებისაკენ სწორედ მე ვეწეოდი...

ფაქტი ის არის, რომ მეც მათთან ერთად გახლდით ჩართული ამ ყოვლად მისტიკურ საქმიანობაში, რომელსაც აგდებითა და იუმორით მხოლოდ გოგი გოგოლაძე და თამაზ ლაცაბიძე უყურებდნენ.

გოგი ამ ყველაფერს, საერთოდ, კომენტარის ღირსადაც არ მიიჩნევს, თამაზ ლაცაბიძე — ხაშურის მხარეთცოდნეობის დირექტორი — კი ირონიულად გვეკითხება საქმის დეტალებზე. რაიო, მერე ილია მაღალდაძემ? — იკითხავს და ეშმაკურად აპაჭუნებს თვალებს...

ერთხელ, თეფშმა, როცა საქართველოს ბედისწერის გამო ამჯერად სულხანსაბას სული შევაწუხეთ, ჩვენთვის ყველასათვის გაურკვეველი სიტყვა „მთოემა“ დაგვიწერა. ვკითხეთ, ეს რას ნიშნავსო და სულხან საბასავე ლექსიკონის სტილით აგვიხსნა: „ესე არს ოცნებაი სანუკველი, მალე ახდენილი“....

მოკლედ, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და მე, ეთერ ტაბატაძე და დათო წიქარიშვილი ერთმანეთს გადავეხვიეთ... ხოლო „მთოემა“ ჩვენი კოდური სიტყვა გახდა მამულის თავისუფლებისათვის იმპერიულ ელემენტებთან უთანასწორო ბრძოლაში...

თამაზი კი ისევ იცინოდა: რაიო,რაიო, სულხან საბა მაღალდაძემ?

თამაზ ლაცაბიძე, მართალია, სპირიტუალიზმისაგან შორს დგას და ამდენად, ჩემთვის ისეთი საინტერესო არ არის, როგორც ვთქვათ, მზია მაღალდაძე ან ეთერი ტაბატაძე, მაგრამ ცუდი ადამიანი ნამდვილად არ ეთქმის. ჩვენ შორის ყველაზე მყარადა დგას მიწაზე, მაგრამ თეფშის ტრიალისა არ იყოს, თითო ახირება ყველასა აქვს და მისი გატაცება იმხანად მომრავლებული ჟურნალ-გაზეთების შეგროვება და აკინძვაა.

პარალელურად, დიდი რუდუნებით იკვლევს ხაშურის რაიონის ისტორიას და დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. „სპირიტუალისტებს“ ალბათ ყველას სულის გამოძახებას გვაპატიებს, დიმიტრი ყიფიანის სულის შეწუხების გარდა. უცოლოა და ხაშურელი ლამაზმანები მისთვის დნებიან, ის კი ხაშურის ისტორიულ წარსულზეა შეყვარებული და ახლანდელიც მხოლოდ იმიტომ აინტერესებს, რომ არის პერსექტივა — მომავალში ისიც წარსულად იქცეს...

ჩემს დას ხანდახან თბილისში საბუღალტრო ანგარიშები აქვს ჩასატანი და ამიტომ, ჩემს თავს, როგორც ყველაზე სანდო ადამიანს, სწორედ თამაზ ლაცაბიძეს აბარებს: ცუდ ასაკშია, მაინც ყურადღებით იყავით, არაფერი დააშავოსო.

თამაზიც, შესვენებაზე გამოიქცევა და მამოწმებს, სკოლაში ვარ თუ არა და ისეთს ხომ არაფერს ვაფუჭებ, — მაგალითად, სიგარეტს ხომ არ ვეწევი.

ამის შემოწმების მეტად ორიგინალური მეთოდი აქვს. სკოლის უკან გამიხმობს და მკითხავს: რაღაც, პაპიროზი ვერ ვიყიდე და შენ ხო არა გაქვს, ერთი ღერი რომ მომაწევინო! ჰოდა, მეც აბა, თამაზს სიგარეტით გამასპინძლებაზე უარს ხომ არ ვეტყვი....

ხანდახან, გაკვეთილების შემდეგ მუზეუმში ავყავარ და იქ ერთად ვსადილობთ.

* * *

ბიძაჩემი მეძახის, გივი ძია, სინამდვილეში მამას ბიძაშვილია, მაგრამ რაკიღა ერთმანეთთან ახლოს ცხოვრობდნენ, ამათ უფრო უყვარდათ, მგონი, ძმებივით ერთმანეთი. ახლაც ჩემი მშობლების სიკვდილის შემდეგ სულ გივი ძია და ნათელა ძალო ირჯებიან. დღე ერთია და ათჯერ მეძახიან. ხან ნათელა შემოვა და შემოიტანს თავის გამომცხვარ უგემრიელეს ნაზუქებსა და შოთის პურებს, ხან გივი ძია შემოაბოტებს, როგორა ხარო, დამხედავს. სულ მამაჩემზე მელაპარაკება. ათჯერ მაინცა მაქვს მოსმენილი, როგორ გააბრიყვა ორი კაცი „ვიღაც ციგნის ქალმა“.

სოფელში ბოშები მოსულან. მამაჩემისათვის ოქროს ბეჭდები შეუძლევიათ იაფად. იაფობაზეც ფული სახლში არ აღმოსჩენია, დაუძახია გივი ძიასათვის: „პატიოსანი ქალი ჩანს, თურმე უჭირს და იაფად უნდა გაყიდოს ამისთანა ოქროული. მოდი, ხელიდან ნუ გაუშვებო... გივისაც გამოუტანია სამი თვის დანაზოგი სამასი მანეთი, ჩაუთვლია „ციგნის ქალისათვის“ ყალბ ოქროში და ვენახიდან შინ მობრუნებული ნათელა ძალოსათვის უხარებია: ნახე, ინგუშამ რა პატივი მცა, რა იაფად მაყიდინა ამდენი განძიო!“ ნათელა გაგიჟებულა: „ის ციგნის ქალი გზაზე შემხვდა და განა არა! — გამიკვირდა, რას გარბის ასეთი ფართხაფურთხით, თან უკან-უკან რას იხედება-მეთქი და, თურმე ჩემი ოჯახი არ დაუქცევია! მოვიდეს აქა ლილი, მაგ ინგუშას აჩვენებს სეირსაო!“

ინგუშა მამაჩემია. სინამდვილეში ილო ჰქვია, მაგრამ რაჭველი პაპის, ერასტიას, შერქმეული საალერსო სახელი მთელი ცხოვრება შერჩა. ის კი არა, ჩემი დებიდან ზოგი დაბადების მოწმობაშიც კი ინგუშას ასულად წერია...

მამა ვის არ უყვარს, მაგრამ მართლა იშვიათად შეგხვდებოდათ ასეთი კეთილშობილი ადამიანი. საერთოდ, არ მახსოვს მისი ხმამაღალი სიტყვა. იჯდა თავისთვის, საქმიანობდა და უხაროდა და უყვარდა ყველა და ყველაფერი...

„რა მოხდა მერე, კაცო!“ — ჩაილაპარაკებდა ხოლმე თავისთვის, როცა ვიღაცაზე გაგულისებულები რამეს მოუყვებოდნენ. ძალიან მაღალი იყო და შინისაკენ მომავალს, სახლიდან რომ გავხედავდი, შორიდანვე დავინახავდი ხოლმე.

დედაჩემი, ლილი, კი მისი სრული ანტიპოდია: ტანმორჩილი, მკვირცხლი, სიხალისითა და სიცოცხლის სიყვარულით სავსე.

ინგუშას ფლეგმატური ბუნების ფონზე ის ნამდვილი მეხია და ვაი იმას, ვისაც თავს დაატყდება. ქართული ენის თითქმის დამშრალი ნაკადულები ლილის ბაგეებიდან უშრეტი ჩქეფით მოედინებიან. ის ნამდვილი სიტყვის ოსტატია და ამ ოსტატობას მოფერებისასაც და ბრაზისასაც შესაბამისად იყენებს.

ახლაც ტყუილად კი არა დაიმუქრა ნათელა ძალომ, მოვიდეს ჯერა ლილიო!

მართალია, მამაჩემთან, ძირითადად, სიყვარულით განიარაღებულია ხოლმე, მაგრამ ასეთ შემთხვევაში სიტყვას მაინც გადაუშხივლებს.

ჰოდა, ნათელა იხსენებდა: „მოვიდა მეურნეობიდანა ლილი, მოვუყევი ეს ამბავი, აი, ასე დამაქცია შენმა ქმარმა-მეთქი და იმანა კიდევა, განა ჩემი ოქროები იწუხა, ასე მითხრა: რა ვუყო, ქალო, მარტო ინგუშას შეიძლება ეგონოს ციგნის ქალი პატიოსანიო!“

აბა, მაშინ კი გაიგიჟა ლილიმ თავი, გივიმ და ინგუშამ თქვენი საბძელი რომ გადაწვესო.

ეგ როგორ იყო-მეთქი.

მე არ მახსოვს ეგ ამბავი და ნათელა ძალო სულ კეთილი ღიმილით მირაკრაკებს:

„ტრუბა ეგდო აქა, ჩვენ სახლთანა. გივისა ვირთხა შეუმწყვდევია შიგა. ჰოდა, ვისთვის უნა დაეძახა. მოუხმია ინგუშაი. რა ვქნათო და არ ვიცი, რომელმა მოიფიქრა, მაგრამ უთქვიათ: მოდი, ვირთხასა ცეცხლი მივუნთოთო! განა პატარები არიან — დაოჯახებულები არიან, მარა ჭკუა მაინც არცერთს არა აქ თავში. ჰოოდა, ამოუგლესიათ ტრუბის ცალი პირი, დაუსველებიათ ჩვარი, მიუნთიათ ცეცხლი და მიუკიდებიათ ვირთხისთვინა. იმასაცა უწივლია და რო განწარებულა, გაუნგრევია ტრუბის ამოლესილი პირი, უდურთია თავი და შევარდნილა პირდაპირ თქვენ საბძელში.

აგვისტოს შუაა და ბზე გვაქ ყველას ახალი დაბინავებული. რო მოედო ამ თქვენ საბძელსა ცეცხლი, ვეღარავინ ვერაფერი გააწყო. ხუთ წუთში დაიწვა. საბძელს ვიღა ჩიოდა, გული გვისკდებოდა, სახლზე არ გადავიდესო.

ლილიც გამწარდა, მარა ბზეს და საბძელს კი არ ჩიოდა, მთელი სოფელი იმას იძახდა: გიჟია ეს ქალი, ქმარს ეუბნებოდა: ვირთხა არ შეგეცოდათ, მხეცები ხომ არ იყავით? ცეცხლი როგორ წაუკიდეთო?!

უი, მოისპოს ამისი თავიო! — გადახედავს გივი ძიას, — ეს არი, რაც არი, თორე მამაშენი მაგას როგორ გააკეთებდაო...

ნათელა და გივი, ძირითადად, სულ ერთად დადიან. ამიტომ მნიშვნელობა არა აქვს, რომელი შემოვა პირველად ეზოში, მალე იქვე მეორეც გაჩნდება, თითქოს გვერდზე სოკოსავით ამოეზარდაო.

გივიმ იცის ყველაზე მყრალი გინება მთელ სოფელში და თავის ცოდნას უმთავრესად ნათელას უზიარებს ორშაურად, მაგრამ უერთმანეთოდ მაინც ვერ ძლებენ და ნათელა ძალოსაც ისე აქვს გივის გინებაზე ყური მიჩვეული, რომ მგონი, თავისი ქმარი დავით მეფსალმუნე ჰგონია.

მე კი რა მოგახსენოთ.. რადგან ჩვენს ეზოებს მხოლოდ ერთი ორღობე — „ვანოს გზა“ ჰყოფს, გივის გინება მესმის 24 საათი და ვერ გეტყვით, რომ ძალიან მსიამოვნებს...

* * *

ხინცა ჩვენში, როგორც სოფელში ამბობენ, ყველაზე „ეშმაკია“, ანუ ყველაზე გონიერია და მოხერხებული, მე საერთოდ გულუბრყვილო ვარ და ამიტომ, ბავშვობაში ძალიან იოლად მაბრიყვებდნენ.

წყალი დღემდე მიყვარს, მაშინ ხომ მდინარეზე ვგიჟდებოდი და დათბებოდა თუ არა, ფრონიდან ვეღარავის ამოვყავდი.

ერთხელ, სწორედ ამ ხინცას წაქეზებით, თებერვალში ტანსაცმლიანად ვიბანავე მდინარეში. რაღაცნაირად თბილი თებერვალი კი იდგა, მაგრამ ხაშურის პირობებში ხომ წარმოგიდგენიათ, მაინც რა სიცივე იქნებოდა. უბრალოდ მზემ დააჭიატა ერთ დღეს და ჩვენც მდინარეზე ჩასულმა მეორე თუ მესამეკლასელებმა გადავწყვიტეთ, ბარემ აქ ვართ და ვიბანავოთ კიდეცაო.

სხვებმა ტანთ გაიხადეს, მე კი, არ ვიცი, ჩავვარდი თუ ვეღარ მოვითმინე და წყალში ტანსაცმლიანად გადავეშვი. კარგა ხანს ვიყურჭავე, მაგრამ ეტყობა წყლის სუსხმა მომაფხიზლა და ნაპირზე რომ ამოვედი, პირველი ის გავიფიქრე, სახლში მომკლავენ-მეთქი. ტანსაცმელი გავიხადე, გავწურე და ასკილის ტოტებზე მივაფინე. თვითონ კი რიყეზე ჩამოვჯექი და ჩემი ჭკუით, სველი სვიტრისა და შარვლის გაშრობას ველოდი. ბედად, რომელიღაცა მეზობელს დავენახე, ჩვენთან ასულიყო და ჩემი დებიდან უმცროსი დისთვის, ირმასათვის, რომელიც იმ წუთას შინ დახვედროდა, ეთქვა: შენი ძმა რიყეზე ტინტრიკელა გდია და ტანსაცმელს იშრობსო. ჩემი და მაშინვე გამოქცეულიყო და თვალი შორიდანვე მოვკარი, რიყეზე ჩამოქანებულმა, როგორ შეატეხა იქ ამოსულ ტირიფებს წკეპლის რამდენიმე ტოტი.

აბა, წკეპლა ეგრე არ უნდაო, ტანსაცმელი მივატოვე და სოფლის შარაზე გავიჭერი. წინ მე მივრბივარ და უკან ჩემი და მომდევს წკეპლის ქნევით. მთელი სოფელი შემოვარბენინე, სანამ საბოლოოდ ქანცი თვითონვე არ გამიწყდა და სახლში არ შევვარდი.

დღემდე მახსოვს, იმ ბავშვური სირცხვილის გრძნობა: როგორ გავრბოდი სოფლის გზაზე სრულიად შიშველი და არა თუ მახსოვს, ეს ამბავი ზოგჯერ ახლაც კი მესიზმრება.

საერთოდ, ძალზე სუსტი ბავშვი ვიყავი და ხშირად ავადვმყოფობდი, მაგრამ მაშინ, ჩემებს რომ ეგონათ, ფილტვების ანთებას ვერ გადაურჩებაო, არაფერი დამმართნია. შეიძლება იმის გამო, რომ სოფლის გზაზე სირბილმა გამახურა და სირცხვილი კი ვჭამე, მაგრამ სნებას გადავურჩი.

ბავშვობაში ჩემი დებიდან ყველაზე სიღრმისეული შინაგანი კავშირი, სწორედ ამ მეხუთე დასთან, ირმასთან მქონდა. მაშინ ძალიან დიდი მეჩვენებოდა, სინამდვილეში კი 7 წლით უფროსია ჩემზე და მიუხედავად, ზემოაღწერილის მსგავსი, პერიოდული სადამსჯელო ოპერაციებისა, ჩვენ მაინც ყველაზე კარგად გვესმოდა ერთმანეთის.

გარდა ამისა, ირმა ერთადერთი იყო ჩემი დებიდან, ვინც ბავშვობაში არაჩვეულებრივ ლექსებს წერდა და ეტყობა, პოეზიის სიყვარულიც გვაერთიანებდა, რომელსაც მაშინ, რასაკვირველია, ვერ ვაცნობიერებდი.

ამას გარდა, სწორედ ირმასგან ვიცოდი ბევრი რამ, რასაც უფროსები საგულდაგულოდ მიმალავდნენ. მაგალითად, იმას, როგორ სრულიად ალალბედზე ვიყავი გაჩენილი.

საქმე ისაა, რომ დედაჩემი ჩემზე 41 წლის ასაკში დაფეხმძიმდა. ეს ახლაც და მითუმეტეს მაშინ, სოფელში დიდ სირცხვილად ითვლებოდა. ამიტომ დიდხანს მალეს ეს ამბავი და ბოლოს, დედამ ხაშურში წასვლა და მუცლის მოშორება გადაწყვიტა. გამოეწყო თურმე ერთ დღესაც და ის იყო შინიდან გასვლას აპირებდა, რომ ჭიშკარს ზედა უბანში მცხოვრები ქალი, ოლიკა ქადაგი მოსდგომია.

ოლიკა ქადაგი მე არ მახსოვს, ამიტომ, ძირითადად, ირმას გადმოცემით ვიცი, როგორი იყო. ჯერ ალბათ ის უნდა ითქვას, რას ნიშნავს ამ კონტექსტში „ქადაგი“.

ჩემს ბავშვობაში სოფელში ცხოვრობდა რამდენიმე ქალი, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ წმინდა გიორგიმ ან რომელიმე სალოცავმა აირჩიეს მსახურებად და თანასოფლელებს ამ სალოცავთა ნებასურვილს ამცნობდნენ.

ეს მოხუცებულიც სწორედ ასეთი ქადაგი ყოფილა, ატოცის წმინდა გიორგის რჩეული და ხელდასხმული.

ირმასგან ვიცოდი, რომ ისე ჩვეულებრივი არაფრით გამორჩეული ქალი იყო, მაგრამ როცა წმინდა გიორგი ალაპარაკებდა, სულ სხვანაირი ხდებოდა: ხმა ეცვლებოდა და სახე უნათდებოდაო.

ჰოდა, დაუძახია ოლიკას ჭიშკრის იქიდან თავისი ხმით, მაგრამ ეზოში შემოსულა თუ არა, ქადაგად დავარდნილა და დედაჩემისათვის უთქვამს: მე წმინდა გიორგი ვლაპარაკობ! ახლა ორსულადა ხარ, აპირებ, მუცელი მოიშორო, მაგრამ ეგ არ ქნა, თორემ დაისჯები! ბიჭი გეყოლება და ჩემს სახელს დაარქმევო.

დედას ძალიან შეშინებია, რადგან მისი ფეხმძიმობის ამბავი მამაჩემის გარდა არავის სცოდნია, და ოლიკა ქადაგის სიტყვები უზენაეს ჭეშმარიტებად მიუღია. უკვე გამოწყობილი, ხაშურში კი წასულა, მაგრამ ექიმის მაგივრად, მამიდაჩემს მიდგომია და ყველაფერი უამბნია. თამარა მამიდას უთქვამს: აბა, რა სისულელე დაგიპირებია. გააჩინე ეგ ბავშვი და თუ კიდევ გოგო გეყოლება, მე წამოვიყვანო!

ან გოგოს ვინ გამოატანდა, მაგრამ დედა უკან დაიმედებული მობრუნებულა.

ეს ამბავი რომ დაიჯერო, საკუთარი გამორჩეულობა უნდა ირწმუნო. აქედან ფსიქიატრიულ საავადმყოფომდე კი ერთი ნაბიჯია. ამას ახლა ვაცნობიერებ, მაგრამ კარგი ის იყო, რომ გადმოცემის მისტიკურ მხარეს ბავშვობიდანვე დისტანცირებულად ვუყურებდი და ყველაფერი, თუ მთლიანად ირმას ფანტაზიის ნაყოფად არა, მის მიერ ხატოვანი აღწერით გამკვეთრებულად მაინც მიმაჩნდა. შეიძლება იმიტომ, რომ ოლიკა ქადაგი ჩემს მოჩიტვამდე გარდაცვლილიყო და აღარ მახსოვდა.

XV

ემზარ კვიტაიშვილი

ვიგონებ, როგორც ცოცხალს

ზოგი რამ აკაკი გაწერელიას პიროვნებასა და ღვაწლზე

ვერასგზით ვერ ვისწავლეთ (ეს მხოლოდ ჩვენი ნაკლი არ გახლავთ, ამ მხრივ სხვა ერებიც სცოდავენ) ღირსეულ მოღვაწეთა სიცოცხლეში დაფასება. ამაზე ჯერ კიდევ აკაკი წერეთელი წუხდა, ლექსად და პუბლიცისტურ წერილებში გამოთქვამდა თავის საყვედურს. ის კი არა, ზოგჯერ გარდაცვალების მერეც ვერ მივაგებთ შესაფერის პატივს გამოჩენილ, საამაყო ადამიანებს. ასე რომ არ იყოს, სამი წლის წინ მთელ საქართველოს უნდა აღენიშნა დიდი სწავლულისა და მწერლის, ჩვენი საუკეთესო ლექსმცოდნისა და ლიტერატურის ისტორიკოსის აკაკი გაწერელიას დაბადების ასი წლისთავი, მაგრამ რატომღაც ეს ძალზე მნიშვნელოვანი თარიღი უყურადღებოდ დაგვრჩა.

აკაკი სწორედ აკაკი წერეთლის თაყვანისცემის გამო დაარქვეს მისმა მშობლებმა და ისიც ბავშვობიდანვე ცდილობდა თავისი გენიალური სეხნიის სახელი გაემართლებინა. აკაკის იგი ყველაზე ეროვნულ პოეტად, სიმღერებად ქცეული მელოდიური ლექსების მეფედ თვლიდა და ერთგან კიდევაც დაწერა — ახალდაბადებულ ქართველს სამზეოზე აკაკის „იავნანათი“ ეგებებიან და ბოლოს, როცა გარდაიცვლება, სამუდამო განსასვენებელში მისივე „თაო ჩემოთი“ მიაცილებენო.

სამსახურიდან დაბრუნებისა და დასვენების შემდეგ, აკაკი გაწერელია სიხარულით ეგებებოდა მეგობრებსა და ახლობლებს, ვისთანაც სულიერ ნათესაობას გრძნობდა. ბევრ ვინმეს შევხვედრივარ მის დიდებულ ოჯახში. იქ ნახულობდნენ სიმყუდროვეს, ნანატრ გარემოს გურამ ასათიანი, თამაზ ჩხენკელი, ნოდარ ალანია, მერაბ მამარდაშვილი, როლანდ ბერიძე, გურამ ბარნოვი, გივი ლომიძე, მანანა გიგინეიშვილი, რეზო კვესელავა, ანზორ სალუქვაძე, ზურაბ კიკნაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, გრიგერ ფარულავა, რევაზ სირაძე, ვახტანგ როდონაია, გურამ ბენაშვილი, თეიმურაზ დოიაშვილი, თემურ ქორიძე, თამაზ ვასაძე, იოსებ ჭუმბურიძე... სხვები და სხვები. გვიან ღამემდე გრძელდებოდა ეს სერობები, რომლის შუაგულში მუდამ ჩვენი კეთილი მასპინძელი იმყოფებოდა.

უაღრესად ფართო იყო ნიადაგ მაძიებელი აკაკი გაწერელიას თვალსაწიერი. იგი თანაბარი გატაცებითა და სიძლიერით წერდა, როგორც ვერსიფიკაციის ურთულეს საკითხებზე, ასევე ცალკეული დიდი მწერლების განუმეორებელ მხატვრულ ოსტატობაზე.

მისმა ფუძემდებლურმა მონოგრაფიამ „ქართული კლასიკური ლექსი (VII—XVIII სს.)“ მთელი ეპოქა შექმნა ქართულ ლექსმცოდნეობაში. ამ წიგნზე მეცნიერთა არაერთი თაობა აღიზარდა და დღესაც სახელმძღვანელოდ ითვლება.

არასოდეს დამავიწყდება მასთან გატარებული საღამოები, ცოცხალი საუბრები. მახსოვს, როგორი აღტაცებით ლაპარაკობდა იური ტინიანოვის თეორიულ ნაშრომებზე. მისი „სალექსო მეტყველების პრობლემები“ ევროპაში „ლექსმცოდნეობის სახარებად“ ითვლებაო, მითხრა. ოსტატობის მაგალითად თვლიდა ტინიანოვის ისტორიულ რომანებს — „კუხლიას“, „ვაზირ მუხტარის სიკვდილს“, „პუშკინს“, იხსენებდა მასთან შეხვედრებს. სინანულს გამოთქვამდა, ასეთი უნიჭიერესი ლიტერატორი მოურჩენელმა დაავადებამ, გაფანტულმა სკლეროზმა ნაადრევად იმსხვერპლაო.

ოცდაათიან წლებში თბილისში ჩამოსული ტინიანოვი მიხეილ ჯავახიშვილსა და აკაკი გაწერელიას დაუპატიჟნიათ. ბატონი აკაკი მომიყვა, საზაფხულო რესტორნის ბაღში როგორ სულგანაბული უგდებდა იგი ყურს ტინიანოვისა და ჯავახიშვილის მსჯელობას ისტორიული თემისადმი მიდგომაზე; ისიც აღნიშნა, ორი დიდი მწერლის თვალსაზრისი, უმეტეს შემთხვევაში, ერთმანეთს ემთხვეოდაო...

მეცნიერის, შემოქმედისა და ადამიანის იდეალად აკაკი გაწერელია თავის დაუვიწყარ მასწავლებელს, ოცდაჩვიდმეტ წელს ჯალათების მიერ სადისტურად ნაწამებ და დახვრეტილ, ანტიკური ლიტერატურის უდიდეს მცოდნესა და უბადლო მთარგმნელს გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელს თვლიდა და სიცოცხლის ბოლომდე მის სახელს ფიცულობდა.

აკაკი გაწერელიას ვუმადლი, რომ მის ოჯახში 1980 წლის ზაფხულში გავიცანი ცნობილი დისიდენტი, ძალზე საინტერესო აზროვნების რუსი პოეტი, ბრწყინვალე ესეისტი, პოლ ვალერის უღრმესი ესეებისა და ფრანგული პოეზიის მთარგმნელი ვადიმ კოზოვოი. მისმა უმაღლესი პროფესიონალიზმით შესრულებულმა თარგმანებმა, ვიქტორ ჰიუგოდან მოყოლებული და ანრი მიშოთი დამთავრებული, საუცხოო ანთოლოგია შეადგინა (2001), რომელსაც ძალზე მომთხოვნმა ბორის დუბინმა მოწონების გამომხატველი უაღრესად ფასეული წინასიტყვაობა წაუმძღვარა. ვადიმ კოზოვოი ბორის პასტერნაკის ინტიმური მეგობრის, ოლგა ივინსკაიას ქალიშვილის, ასევე საუკეთესო ლიტერატორის ირინა ემელიანოვას მეუღლე იყო. მათ მორდოვიაში, გადასახლების დროს გაიცნეს ერთმანეთი და მალე, გათავისუფლების მერე, დაქორწინდნენ.

ბევრი რამ მოუყოლია ჩემთვის აკაკი გაწერელიას. ქართველი სიმბოლისტებიდან ყველაზე მეტად ტიციან ტაბიძესთან იყო დაახლოებული. სინანულით მითხრა: არ მეყო გამბედაობა, არადა, ამის გაკეთება შემეძლო — ტიციანი როგორმე ჩეჩნეთში გადამეყვანა და იქ საიმედო ხალხის, ჩემი მეგობრების ხელში დამეტოვებინა, დახვრეტას გადარჩებოდაო. ძნელია თქმა, რამდენად რეალური იქნებოდა ამის განხორციელება.

აკაკი გაწერელიას მჭიდრო, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა უცხოელ ქართველოლოგებთან. მის სტუმართმოყვარე ოჯახში გავიცანი საუკეთესო ბელგიელი მეცნიერი ძველი ქართული მწერლობის საფუძვლიანი მცოდნე მიშელ ვან ესბროკი (სამწუხაროდ, ნაადრევად გარდაიცვალა). ბატონი აკაკი აღტაცებული ამბობდა — ნამდვილი, ყოველმხრივ სრულყოფილი ევროპელი ასე წარმომედგინაო. მე მას რამდენიმე იშვიათი წიგნი ვაჩუქე, ძალიან გაეხარდა. საუცხოოდ უკრავდა ფორტეპიანოზე, დიდი სიამოვნებით ვუსმენდით. სასულიერო პირი იყო.

საქართველოში ჩამოსვლისას ბატონ აკაკის ყოველთვის ნახულობდა ჩვენი უერთგულესი მეგობარი, გამოჩენილი მეცნიერი, პოეტი და მთარგმნელი, ვენეციის უნივერსიტეტის პროფესორი, არაერთი ქართველოლოგის აღმზრდელი — ლუიჯი მაგარატო, ვინც დიდი ამაგი დასდო ქართულ ლიტერატურას და ახლაც ნაყოფიერად ემსახურება ქართული მწერლობის, კულტურის, ხელოვნების ღირსეულად წარმოჩენას.

გერონტი ქიქოძის დარად, აკაკი გაწერელია მსოფლიო ლიტერატურის ჩინებული მცოდნე იყო და ეს მხოლოდ ათეული წლების მანძილზე წაკითხულ ლექციებში როდი აისახებოდა. მის წერილებს სტენდალზე, კნუტ ჰამსუნზე, ტოლსტოიზე, დოსტოევსკიზე, ჩეხოვზე, ანდრეი ბელიზე, ტინიანოვზე, ჰემინგუეიზე და სხვებზე, რომელიც გნებავთ ქვეყნის გამოჩენილი ლიტერატორი მოაწერდა ხელს.

განუზომელი ამაგი დასდო ქართულ მწერლობას. უმნიშვნელოვანესი, აზროვნების სიფართოვითა და სიახლით გამორჩეული გამოკვლევები თეიმურაზ პირველის, სულხან—საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ბესიკის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, დავით კლდიაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის და სხვათა შემოქმედებაზე, სამუდამოდ დარჩება მეცნიერული კეთილსინდისიერებისა და დახვეწილი გემოვნების მაგალითებად. ფრიად დასანანია, რომ აკაკი გაწერელიას საუკეთესო წერილები და ესეები აქამდე არ არის თარგმნილი რუსულ და ევროპულ ენებზე. ეს უთუოდ აამაღლებდა, ღირსებას შემატებდა ჩვენ კულტურას, რომელსაც უცხოეთში ნაკლებად იცნობენ.

ოცდახუთი წელი შეალია აკაკი გაწერელიამ უმნიშვნელოვანესი მონოგრაფიის წერას ნეტარ ავგუსტინეზე (ცალკეული თავი კიდევაც გამოქვეყნდა), მაგრამ თვით ეს ნაშრომი, რომლითაც ამაყობდა ავტორი და თავისი მეცნიერული მოღვაწეობის გვირგვინად მიაჩნდა, გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა, რაც მეტისმეტად დასანანია.

აკაკი გაწერელიამ გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში გამოაქვეყნა მეტნაკლები სიდიდის ფრაგმენტებად წარმოდგენილი ღრმა, ფასეული ფიქრები — „დაკვირვებანი და შთაბეჭდილებანი“ — მისი უმდიდრესი სულიერი ცხოვრების უშუალო ანარეკლი. იგი, უპირატესად, ლიტერატურისა და ხელოვნების უკვდავი ქმნილებიდან მომდინარე ბიძგებით არის ნასაზრდოები, ვინაიდან ამ კაცს წიგნის კითხვისა და მშვენიერების ჭვრეტის გარეშე ერთი დღეც არ უცხოვრია. დაუოკებელი ცნობისწადილით შეპყრობილი მწერალი ადამიანის არსის ყოველმხრივ წვდომასაც ისახავდა მიზნად და აქაც საკვირველ მიხვედრილობას იჩენს. არასოდეს ავიწყდება ენის, შემოქმედის ყველაზე მძლავრი იარაღის ფენომენი, გამოსახვის საშუალებათა ეფექტი და მრავალფეროვნება, რის შესწავლასაც მან მთელი ცხოვრება მოანდომა.

თავისი ინტიმური, შეუნიღბავი აზრების რვეულებში ჩანიშვნა აკაკი გაწერელიას სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია და გასულ წელს „ინტელექტმა“ სერიაში „ჩანაწერები“ გამოსცა ამ დახვეწილ შთაბეჭდილებათა იშვიათი ნაკრები „ჩემი სოლილოკვიო“ (შემდგენლები დუდა გაწერელია და იოსებ ჭუმბურიძე). როგორც ერთგან თავად ავტორი აღნიშნავს: „სოლილოკვიო“ ნეტარი ავგუსტინეს ერთ-ერთი თხუზულების სათაურია და ნიშნავს „საუბარს საკუთარ თავთან განმარტოებისას“. ბატონი აკაკიც მთელი წიგნის მანძილზე თავის თავს ესაუბრება და ჩვენ გვეძლევა ბედნიერი შემთხვევა, მოვისმინოთ ბრძენკაცის მრავალთაგან განსხვავებული ნააზრევი.

აკაკი გაწერელია ყველას კუთვნილ პატივს მიაგებს, მაგრამ მისი უპირველესი სიყვარული და თაყვანისცემა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს ეკუთვნის:

„გენიალური სტროფი პირველივე ტაქტით იცნობა.

რუსთაველი იწყებს:

ბინდის გვარია სოფელი.

და სტროფის ბედი „ცაშია გადაწყვეტილი“.

როცა რაიმე მოვლენის განსაზღვრა, დახასიათება უნდა, აკაკი გაწერელია ყველაზე მოქნილ ფორმას პოულობს, სათქმელს ერთ დაწურულ წინადადებაში აქცევს:

„სტილი გაბმულ მეტყველებაში შერჩეული საუკეთესო ელემენტების სისტემაა“.

ვაჟა-ფშაველას გენიალური ქმნილების „ალუდა ქეთელაურის“ საკვანძო ეპიზოდის სიდიადე რომ გვაგვრძნობინოს, იგი მარჯვედ მიგნებული ერთადერთი ფრაზის ცხოველმყოფელობაზეა დაყრდნობილი:

„ალუდა ებრძვის მუცალს და გრანიტი ბრიალებს პოემაში“.

„სოლილოკვიოში“ ალაგ-ალაგ მოზრდილ ნაკვეთებსაც შეხვდებით; ერთგან ავტორი სულ ოთხიოდე გვერდში აქცევს მსოფლიო ისტორიასა და კულტურას — შუმერებით, ძველი საბერძნეთითა და ეგვიპტით დაწყებული, მეოცე საუკუნის გენიალურ მოაზროვნეთა ეთიკური იდეალებით დამთავრებული. უნაპირო ცოდნისა და გამაოგნებელი პოეტური ხილვების დამტევი ეს მაგიური ოთხი გვერდი ასე მთავრდება:

„ირხევა ამბების, ვნებების, იდეათა და ფანტაზიათა გრანდიოზული კალეიდოსკოპი, თუმცა ჩვენს თხრობაში შინაარსის მხრივ იგი მიკროსკოპულადაა დაპატარავებული.“

ვინ მოსთვლის, პოეზიის რაობის, მისი ძნელად მოსახელთებელი მომხიბლაობის ახსნა რამდენ ვინმეს უცდია, მაგრამ როცა ასეთ ამოცანას მიზნად აკაკი გაწერელიასთანა ნიჭისა და განსწავლის ლექსმცოდნე დაისახავს, ყველაფერს სხვანაირი იერი და განათება ეძლევა:

„ვერსიფიკაცია პოეზიის კონსტრუქციული საფუძველია, მაგრამ პოეზია მთლიანად ემოციის, მხატვრული აზრისა და მათი მატერიალური გარსის იდეალური თანხმობაა“.

ბატონ აკაკის ჭირის დღესავით ეჯავრებოდა ლექსის ცალმხრივი, ლინგვისტური ანალიზი, გრამატიკული ტერმინების დახვავება, მეტყველების ნაწილთა სვეტებად ჩამოწერა, დათვლა, რასაც ბუღალტრულ დაანგარიშებას ეძახდა; მკვეთრად ემიჯნებოდა პოეტური ქმნილებისადმი ასეთ მექანიკურ მიდგომას და მისი ეს პოზიცია აშკარად ჩანს კიდევაც ერთ სხარტ ჩანაწერში:

„ენათმეცნიერის აზრით, ლექსი ლინგვისტური ფენომენია! ლიტერატურისმცოდნის აზრით კი – სიტყვიერ-მუსიკალური მოვლენა“.

დღევანდელ, საეჭვოდ მომრავლებულ, თვალებში ნაცრის შემყრელ ფსევდო-ავანგარდისტებს დაუნდობლად ამათრახებს და თავის ადგილს მიუჩენს მკვლევარის მკაცრი, სამართლიანი განაჩენი:

„მოდერნიზმით გატაცება კლასიკური ძეგლების ღრმა ცოდნის გარეშე — უსაშველო ჩამორჩენილობაა“.

რომელიც გნებავთ დიდი ესთეტი და მოაზროვნე მოიწონებდა „სოლილოკვიოში“ მოთავსებულ ასეთ ზუსტ და ხატოვან გამონათქვამს:

„კარგ სტილს ლიუციფერისა და ანგელოზის ურთიერთგადაძახილი წარმოშობს. ეს ორი მეტაფიზიკური არსება არასოდეს აჯდება მხრებზე ღმერთისგან დაბადებითვე განწირულს“.

აკაკი გაწერელიას ზნეობრივ სისპეტაკესა და უმაღლეს კეთილშობილებაზე მეტყველებს ძალზე დამაფიქრებელი ჩანაწერი, რისი მიზეზიც განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის ადამიანთა შორის არსებული ყოვლად გაუმართებელი უნდობლობა და შუღლია:

„სხვა ერის სიძულვილი, დამცირება ან გაკილვა — სულიერი და გონებრივი დეფექტია. ტოლსტოი ურჩევდა თავის ექიმს, ანტისემიტ დუშან მაკოვიცკის, ბევრი უნდა იმუშაოთ საკუთარ თავზე, ებრაელებისადმი სიძულვილისაგან რომ განთავისუფლდეთო.

ქრისტე ებრაელი ქალის საშოდან იშვა, ქრისტე კი ღმერთის ძეა, თვითონაც უფალი“.

წინამდებარე წიგნში წაიკითხავთ მშვენიერ პასუხებს იმის დასტურად თუ როგორი ძვირფასი იყო აკაკი გაწერელიასათვის რუსული ლიტერატურის უდიდესი სახელები — პუშკინი, ლერმონტოვი, ტიუტჩევი, ტოლსტოი, დოსტოევსკი, გერცენი, როზანოვი, ბუნინი, ბლოკი, ბელი, ახმატოვა, ბაბელი, პასტერნაკი, სხვები და სხვები, ხოლო თავისი უსაყვარლესი ჩეხოვის ერთ გულახდილ გამონათქვამს, სადაც იგი დაუფარავად აცხადებდა, რომ ნაირნაირ პარტიებს არ ეკუთვნოდა, არც ლიბერალი იყო და არც კონსერვატორი, „სოლილოკვიოს“ ავტორი „მეორე სახარებად“ მიიჩნევდა. ჩეხოვი იმ თავის პირუთვნელ, ღრმად ჰუმანურ თვალსაზრისს ასე ამთავრებს: „ფირმა და იარლიყი მე ცრურწმენად მიმაჩნია, ჩემთვის წმიდათაწმიდაა ადამიანის სხეული, ჯანმრთელობა, გონება, ნიჭი, შთაგონება, სიყვარული, უკიდურესი თავისუფლება, თავისუფლება ძალისა და სიცრუისგან, რაშიაც ეს ორი არ უნდა გამოიხატებოდეს.“ მსოფლიო ლიტერატურის გიგანტებს (ჰომეროსი, ვერგილიუსი, დიუმა, რუსთაველი, დანტე, შექსპირი, სერვანტესი, რაბლე, გოეთე, სტენდალი, ბალზაკი, პუშკინი, ტოლსტოი, იბსენი, ჰამსუნი... ძნელია მათი ჩამოთვლა) აკაკი გაწერელია „ინტიმურ მეგობრებს“ ეძახდა და მათ გარემოცვაში მუდამ ბედ-

ნიერად გრძნობდა თავს.

ბატონ აკაკის უმადურობა ადამიანთა ერთ-ერთ უსასიზღრეს თვისებად მიაჩნდა და ამიტომაც ეთაყვანებოდა მათ, რომელთაც მის სულიერ ცხოვრებაზე წარუშლელი კვალი დატოვეს. ამ სიყვარულსა და მადლიერებასაც იგი თავისებურად, პოეტურად გამოხატავდა:

„შესანიშნავი პიროვნების სიკვდილი მარტო საზოგადოებას კი არა, ზოგჯერ პეიზაჟსაც აღარიბებს.

მაგალითად: რუსთაველის პროსპექტს აღარ ამშვენებს გერონტი ქიქოძის დინჯი სიარული“.

აკაკი გაწერელია ყოველთვის მოკრძალებით იყო გამსჭვალული უფროსი თაობის ინტელიგენტთა მიმართ. იხსენებს, პლატონ იოსელიანზე დაწერილი ნარკვევის გამო როგორ შეაქო იგი გიორგი ლეონიძის ძმამ, დიდმა მეცნიერმა, ბიოლოგმა და ლექსიკოგრაფმა ლევან ლეონიძემ, ვისაც ზოგ რამეზე თვით ივანე ჯავახიშვილიც ეთათბირებოდა. გიორგი ლეონიძემ აკაკი გაწერელია ლევან ლეონიძესთან და ჭაბუა ამირეჯიბის მამასთან, გამოჩენილ იურისტთან, ირაკლი ამირეჯიბთან ერთად, თბილისელთათვის საყვარელ „პალასის“ ეზო-რესტორანში წაიყვანა. უზომო სითბოთი არის გაცოცხლებული ის შორეული საღამო: „მათ ყველაფერი უხდებოდათ: ბოხი ხმით საუბარი, ჭიქების ხელში ჭერა, ლაპარაკი ლიტერატურისა და მეცნიერების საკითხებზე, საქართველოს ისტორიის ცალკეული ეპიზოდების მოგონება.

ასე გულისხმიერად ეპყრობოდა ძველი თაობა მაშინდელ ახალგაზრდობას!“

იქვე ნათქვამია, ავადსახსენებელი ოცდაჩვიდმეტი წლის სისხლიანი რეპრესიების დროს როგორი წამებით გაჟლიტეს ჩვენი ინტელიგენციის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლები და ამ ორ აღნაგობით გამორჩეულ რაინდსაც ასეთივე ჯოჯოხეთური ხვედრი ერგო. სავსებით მართალია „სოლილოკვიოს“ ავტორი, როცა სულისშემძრავი, უმაგალითო სისასტიკის გამო წერს:

„მე ხშირად მიფიქრია, თითქოს ეს იყო ხანა ქართული ჯიშის შესანიშნავი ეგზემპლარების შემუსვრისა სულმდაბალთა და უჯიშოთა მხრივ, მარტო პოლიტიკური მიზეზებით კი არა, არამედ შურის შედეგადაც“.

ჭეშმარიტად — ის ვინც ოცდაოთხი წლის განუკითხავი ჟლეტის დროს გადაურჩათ, ოცდაჩვიდმეტში იმსხვერპლეს.

მრავალი მაგალითის მოხმობა შეიძლებოდა იმის დასტურად თუ როგორ აღმერთებდა აკაკი გაწერელია მწერლურ ოსტატობას. მშობლიური მარტვილის მწიგნობრობით განთქმულ ოჯახში აღზრდილი (ამაყობდა, რომ წინაპრები მღვდელმთავრების, ჭყონდიდელების შთამომავლები იყვნენ), ლიტერატურისადმი უსაზღვრო სიყვარულს იგი სიყმაწვილიდანვე ამჟღავნებდა.

თორმეტი წლისას, თბილისში ნათესავებთან ჩამოყვანილს, რუსთაველის გამზირზე, ჟვანიას ფოტოატელიეში უცნაური გარეგნობის სათვალიანი, თვალებმოჭუტული კაცი უნახავს და სამუდამოდ დამახსოვრებია. იგი მთელ ქალაქში ცნობილ ფოტოგრაფს სხაპასხუპით ელაპარაკებოდა და ყველაფრით ინტერესდებოდა, ექსცენტრიული ჟესტ-მიმიკა ჰქონია. აქვეა წარმოდგენილი ამ პიროვნების „ცოცხალი პორტრეტი“. ერთ წინადადებაშია იგი დახატული: „თითქოს ფუტკარივით ყველა ყვავილისაგან ერთბაშად იწოვდა სიტკბოს — უძრავთ და მოძრავთ თვალთა ნესტრით ჩხვლეტდა, მაგრამ მზერას ერთ საგანზე დიდხანს არ აჩერებდა“.

რამდენიმე წლის შემდეგ, როცა სამოქალაქო ომზე დაწერილი განსაცვიფრებელი ძალის წიგნი „ცხენარმია“ ჩავარდნია ხელთ და მწერლის სურათზე დაუხედავს, უმალვე მიმხვდარა, რომ ფოტოატელიეში ნანახი სათვალიანი დაბალი კაცი ისააკ ბაბელი ყოფილა. მერე ისიც ამოიკითხა ცნობარში, რომ ბაბელი იმ დროს (1923-1924 წლები) „ზარია ვასტოკას“ რეპორტიორად მუშაობდა. ამან, ცხადია, კიდევ უფრო გაულვივა ინტერესი.

აკაკი გაწერელია ყოველგვარი ყოყმანის გარეშე წერს, რომ ამ „საკვირველი მხატვრის“ ყოველი მოთხრობა შედევრია და იქვე ამბობს: „ჩემს კალამს თაფლი ეცხება, როცა მისი მოთხრობებიდან ფრაზების ამოწერას ვიწყებ“. სამიოდე გვერდზე გამოხატავს ბატონი აკაკი „ოდესური მოთხრობების“ ავტორისადმი თავის აღტაცებას და ჩვენ ვრწმუნდებით, როგორ ხელეწიფებოდა მას დიდი, ჭეშმარიტი ტალანტების შეცნობა და დაფასება.

ბევრჯერ ვყოფილვარ მოწმე (ეს „ჩანაწერებშიც“ აისახა), უზადო სტილის გამო, რაოდენ პატივს მიაგებდა აკაკი გაწერელია ვასილი როზანოვის გენიას, მისი თითქმის ყველა, რევოლუციამდე გამოცემული წიგნი საგანგებო, თვალისგან მოფარებულ ადგილას ჰქონდა შენახული და იშვიათად მომხდარა, ვინმესთვის ეთხოვებინოს. ისიც ვიცი, უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ, მოხუცებულ ქალიშვილს როზანოვისა, იგი დროდადრო ფულს უგზავნიდა, რათა მისი გაჭირვება შეემსუბუქებინა.

აკაკი გაწერელიას კალამს ეკუთვნის სამაგალითო ოსტატობით დაწერილი ნოველები და რა გასაკვირია, რომ მას ბელეტრისტის მახვილი თვალი ჰქონოდა. გავიხსენოთ, ლექსად თუ პროზად, რამდენჯერ დაუხატავთ პეპელას არაამქვეყნიური სილამაზე და ჰაეროვნება, მაგრამ მან აქაც თავისებური კუთხე მოძებნა, ყველასაგან გამორჩეული: „ბუნება დიდი ხელოვანი და არტისტია.

მაისის დღეებში ხატპეპელა ანაზდად შემოფრინდება ბინაში და ლამპიონის ირგვლივ დაიწყებს ფარფატს.

შემდეგ რომელიმე ავეჯს დააჯდება სულგატრუნული.

და ტკბები მისი ფრთების მოხატულობის განუმეორებელი სიმშვენიერით. რა საღებავებზე არ უზრუნია შემოქმედს მისი მოვლინებისათვის“.

ამ კაცის დარად ჩვენში არავინ იცოდა კავკასიური ომების ისტორია,

დაღესტნის უშიშარი იმამის, შამილისა და მისი გარემოცვის ყოფა-ცხოვრება, ხიფათიანი, სიკვდილის ზღვარამდე მისული თავგადასავლები. ათეული წლების მანძილზე აპირებდა შამილზე ბიოგრაფიული რომანის დაწერას, ყველაფერი მზად ჰქონდა საამისოდ, მაგრამ ორმოციან წლებში ამ თემას ხანგრძლივი ტაბუ დაედო და მოგვიანებით მხოლოდ რამდენიმე უაღრესად მნიშვნელოვანი, ამაღელვებელი ნოველა გამოაქვეყნა („ბოსკოს შეგირდი“, „ამზათის სიკვდილი“, „შეხვედრა გიმრის უღელტეხილზე“), მაგრამ დიდი ეპიური ტილოს შექმნა ოცნებად დარჩა.

აკაკი გაწერელია ადრეული სიჭაბუკიდანვე მოგზაურობდა ჩეჩნეთსა და დაღესტანში. იქაურობა ფეხით ჰქონდა მოვლილი და უამრავი მეგობარი, დამფასებელი შეიძინა. „სოლილოკვიოში“ გამოქვეყნებულია ოთხი მოგზაურობის დღიურები (1932; 1935; 1971; 1977). ეს დღიურები ალაგ-ალაგ ფრაგმენტულია. ეტყობა მისი განვრცობა ჰქონდა ავტორს განზრახული, მაგრამ როგორც სხვა ბევრი რამე, აღარ დასცალდა.

საჭიროა ზოგი ადგილი ამოვიწერო მოგზაურობათა დღიურებიდან. თუ რამდენად დიდ პატივს სცემდა აკაკი გაწერელია ჩეჩნეთისა და დაღესტნის ეროვნულ გმირს, იმითაც ჩანს, რომ ვედენოს მონახულებისას შამილის ნასახლარიდან დიდი, ცეცხლისაგან გარუჯული ქვა წამოუღია. იქედან 1935 წელს ჩამოტანილი ის ქვა მასთან ინახებოდა. ამ, ყველაზე საინტერესო და ნაყოფიერ მოგზაურობაში ჩვენი დიდი მხატვარი დავით კაკაბაძე და მისი ბიძაშვილი, უბრწყინვალესი ქართველი დრამატურგი პოლიკარპე კაკაბაძე ახლდნენ.

მეტად შთამბეჭდავად არის აღწერილი მათი მოძრაობა ზემო ყარანაიზე, გიმრის უღელტეხილთან, საიდანაც ხეობის სიღრმეში შამილის მშობლიური აული გიმრი მოჩანს.

ციცაბო კლდეზე გამავალ, კარგა ხნის გაუქმებულ გზას მიჰყვებიან გიმრისაკენ. აქ ისეა დახატული მოგზაურთა სახიფათო გადაადგილება, იოლად წარმოიდგენ, როგორ აუჭრელდებოდათ შიშისაგან თვალები. სურათს ოსტატურად მიგნებული შედარებაც ამძაფრებს: „ ჩვენ თითქოს უფსკრულისაკენ მივემართებით ცხენებით. ქედის კედელზე სულ ვიწრო ბილიკია. ცხენები კატებივით წინასწარ ფლოქვებით ფხაჭნიან ფერდობს...“

ამ მოგზაურობის დროს შეუძენია აკაკი გაწერელიას აშილტაში (შამილის დის, ფატიმატის შთამომავალი, გულითადი მასპინძელი შაფი ბაზარგანოვი დახმარებია) მუჰამედ ტაჰირ ყარახელის ქრონიკა: „შამილის ხმლის ელვარება ბრძოლებში“ - თვით იმამის ნაკარნახევი. ეს ძვირფასი უცნობი ხელნაწერი მან გამოჩენილ სემიტოლოგს აკადემიკოს გიორგი წერეთელს გადასცა, რისი მეშვეობითაც იგი მსოფლიო არაბისტიკაში შევიდა.

მესამე მოგზაურობისას (1971) აკაკი გაწერელია ახსენებს გიმრის სასაფლაოზე მდებარე, შამილის მამად ცნობილი დინღაუს საფლავს, რომელზე აღმართულ ქვასაც არაბული წარწერა ჰქონია. აქ მამასთან კითხვის ნიშანია დასმული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აკაკი გაწერელია დინღაუს არ თვლიდა შამილის ნამდვილ მამად და ვგონებ იზიარებდა გავრცელებულ ხმებს, რომ შამილი ალექსანდრე ბატონიშვილის ნაშიერი იყო.

გიორგი ლეონიძის შვილიშვილის, ჩვენი საუკეთესო ისტორიკოსის გიორგი ქავთარაძისაგან გამიგია — როცა გიორგი ლეონიძესთან ლიტერატურის მუზეუმში სტუმრად მისულან დაღესტნელი მწერლები, მათ ალექსანდრე ბატონიშვილის პორტრეტის შეხედვისას მღელვარება ვერ დაუმალავთ, მოწიწების ნაცვლად ხელები მაღლა აღუპყრიათ და თავები დაუხრიათ, იმდენად მიამსგავსეს შამილი საქართველოდან გადახვეწილი ტრაგიკული ბედის ბატონიშვილს. ამაზე დასკვნების გამოტანა აღბათ ანთროპოლოგების საქმე უფროა.

მოგზაურობათა დროს აკაკი გაწერელიას უნახავს რამდენიმე ისეთი ადგილი, რომელთა ხილვისას ადამიანს აღტაცებისა და გაოცებისაგან შეიძლება სუნთქვა შეეკრას. ასეთია ყარადაღის („შავი მთის“) ხეობიდან ზღაპრული შესახედაობის მწვერვალისაკენ მიმავალი „დაკლაკნილი გზა“, რუსთაველის პოემის ლანდშაფტს რომ აცოცხლებს და მიუდგომელ ქაჯეთის ციხეს გაგახსენებს. აქვე ვიგებთ თუ რა საოცრებაა აღმართული დაუცხრომელი მოგზაურის წინაშე: „ღუნიბი — ცილინდრული კოლოსალური თვალშეუდგამი მთა, პირდაპირ ფანტასტიკური“.

მეორე სახილველი არანაკლებ გამაოგნებელი სილამაზის მქონეა — ვედენოს თავზე, დაღესტნის მთებშუა მოქცეული, აუწერელად მომხიბლავი ტბა ეზენამი. დღიურების ავტორი ამ საოცრების ზოგად დახასიათებას ჯერდება, ვინაიდან ასეთი მშვენიერების გადმოცემას ენა, კალამი ვერ შეძლებდა: „ვფიქრობდით – ანალოგიური რამ მსოფლიოში არ მოიპოვება, თავისი გრანდიოზულობით და მისტიკური სიჩუმით ეს ტბა საერთოდ უნიკალურია“.

აქვე აკაკი გაწერელია იმოწმებს ემიგრაციაში გარდაცვლილი, მეტად თავისებური ხმის პოეტის შალვა ამირეჯიბის ლექსს, „ეზენამი“ (1917), რომელშიც მთიელთა ჯანყიანი სული ბობოქრობს („...აქ შამილის ბინადრობს ლანდი...“) და ნახსენებია მუსულმანთა საღვთო ომი — „ჰაზავატი“. ამავე ლექსს, შალვა ამირეჯიბისადმი მიძღვნილი გაბედული. მინიშნებებით აღსავსე წერილში (1922) საგანგებოდ ეხება დემნა შენგელაია.

ბოლო, მეოთხე მოგზაურობის წინ (1977 წლის ზაფხული) ბატონმა აკაკიმ გულით მთხოვა წავყოლოდი ჩეჩნეთსა და დაღესტანში, სადაც ბევრ საინტერესი რამეს მანახებდა. იმხანად მეუღლე ახალი გარდაცვლილი მყავდა და აღარსად წასვლა არ შემეძლო.

დღიურში აღნიშნულია, რომ ამ მოგზაურობისას აკაკი გაწერელიამ ორმოცი წლის ოცნება აისრულა — ნახა და დაათვალიერა აული დარღო, რომლის უნახავადაც მას კავკასიური ომების მნიშვნელოვანი ეპიზოდების აღწერა არ შეეძლო. დიდად გულდასაწყვეტია, რომ მთელი ცხოვრების განზრახვა, შეექმნა მონუმენტური ეპოსი „შამილი“, საბოლოოდ ვერ განახორციელა.

„სოლილოკვიოში“ იმდენი მომხიბვლელი, შთაგონებით განათებული ჩანაწერია, ყველაფერზე შეხმიანებას ცალკე წიგნი დასჭირდება. ზოგიერთი რამის აღნიშვნა მაინც მომიწევს. ზედმეტი არ იქნებოდა თქმა იმისა, რომ აკაკი გაწერელია მუსიკის თავგადაკლული მოტრფიალე, ნამდვილი მელომანი გახლდათ. საათობით შეეძლო შთამბეჭდავად ესაუბრა ბახის, ჰენდელის, შუბერტის და სხვა გენიალურ კომპოზიტორთა ღვთაებრივ ჰანგებზე. ეს ამ ჩანაწერებშიც თვალნათლივ ჩანს.

ასეთსავე განუზომელ პატივს მიაგებდა მხატვრობას და ხელოვნებაზე აზრის



გამოთქმისას მუდამ ერიდებოდა ტრაფარეტებს, გაცვეთილ გამოთქმებს, ყოველთვის ცდილობდა ახალი კუთხით ეჩვენებინა ესა თუ ის მოვლენა. ვფიქრობ, მასავით სიღრმისეულად ცოტა ვინმეს თუ დაუნახავს ჩვენი ეროვნული სიამაყე, ყველა დროის უდიდესი ქართველი მხატვარი:

„ფიროსმანამდე და მას შემდეგ სხვა ფიროსმანი არ დაბადებულა და არც დაიბადება.

არც ის მეეზოვე დაიხატება, რომლის ჩავარდნილი ლოყები და გაქვავებული გაკვირვება — შეუდარებელია.

მხიარული ფიროსმანი ირმებს ხატავდა. მოწყენილი ფიროსმანი კი — ძველი თბილისის ფლეგმატურ მეეზოვეებს“.

ყოველთვის მანცვიფრებდა აკაკი გაწერელიას ენციკლოპედიური ცოდნა, ინტერესების სიფართოვე და მასშტაბი. უეჭველი ჭეშმარიტებაა მისი გონივრული, კეთილი რჩევა: „მხოლოდ შედევრები უნდა ვიკითხოთ (მწერლობაში, მეცნიერებაში).“ ამიტომაც იყო, სერვანტესისა და შექსპირის გვერდით ხშირად რომ ახსენებდა აინშტაინის, ნილს ბორის, შრედინგერის, ვერნერ ჰაიზენბერგის და სხვათა სახელებს. მათი შრომების კითხვაში ბევრი ღამე დასთენებია.

ჩვენთვის, ვინც ახლო ვიცნობდით, ძნელი იყო იმ დამთრგუნველ აზრთან შეგუება, რომ ეს ცეცხლოვანი ტემპერამენტის, მუდამ საპაექროდ შემართული კაცი (უზარმაზარი ენერგია შეალია მეცნიერებაში თავის მოწინააღმდეგეებთან პოლემიკას), სიცოცხლის მიწურულს მეტისმეტად დაუძლურდა, უიმედობამ, აპათიამ შეიპყრო. მისმა უერთგულესმა მეუღლემ ქალბატონმა ლამარა ჩიჩუამ გვითხრა, არავის ნახვა აღარ უხარიაო და ჩვენ ვერიდებოდით მძიმე წუთებს, იგი მომაკვდავი გვენახა. გულისტკივილით ვიგონებთ დეკემბრის სუსხიან, გამთოშავ დღეს, როდესაც ჩვენი ძვირფასი მასწავლებლის ცხედარი დიდუბის მყუდრო სავანეს მივაბარეთ.

მე მაინც ცოცხლად წარმომიდგება აკაკი გაწერელია, გამასპინძლების გარეშე არაფრით რომ არ გამოგიშვებდა სახლიდან; მცირე ტრაპეზს მუდამ ამშვენებდა ძვირფასი ღვინო. ბევრის დალევა არ უყვარდა, მხოლოდ სავალდებულო, საკრალურ სადღეგრძელოებს იტყოდა, გაგიზიარებდა თავის აზრს ახალწაკითხულ, ძნელად საშოვარ წიგნზე, ხალისითა და იუმორით აღსავსე, შუაღამემდე არ გამოგიშვებდა სტუმრად მისულს.

„სოლილოკვიოს“ ყდაზე, კიდეში დაბეჭდილია მწერლის სიჭარმაგისდროინდელი ფოტო; საყელოგაღეღილი თეთრი ხალათი აცვია. მოწყენილი, საყვედურიანი მზერა აქვს, თითქოს ამბობდეს — ვინც მიყვარდა და ვისაც ამაგი დავდე, აღარავის ვახსოვარო. სურვილი მიჩნდება, დავამშვიდო, ვუპასუხო: არ არის ასე, ძვირფასო ადამიანო და მოძღვარო! თქვენს უმცროს, მადლიერ მეგობრებს არასოდეს დავიწყებიხართ; როცა კი თავს მოვიყრით, მუდამ გიხსენებთ და გვეამაყება, რომ წლების მანძილზე თქვენს ბრძნულ საუბრებს ვისმენდით, როგორადაც შეგვეძლო, ყოველთვის თქვენს გვერდით ვიდექით!

თენგიზ სვანიძე

სურვილი

მზე იცინოდა ცათა მინდვრიდან, –
ხაოგაშლილი ვარდის კოკორი...
გზიდან სტრიქონი წამომიფრინდა,
როგორც ყივილი მამალ ხოხობის.
ფრთები შემასხა უჩინმაჩინის,
რომ შევერკინო ზღვა სიბოროტეს...
სიყვარულისთვის ვინც გაგაჩინა,
ის გიპატრონებს ცოდვილს ბოლომდე!
სიცოცხლეს – მინდი,
სიკვდილსაც – მინდი,
რა ქნას, არ ძალუძს ამ გულს მეტი რო...
ისეთი ლექსი დავწერო მინდა,
რომ სხვათა ლექსებს არ გავეტირო.

სიკვდილის ლოცვა

ტყუპის ცალი ვარ, ვარ ტყუპის ცალი,
ძმამ, სამწუხაროდ, ადრე დამტოვა...
ჩანგრეული მაქვს გულის ფიცარი,
ცხოვრება კიდევ ბევრჯერ დამტორავს.
მაგრამ ჩემს გამჩენს არ ვსაყვედურობ,
რადგან ტანჯვაშიც არის სიამე
და ბედნიერი და უბედურიც,
ეკლიან ვარდს ვკრეფ, ხანაც – იას მე.
...სიკვდილს ყოველთვის როდი სცალია,
ზოგჯერ პატიჟსაც იუარებსო,
და თუ სიკვდილიც ტყუპისცალია
სიცოცხლის, რად არ მივუალერსო?!

ჩემი სოფელი

გამოვექეცი აგვისტოს ბუღს,
მტვერსა და ხმაურს
და ახლა ჩემი სოფლის მწვანე
ტერასებს ვზვერავ.
ყელზე მეხვევა სიო სატრფოს
ნაზი ხელებით
და ღელეს მიაქვს მოგონება
პურის ყანების.
ტოროლა ცაში მღერის ჩემი
სულის სიმღერას!..
გზად მიჭრიალებს ჩარდახიან
ურმების მწკრივი...
. . . . . .
გადაუარა ურმის თვალმა
ზედ გულზე ჩემს ჩრდილს,
გამაჟრიალა,
ტკივილამდე გამაჟრიალა,
თითქოს ბორბლის ქვეშ
მომიქცია მწარე წარსულმა.

* * *
ჩემი ცრემლიანი ლექსი
შენა ხარ, შენ!
ვინ მასწავლა
შენზე ფიქრი, ვინ?!.
ჩვენს შორის
ცეცხლოვანი ხიდია გადებული.
შენ გადარბიხარ ამ ხიდზე
და ვერასოდეს გაიგონებ
იმ ხარირემის ბღავილს,
რომელმაც შენი სიყვარული
გულიდან ვერ გამოასვენა.

წლები... წლები...

წლები... წლები შევალიე ლოდინს,
გაფანტულან იმედები ქარში...
როს სიბერე აფთარივით მოდის,
ლამის თავიც დაგავიწყდეს მაშინ!

...შეატეხა ქარმა ბოლო ტოტი
იასამანს, – ცხოვრებაა მრუმე,
როს სიბერე სასჯელივით მოდის,
ყველას, ყველას ავიწყდები თურმე!

სიკვდილი ვარ, სიცოცხლით ნაწვალები!

დავფარფატებ, ვარ ყვითელი კაკლის ნეშო,
დარდი უნდა დავამშიო, ვაღორო...
დღენი ჩემი იმნაირად ხვნეშის, ხვნეშის,
ლამის, ლამის გული ამოაყოლოს.

მე მეფე ვარ — ყოვლის შემძლე, მე ვარ – მწირი,
ხელს მოვიკვეთ, სამათხოვროდ გაშვერილს...
სული ჩემი ტირის, ტირის, ტირის, ტირის, –
ცად გაფრენას არ დაადგა საშველი!

გული, გული ყინულივით გაისარკა,
გზებს, გზებს ჩემსას ასდის ცეცხლის ალები...
ვიტან, ვიტან ცხოვრებისგან შხამს, ვით სარკაზმს, –
სიკვდილი ვარ, სიცოცხლით ნაწვალები!

წავალ, წავალ, ვარსკვლავეთში გავიღვიძებ,
ყველა ყველას, ყველას დაგვავიწყდება...
ვხმობ სიხარულს, ჩვენგან ძალით განაძიძევს,
ახლა, როცა სულის დაგვა იწყება!
დარდო, გულზე ჟალტამივით ამოსულო,
ჩვენს სარეცელს მალე ძაძით მორთავენ...
ჩქარა, ჩქარა, ჩქარა, ჩქარა ამო, სულო,
მოვისვენოთ, მოვისვენოთ ორთავემ!

სიბერის ლექსი

სულ ცაში ქროლვა გსურდა,
მორჩა დღეები ქარვის...
ყველა მიგქონდა გულთან,
შენ არ ახსოვდი არვის!
ქარი უბერავს ქვენა,
განგებ მივუშვერ სახეს...
ვინც იბადება ბრძენად,
სულაც არ ეძებს სახელს!
შენ ბრძენი არ ხარ, მაგრამ
დაუსტამბავი ლექსი
სულს ერთიანად დაგავს
და ეს მხოლოდ შენ გესმის.
ეალერსები ფარვით
მოყვასს უტყუარ გეშით,
არ მიატოვებ არვის,
რადგან ღმერთია შენში!
უხსნი სადინარს წყლულის
გრძნობებს – სულიდან დაძრულს...
ბევრჯერ გატკინეს გული,
მაინც არავინ არ გძულს!!!
ვერავინ ასწრებს სათქმელს, –
ხაფად გარბიან წლები...
მიექანები თავქვე
და მზის ცრემლებში თბები.
ტოლთ კვლავ ეძახი „ბიჭებს“,
ბრიყვო, შე მართლა ბრიყვო,
და ისე დააბიჯებ,
თითქოს უკვდავი იყო.

* * *
წლებში ლოდინი გაჭაღარავდა!

შორი ნისლივით ვარ ხელუხლები!
მზე ჟანგისფერი,
მზე იძირება
და მეჩვენება: ორეულს შენსას
თვალებს ვუკოცნი უკანასკნელად.

წლებში ლოდინი გაჭაღარავდა!

სიბერე

ოდესღაც თმააქოჩრილი,
დღეს მთვარეს ვგავარ მელოტსა...
ამქვეყნად დავალ მორჩილი, –
გზები ვინ ამიმტვეროსა?!
ასი წლისანიც დადიან –
ასაკს ყოველი იფერებს...
თუ დიდხანს ყოფნა გწადია,
აუგს ნუ ჰკადრებ სიბერეს!
სულ ველი ცრემლის გაშრობას, –
მერმისი ნისლმა შებურა:
წარსულში დარჩა ბავშვობა,
სიბერე მობრძანებულა.

ცათა სამანებს ზომავს თვალი

ქარმა წელში გაზნიქა
ალვა, – ლამობს მოთხრას,
ფოთოლთ პანიკა
მოჰგავს ოხვრას.
მთვარემ გაიყოლია
თვალთა ჩემთა სევდა...
ფიქრში ბორიალს
შხამიც სდევდა.

მთებზე ნისლის დოლბანდი,
ტყეთა მწვანე ტევრი...
წინ წუთს ბომბარდირს
უდგას ვერვინ!

ღამე წამომეწევა,
როგორც ვეფხვი – ირემს...
სულის ზეწევა
ცრემლებს ირევს.

დროს ვინ იყო შეება,
გული რას არ იტევს...
ქარნი კლდეებმა
აისხლიტეს.

ევასაგან შობილი
შენა ხარ ადამი...
ფიქრით მოვლილი
ცა – ტატამი.

ჟამი ყოველს წარგტაცებს,
იყავი რაგინდ მხრის...
ტოტებს წარმტაცებს
ძეწნა ხრის, ხრის.

ვერვის ვერ ვამგვანე
მე მზე ჩამავალი...
ცათა სამანებს
ზომავს თვალი.

ხანძარი სოფლად

სოფელში მწვანე იმედივით
მოჩანდა სახლი
და მის კედლებში
მოგონებად თვლემდა წარსული
და მომავალი ხმაურობდა
ბავშვის გულივით,
იღიმებოდა სიყვარული
დედის თვალებით...
შეღამებისას გაისმოდა
ხბოთა ზმუილი
და ეზო-ჭიშკარს აწყდებოდა
ზღვა სიხარული
გოგო-ბიჭების
და უთენია
სათოხნელად გასული კაცის.
. . . . . .
და როცა სახლი,
ტკაცატკუცით იწვოდა სახლი
და ცასთან შებმას
ცოფიანი ლამობდა ალი,
კივილი ქალის, საშინელი
ისმოდა ქალის,
ტირილი ბავშვის, მგრძნობიარე
ტირილი ბავშვის
და სისხლგამშრალი,
ჩაცვენილი თვალები კაცის...
საყვედურები,
ღმერთისადმი საყვედურები
და შიშნეულად გაცემული, –
ვედრება მაინც...
. . . . . .
და აბრეშუმის კაბა როცა
შემოიხია
მზემ სოფლის თავში
დარჭობილ სარზე, –
ვით ჩაფერფლილი იმედები,
მოჩანდა სახლი –
თითქოსდა
ვიღაც ჩაატარეს სასაფლაოსკენ...
. . . . . .
და იმ სოფელში არ ყმუოდა
არცერთი ძაღლი.

გია ხომერიკი

წვიმა და მერცხლები

როდესაც მოდის წვიმა,როცა ქალაქში წვიმს,
ჩემი უიღბლო თავის უფრო ნაკლებად მწყინს.

თითქო იმედით ივსება ეს გულ-ნატკენი გული,
მჯერა, რომ ისევ მოვა მერცხალი-გაზაფხული.

მჯერა, მერცხლების გუნდი კვლავ შეიქმს
იმ გაზაფხულს,
ღვთის მიერ გამეტებულს, ღვთის მიერ შემონახულს.

ჯერ კი აქ ფრენენ მერცხლები,უხარიათ და ფრენენ...
ვუცქერ და ვუცქერ ლამაზებს, ჩემიანებს და ჩემებს.

გაფრინდებიან ისინი, მზის ქვეყნებისკენ წავლენ,
ზამთარო, მოხვალ, სიზმრადაც
თბილ მერცხალს გამოავლენ;

ზამთარშიც დამესიზმრება მერცხლების
თლილი ფრენა,
იმ დილით ალბათ მოვა ცრემლი და აღმაფრენა.

მომენატრებით, მერცხლებო, ერთმა იჩქარეთ მაინც;
ერთი მერცხალიც მოიყვანს გაზაფხულსა და მაისს.

ეხლა წვიმს, თბილი წვიმაა,მოდის, რაღაცას ამბობს,
ზაფხული ჩუმად მიდის, გმადლობ, წვიმაო, გმადლობ,

ოღონდ გთხოვ, ჩემო წვიმა, სულ გეხვეწები ამას:
იწვიმე, ოღონდ ნურვის, ნურავის ავნებ რამეს.

როდესაც მოდის წვიმა,როცა ქალაქზე წვიმს,
ჩემი ასეთი თავის უფრო ნაკლებად მწყინს.

თითქო იმედით ივსება ეს გულ-ნატკენი გული,
მჯერა, რომ ისევ მოვა მერცხალი — გაზაფხული.

აკი დაფრენენ მერცხლები, წკრიალებენ და ფრენენ...
ვუცქერ და ვუცქერ ლამაზებს, ჩემიანებს და ჩემებს!

მწარე სიზმარი

ბევრი რამ არის საშინელი,
მაგრამ ადამიანზე საშინელი არაფერია!
Sophokles, Antigone, 332-333.

რამდენი ათას წელია,
კაცთა მოდგმა რომ არის,
ჰხმობენ, ლოცვენ და ელიან
იზისს... ქრისტეს... და არესს...

რამდენი ათას წელია,
დღით ნაგებს შლიან ღამით,
ცასა და მიწას წველიან,
კუჭს რომ აამონ რამით.

რამდენი ათას წელია,
შავი ხორხებით ყლაპვენ
ვარსკვლავდაფენილ ლელიანს,
მზის მოკამკამე ზღაპრებს.

რამდენი ათას წელია,
ცას შეჰყურებენ კაცნი,
ჰვედრენ და მერე წყევლიან
ყველას – მხსნელსა... და მაცილს.

რამდენი ათას წელია,
შობენ, კლავენ და შობენ,
სიცოცხლე არა გრძელია,
ჰოდა, უსმენენ შოპენს.

რამდენი ათას წელია,
კაცნი შობენ და კლავენ,
სიკეთის გამო სცხვენიათ,
ბოროტს ელტვიან. Amen.

რამდენი ათას წელია,
ყველა ერთმანეთს აცლის
ლუკმას კეთილს კი ელიან;
კაცნი არიან, კაცნი.

რამდენი ათას წელია,
მადლიან დღეთა ჯამებს
შლიან... ფიქრადაც ძნელია:
კაცნი თავისთავს ჭამენ.

ყველა ამ ათას წელიწადს
ჟამი უცქერის წყნარად;
ჟამი აღსასრულს შეიცავს
წმინდა აღსავლის კარად!

ნატვრა – ეკსპრომტი

როგორ მინდა დავწერო რამე მართლა ლამაზი
წამით მაინც გაოცდეს ცხრა ქალღმერთის პარნასი

რომ თეთრ ღრუბელს შევწვდე და
მთელი ვნებით ვაკოცო
დამინახოს ვიღაცამ, ცაში ქუდი ატყორცნოს

ამბობენ რომ ახლოა აღსასრული სამყაროს
მე კი ლექსს ვწერ და მინდა სიხარული გახაროთ

თუნდაც წამით გაგრძელდეს სილამაზე ყვავილთა
ისევ ფეთქდეს სიცოცხლე ვარდითაც და ყვავითაც

როგორ მინდა დავწერო რამე მართლა ლამაზი
მე ხომ მთელი ცხოვრება სულ ვოცნებობ ამაზე

რა დროს ლექსის წერაა მეუბნება ვიღაცა
მაგრამ ჩემ სიმამაცეს ისევ ვიღაც მილოცავს

სილამაზით სამყარო გაგრძელდეს და გადარჩეს
მაშინ მეც სხვა დროისთვის მოგიყვებით დანარჩენს!

ორხესტრა

ნ. ტ-ს.

ახლობელ წყვილთა რიგი დგას
შორი ედემის ორ ხესთან,
ორივ სურს ყველა ოხერს და...
არც მონდომება მობეზრდათ.

მე რა ვქნა? რა შემიძლია?..
ვინც მათგან დარდი ვიწვნიე,
არადა, ჩემი ღვიძლია
შენი ლამაზი სინათლე,
შენი ლამაზი სინათლე,
მე რომ შავ სიზმრებს მინათებს,
მე რა ვქნა? რა შემიძლია?
არადა, ჩემი ღვიძლია

ის წმინდა საკურთხეველი –
სახეზე სხივთა მთეველი;
მე კი რითმებიც მომბეზრდა...
და თვით სიცოცხლეც მომბეზრდა...
და უკრავს ძველი ორხესტრა,
შორს უკრავს ძველი ორხესტრა,
ძველი და სადა ორხესტრა...
Syneidesis–ორხესტრა...

ორხესტრას ცეცხლი ანათებს,
ბაკხოსის ბაგე მგონია,
ქარი ხვეტს ტრფობის ბარათებს,
ცეკვავენ, სული ჰქონიათ...
ცეკვავენ, გული ჰქონიათ...

უცებ ცეცხლიდან მომესმა:
ვინა გყავს პირველ ღმერთადა?
ცალკე ვართ, მაინც ერთად ვართ;
მიწვევ ლამაზი მენადა;
თირსოსებს ვაზი მოესხათ,
შენთვის სიცოცხლე მეწადა...
ერთად ვიქნებით ოდესღაც,
ერთად ვიქნებით ოდესღაც,
რადგან ჩვენია ორხესტრა,
ის ძველი, ძველი ორხესტრა,
ძველი და წმინდა ორხესტრა,
ძველი ბერძნების ორხესტრა!..

სიმართლე

ყველასთან თავი ვიმართლე,
ყავარზე ყინჩად სხედან,
მივდივარ, ცოდვებს მივათრევ...
მე სხვის სიმართლეს ვხედავ!

მზიას!

აღმოსავლეთით და
დასავლეთით
ერთი სიყვარულის კანონია:
ლ□უტეციაა თუ ხატაეთი,
ყველგან: **დე გრი□ო და მანონია!**

კეთილ-ბოროტია სიყვარული;
ყველა მისთვის მკვდარი ცოცხალია!
და მზე, ცად რომ უყვარს სიარული,
ჩემი შავ-წითელი მოცხარია.

მიწად მოლასლასე კაცთა მოდგმა
სულ იმის ცდაშია, რომ იფრინოს,
მე კი მსურს: ტრფიალი რომ ამოვთქვა
და ლექსმა მტევნები **მოიღვინოს.**

აკი ჩემი სულის **კეთილ** ბზარში
ჯერაც ცოცხალია სასოება
და ჭრელი დღეების შავი მარში
ბედს მიწერს **წითელი** ასოებით.

ყინულეთს გაალღობს **ამო ძალა,**
რომელიც არ ახსოვს აღარავის,
ძალა, მე რომ მომცა **ამორძალმა,**
ძალა, რომ **არის** და... ჩემთვის **არის**.

ამიტომ **ქალური** შეჩვენება,
რისგანაც დღესაც ვერ მოვრჩენილვარ,
ნუ მომკლავს; მე ზოგჯერ მეჩვენება:
უკვე ყველაფერი მორჩენილა.

ჩიტების აფეთქდა ჟრიამული,
ეჰა, გაზაფხულიც მეავაზა,
და ძგერს სევდიანი სიყვარული –
ჩემი წუთისოფლის **სილამაზე.**

ცხოვრების წესია: წყვილი, წყვილი,
ფრინველთა ფრენა კი კენტი არი,
მეყოს მე, რაც ქვეყნად ვისირცხვილე
გვირილა, **შავი და ეჭვიანი.**

მე მახსოვს: სოფელი რომ გვაბრუნვებს
და მახსოვს დღეები კარალეთის...
და მე გავაკეთე ჩემებურად!
და მე ჩემებურად გავაკეთე!

წმიდა ღამე

რამე ჩემი ლექსი მინდა,
გულს რომ ჯერ არ უწერია,
ისე ჩუმი, ისე წმინდა,
წინ რომ სუფთა ფურცელია.

უკვე მერამდენე ზამთარს
ვუფრთხი და მეიმედება,
შობისწინა დღეს და ავდარს
დაბადება მებედება.

ისევ მინდა ქვეყნად ყოფნა,
მაგრამ არა ასე მარტოდ,
მიყვარს ყოფნა მჯობნის მჯობნად
ლექსში და არ ისე ფართოდ.

ამ დეკემბრის ამ ათ რიცხვში
ოცდაოთხ რიცხვს შიშით ვფიქრობ,
მყავს მტრები და ამათ რიცხვში
სულ პირველი მე ვარ თვითონ.

ამიტომაც ველი შიშით
ვარსკვლაოსან წმიდა ღამეს,
მშველის, მაგრამ კიდეც მიშლის
რიცხვი – საკრალური რამე.

არის რაღაც შეუცნობი
ექვსჯერ ათი ათას წელში,
ჩემთვის მე ვარ ის უცნობი,
რომ ვერ ვარჩევ ჩემში, სხვებში.

ლექსი გამოვიდა ჩქარი,
ვინძლო გული უცვლელია,
მაგრამ ქნარი ჩემი არი
და წინ ჩემი ფურცელია!

გამომცემელი

ვაჟა წოწკოლაური

***ბოლო დროს გამომცემლობა „საუნჯე“ აქტიურად ჩაერთო ლიტერატურულ პროცესებში და მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა წიგნის ბაზარზე. მას მკვეთრად განსაზღვრული მიმართულება აქვს — თანამედროვე ქართულ ლიტერატურას გამოსცემს, ალბათ უკეთესი იქნება თუ ვიტყვით, ზრუნავსო, ვინაიდან თანამედროვე ავტორები შემოქმედებითი წინსვლისთვის, მეტი მუშაობისთვის, საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამომჟღავნებისა და მკითხველამდე მისვლისთვის კერძო თუ სახელმწიფო ინსტიტუციების მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ, ამ თვალსაზრისით „საუნჯე“ ნამდვილად გამორჩეულია. წიგნის ბაზარზე სწორედ მან შეავსო ფინანსურად ნაკლებადმომგებიანი თანამედროვე ქართული მწერლობის ნიშა, ძალზე ფართო სპექტრით წარმოადგინა ის, რაც დღეს იწერება და წიგნისმოყვარულ საზოგადოებას დიდი არჩევანი შესთავაზა.*

„ლიტერატურული გაზეთის“ ჟურნალისტი „საუნჯის“ დირექტორს, ვაჟა წოწკლაურს შეხვდა და საგამომცემლო პროცესსა და სამომავალო გეგმებზე ესაუბრა.

— „საუნჯემ“ ჩემი ყურადღება ბოლო ხანებში მიიქცია. თბილისის წიგნის XV საერთაშორისო ფესტივალზე თქვენი გამომცემლობის კუთხეს ვუტრიალებდი, წარმოდგენილი გამოცემების მრავალფეროვნებით დავინტერესდი, ვფიქრობდი, თურმე, რამდენი თანამედროვე ქართველი მწერალია, რომელიც მუშაობს, იღწვის, თუმცა მის შემოქმედებას ნაკლებად ვიცნობ-მეთქი. შემდეგ საქართველოს მწერალთა სახლში თქვენი გამომცემლობის მიერ ორგანიზებულ პრეზენტაციებს დავესწარი — ჯარჯი ფხოველის, ცირა ყურაშვილის კრებულებისა და ქართველი ქალი მწერლების ანთოლოგიის წარდგენას. გამომსვლელები სწორედ თქვენი საგამომცემლო პრიორიტეტის მნიშვნელობაზე საუბრობდნენ. რას გვეტყვით „საუნჯის“ ძირითად მიმართულებაზე, რამ განაპირობა თქვენი არჩევანი?

— წიგნთან ურთიერთობა ბავშვობიდან მომყვება. მახსოვს, უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში სხვადასხვა უცხოურ გამოცემას რომ ვნახავდი, გული მწყდებოდა, გავიფიქრებდი, თუკი სხვა ქვეყნებში შესაძლებელია ასეთი წიგნების გამოცემა, აქ რა გვიშლის ხელს-მეთქი. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ჩვენი გამოცემა მართლაც მშვენიერი იყო, ქართული წიგნის ზოგადი სახე, ვგულისხმობ გარეგნულ და პოლიგრაფიულ მხარეებს, მაინც უკეთესის ხილვის სურვილს გიტოვებდა. ერთი შეხედვით, თითქოს რთულად განსახორციელებელი იდეა არ არის, აკი ქართული ლიტერატურის სახით ფასდაუდებელი საუნჯის პატრონები ვართ, მაგრამ ამავე დროს, ამ საგანძურის პატრონობას, მოვლას დიდი ძალისხმევა სჭირდება. მოგეხსენებათ, ჩვენი ნიჭიერება მხოლოდ მწერლობაში არ ვლინდება, ყველა სფეროში შეიძლება ადამიანმა ახალ-ახალი მარგალიტი აღმოაჩინოს, რაც უფრო ღრმად ჩაჰყვები, მით უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ რა განძის მემკვიდრენი ვართ, მაგრამ ამავე დროს ხვდები, რომ თუ არ უპატრონებ, არ გამოამზეურებ, სხვებს არ უჩვენებ, ისე დაიკარგება, როგორც მიწაში დაფლული ბიბლიური „ტალანტი“.

სწორედ ამ მიზნით, ინტენსიურად ვთანამშრომლობთ თანამედროვე ქართველ ავტორებთან. მათი შემოქმედების წარმოჩენა პრიორიტეტად გავიხადეთ.

— მართლაც საშური საქმეა, თუმცა მეორე მხრივ, გამომცემლის წინაშე მუდამ დგას ამოცანა შემოქმედებითი პროცესი კომერციულ საქმიანობასთან წარმატებით შეათავსოს. თანამედროვე ქართული ლიტერატურის გამოცემა კი — ცხადია, არ ვგულისხმობ რამდენიმე უკვე აღიარებულ, ცნობილ ავტორებს — ფინანსურად მომგებიანი არჩევანი ნაკლებად არის. თქვენ ხომ ბევრი ისეთი მწერლის წიგნებსაც ბეჭდავთ, დღეს რომ ნაკლებად იცნობენ.

— არიან ავტორები, რომლებსაც საზოგადოება ჯერ არ იცნობს. მკითხველამდე მათ მიყვანას, მათი წიგნების დამკვიდრებას არც კი ვიცი, რა დრო შეიძლება დასჭირდეს. ცხადია, ბევრი ნაწარმოების გამოცემა კომერციული თვალსაზრისით მომგებიანი სრულებით არ არის, მაგრამ თუკი თხზულებას მხატვრული ღირებულება ნამდვილად გააჩნია, მის დაბეჭდვაზე უარს ვერ ვიტყვი. გასაგებია, რომ ახალსა და უცხოს არაფერს ვამბობ, საგამომცემლო საქმეში ასეთი პრაქტიკა არსებობს და ყველა გამომცემელი ცდილობს ახალი სახელები აღმოაჩინოს, გარკვეულ რისკზე წავიდეს, თუმცა კოლეგებისგან ჩვენ ალბათ ის განგვასხვავებს, რომ აქ ერთეულ შემთხვევებზე კი არ არის საუბარი, არამედ ზოგადად — მიდგომაზე.

„ თითოეული წიგნი შვილივითაა “

შესაძლოა ჩვენმა ამა თუ იმ ავტორმა დღეს სენსაცია ვერ მოახდინოს, მაგრამ მას დახმარება სჭირდება, რომ არ გაჩერდეს, ახალი წიგნის სამზადისი, უკეთესის შექმნის სურვილი, სტიმული ჰქონდეს. ეს წიგნები ქართულია, ჩემია და უკან ამიტომაც არ დავიხევ. სინამდვილეში მამოძრავებს სურვილი, რომ თანამედროვე ქართული მწერლობა ხელაღებით არავინ გააკრიტიკოს, სკეპტიკოსებს არ აეჭვებდეთ მისი მხატვრული ხარისხი და ზეგმოდან არ უყურებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ქართულია. მხოლოდ მე არ ვფიქრობ ასე, ჩვენს გამომცემლობაში პრიორიტეტზე ყველა ვთანხმდებით, არჩევანი ყველას გაცნობიერებული გვაქვს. თუმცა გავიმეორებ, რომ ყველა წიგნს, რომელსაც გამოვცემთ, თავისი ლიტერატურული ღირებულება გააჩნია, არ იფიქროთ, ტექსტს მხოლოდ იმიტომ ვბეჭდავდეთ, რომ ის ქართულია.

ამავე დროს, ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია ზრუნვა ენის სისუფთავეზე. მოგეხსენებათ, ქართული ენა მისთვის არაბუნებრივი, უცხო ფორმებით დღეს ძალიან არის დაბინძურებული. ხარისხიანი მხატვრული ლიტერატურის გამოცემა, ამ პრობლების წინააღმდეგ ბრძოლადაც შეიძლება ჩათვალოთ.

გეტყვით, რომ ხშირ შემთხვევაში ენთუზიამზეც ვმუშაობთ, მოგეხსენებათ, ყველაფერი თანხებთანაა დაკავშირებული, ამიტომ ხან გვიჭირს, ხანაც ზღვარზე ვართ ხოლმე. შეიძლება ვიღაც შემომედავოს, მითხრას, თუ წიგნს მოგება არ მოაქვს, რატომ ბეჭდავო, მაგრამ ქართულ ლიტერატურის მიმართ ამგვარი დამოკიდებულება არასწორად მიმაჩნია. ვფიქრობ, თანამედროვე მწერლობის განვითარება სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი უნდა იყოს, აქტიური თანამშრომლობა გამომცემლობასა და სახელმწიფოს შორის ამ მიმართულებით ძალზე წაადგებოდა ქართულ საქმეს.

— „საუნჯის“ პროდუქცია გამოირჩევა შედარებით დაბალი ფასით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია მომხმარებლისთვის.

— ვცდილობთ წიგნის თვითღირებულება მაქსიმალურად დაბალი იყოს, რათა მაღაზიის პროცენტული დანამატის მიუხედავად მისი ფასი მისაღები დარჩეს მყიდველისთვის. ხალხს, რომელსაც ლიტერატურა უყვარს, ხშირად სასურველი გამოცემის შეძენის საშუალება არ აქვს, ამიტომ თითო თეთრს ვითვლით, რომ წიგნი მაქსიმალურად დაბალი ფასით მივიდეს მკითხველამდე. ზოგჯერ ადამიანი მოსულა ჩვენთან და უთქვამს, მაღაზიაში ესა და ეს გამოცემა ვნახე და მინდა, თუ შესაძლებელია, თქვენთან შევიძინოო. აქ რომ ადამიანი წიგნისთვის მოვა, დამეთანხმებით, ასეთ მკითხველს წიგნი უნდა აჩუქო. ხშირად ასეც ვიქცევით, თუმცა გასაგები მიზეზების გამო, ამას ხშირად ვერ ვაკეთებთ.

— საინტერესოა თქვენი თანამშრომლობა ავტორებთან. როგორ პოულობთ მათ? რამდენადაც ვიცი, გარკვეულ ლიტერატურულ მიმართულებას მარიამ წიკლაური ხელმძღვანელობს, მას არაერთი შესანიშნავი კალმოსანი მოუყვანია თქვენამდე.

— ბევრი ადამიანია, რომელიც ჩვენთან თანამშრომლობს და ავტორებთან კომუნიკაციაში გვეხმარება. მაგალითად, მარიამ წიკლაურს, კატო ჯავახიშვილს, შოთა იათაშვილს თავიანთი ლიტერატურული მიმართულებები, თავიანთი ხედვა აქვთ, ისინი მათთვის საინტერესო ავტორებს, თემებს გვთავაზობენ, შემდეგ პროცესში უშუალოდ ვერთვები და საბოლოო გადაწყვეტილებას ვიღებ. მოგეხსენებათ, ისეთი ავტორებიც არიან, საუკეთესო რომ ჰგონიათ თავი, თუმცა რეალობა სულ სხვაგვარია. ასეთებს გამოცემის მომზადებაში, მის დაბეჭდვაში ვეხმარებით, ოღონდ მომსახურების საფასური თავად უნდა გადაიხადონ. ამგვარი შემოსავლები რომ არა, ძალიან გაგვიჭირდებოდა იმ ავტორთა ნაწარმოებების დაბეჭდვა, ვინც ნამდვილად ღირებულია. ასე ვცდილობთ ჩვენი საგამომცემლო საქმიანობა დავაბალანსოთ, გარკვეული შემოსავლები გამომცემელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სხვა, ნაკლებადკომერციული, თუმცა ფასეული ლიტერატურის დაბეჭდვა რომ შეეძლოს.

— რამდენად ზრუნავთ იმაზე, რომ თქვენი ავტორების შემოქმედება უცხოელ გამომცემლებამდე თუ მკითხველამდე მიიტანოთ? ამ მიმართულებით კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო საინტერესო პროექტებს ახორციელებს, ეწყობა ფორუმ-დიალოგები, შეხვედრები უცხოელ გამომცემლებთან, საქართველოს სტენდი წიგნის საერთაშორისო ბაზრობებზე ყოველწლიურადაა წარმოდგენილი. თქვენ რამდენად ხართ ჩართულები ამ ლიტერატურულ პროცესებში?

— რომ გითხრათ ამ მხრივ კარგი მდგომარეობა გვაქვს-თქო, არ ვიქნები მართალი. იმედია მომავალში გამოსწორდება საქმე. მაქსიმალურად ვცდილობთ, ყველას გავაცნოთ, მივაწოდოთ ჩვენი ავტორების ტექსტები, თუმცა წიგნის თარგმნას და უცხოურ ბაზარზე მის გატანას ფინანსები სჭირდება. იმედი გვაქვს, ეს პრობლემა სამომავლოდ მოგვარდება, კულტურის სამინისტროსთან თანამშრომლობა ინტენსიურ ხასიათს შეიძენს. ახლა სიტუაცია ასეთია — უამრავი რამ გვაქვს სათარგმნი, უცხოელი კოლეგებისთვის შესათავაზებელი, მაგრამ ჯერჯერობით ფინანსური მხარე გვაბრკოლებს. მეორე მხრივ, თუკი ამ მიმართულებით გარკვეულ ნაბიჯებს არ გადავდგამთ, მაშინ არაფერი შეიცვლება, ისევ ჩვენ ქვაბში მოვიხარშებით, შევაქებთ ქართულ მწერლობას, მაგრამ მსოფლიოსთვის ის უცნობი დარჩება.

— „საუნჯის“ ავტორებიდან თუ გეგულებათ ისეთები, ვისი ტექსტებიც უცხოელ გამომცემლებს დაინტერესებს?

— რა თქმა უნდა, თარგმნასა და ქვეყნის გარეთ გატანას არაერთი მხატვრული ტექსტი იმსახურებს. საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესებში ჩართვა თვით მწერლებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია.





ეს საუკეთესო მოტივაციაა მეტი შრომისთვის, შემოქმედებითი მუშაობისთვის.

ჩემთვის თითოეული ავტორი გასაფრთხილებელია, ყველას თავისი მიმართულება, სივრცე, ხელწერა გააჩნია. კონკრეტულად ვერავის დავასახელებ, იმიტომ კი არა, რომ ვიღაცას გული ეტკინება, უბრალოდ შეუძლებელია ამა თუ იმ მწერალზე ან წიგნზე თქვა, რომ ის ყველას ჯობს. თითოეულს თავისი ღირებულება აქვს.

— თქვენ საბავშვო მწერლებთანაც აქტიურად თანამშრომლობთ. პროექტი „ბიბა“ ამის დასტურია.

— ჩვენ ორიგინალურ საბავშვო ლიტერატურას ყველა ასაკობრივი კატეგორიისთვის გამოვცემთ. ამ მიმართულებით მართლაც ძალიან ბევრს ვმუშაობთ. ხშირად მსმენია საბავშვო მწერლისთვის რომ უკითხავთ, სერიოზულს არაფერს წერო? საბავშვო წიგნს ნაკლებსერიოზულ ლიტერატურად აღიქვამენ. არადა ურთულესი სამუშაოა.

ჩვენთან ბევრი კარგი წიგნი იწერება, ამიტომ შორს არ მივდივართ, უცხოენოვან ლიტერატურას არ ვთარგმნით. ცხადია ბავშვებისთვის უცხოელი ავტორების თხზულებათა გაცნობაც აუცილებელი და სასარგებლოა, მაგრამ ამაზე სხვა გამომცემლობები შესანიშნავად ზრუნავენ. მე კი მინდა ჩვენს შვილებს, ქართველი ავტორების დაწერილი საუკეთესო თანამედროვე ქართული საბავშვო ზღაპრები, მოთხრობები, ლექსები მივაწოდო, ახალ-ახალი გმირები გავაცნო, მინდა ჩვენ საუნჯეს ვაზიარო ისინი.

— „საუნჯის“ წიგნი ძალიან შთამბეჭდავი, გემოვნებით შესრულებული მხატვრობითა და დიზაინით არის გამორჩეული. ვგულისხმობ, როგორც საბავშვო, ასე უფროსებისთვის განკუთვნილ გამოცემებს.

— წიგნების გარეგნულ მხარეზე, დიზაინზე ორი ახალგაზდა, ნიკა ხვედელიძე და თეა აკობია ზრუნავენ. ასევე ვთანამშრომლობთ არაერთ ქართველ მხატვართან, თუმცა საბოლოოდ მე ვირჩევ, რომელი გარეკანი, რომელი ილუსტრაცია ჯობს. ამ მხრივ საკმაოდ პრეტენზიული ადამიანი ვარ და მინდა, რაკი ვაკეთებთ, უზადოდ შევასრულოთ ჩვენი სამუშაო. სხვაგვარი დამოკიდებულება ვერც მექნება, რადგან თითოეული წიგნი შვილივითაა.

— თქვენი, როგორც გამომცემლის ყურადღების არეალში ლიტერატურული კრიტიკაც მოექცა. მხედველობაში მაქვს როგორც ცალკე გამოცემები, ისე ჟურნალი „ახალი საუნჯე“, რომლის ძირითადი მიმართულება მგონი სწორედ კრიტიკული წერილებისა და რეცენზიების გამოქვეყნებაა.

— აქაც ყველაფერი ფინანსებთან არის დაკავშირებული. საქმე ისაა, რომ ერთი წიგნის გარდა, ნონა კუპრეიშვილის „სიტყვის დეგუსტაციას“ ვგულისხმობ, სხვა არაერთი ნაშრომი მინდა გამოვცე. ბევრი საინტერესო ლიტერატორი, კრიტიკოსი გვყავს. ამ დარგის განვითარება ხომ თვითონ მწერლობისთვისაა აუცილებელი. რაც შეეხება „ახალ საუნჯეს“, უკვე სამი ნომერი გამოვეცით, იმედი გვაქვს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით პროცესი არ შეფერხდება და ჩვენთან თანამშრომლობა ავტორებს შემდგომი მუშაობისთვის გარკვეულ სტიმულს, მოტივაციას მისცემს. გვინდა არეალი გავაფართოვოთ და ხელოვნების თითქმის ყველა დარგი მოვიცვათ. როგორც იცით, ჟურნალის რედაქტორი შოთა იათაშვილია. საკითხს ერთნაირად ვუყურებთ, სურვილი გვაქვს მკითხველს მხოლოდ ის კი არ მივაწოდოთ, რასაც მიჩვეულია და სხვა უამრავ პერიოდულ გამოცემაში ისედაც მიაგნებს, არამედ — რაღაც ახალი საკითხავი შევთავაზოთ, ისეთი, რომელსაც გაიზიარებს, ან უარყოფს, მაგრამ ღირებული იქნება თავისი ტექსტებითა და კონტექსტებით.

— წიგნის გამოცემის პროცესი თქვენთან, როგორც ვიცი, სრულად ხორციელდება.

— დიახ, „საუნჯე“ წიგნის მხოლოდ კომპიუტერული ვერსიის მომზადებას როდი გულისხმობს. ხშირ შემთხვევაში ტექსტების აკრეფით ვიწყებთ, გავივლით ყველა საგამომცემლო ეტაპს და წიგნს ჩვენსავე სტამბაში ვბეჭდავთ. ამის შემდეგ საქმეში გავრცელების სამსახური ერთვება. მართალია შესაბამის სააგენტოებთან ვთანამშრომლობთ, მაგრამ ძირითადად, ტირაჟს ჩვენ თვითონ ვარიგებთ მაღაზიებში. კვირაში ორჯერ კი გამომცემლობის თანამშრომელი დაივლის მაღაზიებს, ნახავს, სად რა გამოცემა აკლია და შეავსებს მას ახალი ეგზემპლარებით. ასე რომ, მუდმივად საქმის კურში ვართ, თუ რა ხდება წიგნის სამყაროში. ვისურვებდი და გისურვებდით, თანამედროვე ქართულ ლიტერატურას სულ უფრო მეტი მკითხველი და დამფასებელი ჰყავდეს.

ესაუბრა თამარ ჟურული

ანდრო ბუაჩიძე

„ლიტერატურული გაზეთის“ ანკეტა

1. 80-იან წლებში მწერლთა კავშირთან არსებულ მთავარ სარედაქციო კოლეგიაში ვმუშაობდი. ეს დაწესებულება დადიანის ქუჩაზე, განცალკევებით მდებარეობდა. მიუხედავად იქ მუშაობისა, მწერალთა კავშირის ხშირი სტუმარი არასდროს ვყოფილვარ. ახლა რომ ვფიქრობ, ეს, ცოტა არ იყოს, უცნაურად მეჩვენება. თუმცა რაღაც ახსნა ამასაც აქვს.

მწერალთა სასახლეს თავისი ინტერიერით, ვერასდროს აღვიქვამდი ჩვეულებრივ დაწესებულებად. კარგად ვიცოდი, რომ მწერლები აქ არა მარტო სადისკუსიოდ, არამედ თავიანთი პირადი საზრუნავის გამოც დადიოდნენ, მაგრამ ეს ფაქტორი სერიოზულად არასდროს აღმიქვამს. მწერალთა სასახლე გალაკტიონის და „ცისფერყანწელების“ ნავსაყუდელი იყო, ამიტომაც ჩემთვის ყოველგვარი უტილიტარიზმის მიღმა იდგა, განრიდებას კრძალვა მაიძულებდა. ვიცოდი, ეს იყო სულიერების ტაძარი, სადაც 1937 წელს სისხლიანი დრამა გათამაშდა – პაოლო იაშვილმა სანადირო თოფით მოიკლა თავი. გასროლა მწერალთა სასახლის მეორე სართულზე მაშინ მოხდა, როცა პირველზე მორიგი დამთრგუნველი სხდომა იმართებოდა. ტაძრის მდუმარებაში დამანგრეველმა პროტესტის ხმამ იჭექა. ამ გასროლამ მთელი ეპოქა შეძრა და სულ მცირე ხნით გამოიყვანა მწყობრიდან ძალადობრივი დამსჯელი მექანიზმი.

ბაბუაჩემი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი ანდრო ბუაჩიძე იქვე, მაჩაბლის 7-ში ცხოვრობდა. ის ოცდათვრამეტ წელს დააპატიმრეს (თვითონაც ოცდათვრამეტი წლის პროფესორი იყო). მცირე ხნის შემდეგ დაიჭირეს მისი მეუღლეც და უფროსი ვაჟიშვილიც (14 წლის ყმაწვილი), მამაჩემის ძმა. ჩემს წარმოდგენაში ეს ფაქტი – ერთი ოჯახის განადგურება – მწერალთა კავშირში გათამაშებულ დრამას და საერთოდ, მწერალთა რეპრესიებს შეუკავშირდა, რაც სრულებითაც არ არის გასაკვირი.

როცა ტიციან ტაბიძის ლექსებს ვკითხულობდი, მისი სიცოცხლის მძაფრ სიყვარულთან შერწყმული ტრაგიზმი ჩემზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

მწერალთა კავშირს პირველად სტუდენტობის წლებში ვეწვიე. იმ წლებიდან ერთი საღამო შემორჩა ჩემს მახსოვრობას. ეს იყო განხილვა ოთარ ჭილაძის რომანისა „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“. მთავარი მომხსენებელი გურამ ასათიანი გახლდათ და მან შთაგონების ისეთი ცეცხლი დაანთო, რომ ხალხმრავალი დარბაზი გარინდული უსმენდა. ეს იყო ბობოქარი, ღრმა პიროვნულობის ნიშნით აღბეჭდილი, უაღრესად თავისუფალი საუბარი არა მარტო კონკრეტულ ნაწარმოებზე, არამედ საერთოდ ლიტერატურაზე. მახსოვს, მაშინ ოტია პაჭკორიამ თქვა, ოცი წელია მწერალთა კავშირში დავდივარ და ასეთი ამომწურავი მოხსენება იშვიათად მომისმენიაო.

შეიძლება სახსენებლადაც არ ღირს, მაგრამ უკვე ოთხმოციან წლებში რამდენჯერმე მეც მომიწია მწერალთა კავშირში გამოსვლა. ახლაც ხშირად ვიხსენებ ჩემს დაუვიწყარ მეგობარ თენგიზ პატარაიას. მან გერმანულიდან შესანიშნავად თარგმნა რობერტ მუზილის მოთხრობების წიგნი „სამი ქალი“. ამ წიგნის განხილვა სასახლეში მოეწყო. თარგმანს ძალიან თავშეკავებულად აქებდნენ, აქცენტი უფრო შენიშვნებზე გაკეთდა. ეს ალბათ ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ შენიშვნები მაინდამაინც მართებული არ მომეჩვენა და ოპონენტებს შევეკამათე. თენგიზი თავის თარგმანში ქართულ დიალექტურ ლექსიკას იყენებდა, რამაც მისი ოპონენტების გაღიზიანება გამოიწვია. დღემდე ვფიქრობ, რომ ეს დიალექტური სიტყვები მუზილის ქართულ ვარიანტში ზედმიწევნით კარგად არის მორგებული კონტექსტს და მაშინაც ეს განვაცხადე...

მაგონდება ასევე ერთი არაჩვეულებრივი საღამო. გურამ რამიშვილის თაოსნობით, მისი წინასიტყვაობით და კომენტარებით მოსკოვში გამომცემლობა „პროგრესმა“ ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის თხზულებების კრებული გამოსცა. ეს, რა თქმა უნდა, ქართველი მეცნიერის დიდი წარმატება იყო. ენის ფილოსოფიის დარგში ის საბჭოთა კავშირში შეუდარებელი მკვლევარი გახლდათ, სხვაგვარად რუსეთი გზას არ მისცემდა. მწერალთა სასახლეში ამ წიგნის განხილვას უაღრესად რესპექტაბელური საზოგადოება დაესწრო. სიტყვები წარმოთქვეს ფილოსოფოსებმა ნიკო ჭავჭავაძემ და თამაზ ბუაჩიძემ, ისაუბრა თვითონ გურამ რამიშვილმაც და აშკარა იყო ერთი რამ: მწერალთა სასახლის ატმოსფეროში ფილოსოფოსების საუბარს მძაფრი შთაგონება ახლდა (ალბათ აუდიტორია განაწყობდა საამისოდ) და ეს თავისუფალი ბაასი გამჭვირვალედ აჩენდა მათი მიღწევების დონეს. საღამო მეტად შთამბეჭდავი გამოდგა, რაც ყველამ ერთხმად აღიარა...

ყოველივე ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ ათიანი და ოციანი წლების მწერლების და მოაზროვნეების გარდა (რომელთაც მე ვერ მოვესწარი) მწერალთა სასახლეს სამოციანელებიც სძენდნენ ღრმა მნიშვნელობას. დღეს ყოველივე ეს მხოლოდ სანატრელია.

2. როგორც ვიცი, მწერალთა სახლში მრავლად იმართება ლიტერატურული ღონისძიებები, რაც ძალზე კარგია, მაგრამ ჩემი აზრით, მთავარი მხოლოდ ორგანიზება არ არის. ყველაფერი თვითონ ლიტერატორთა მომზადების დონემ უნდა განსაზღვროს. მწერალთა სახლმა დღესაც და მომავალშიც ნებისმიერი ასაკის ყველა ნიჭიერ მწერალსა და მოაზროვნეს უნდა გაუღოს კარი. აქცენტი უნდა გაკეთდეს კეთილმოსურნე კრიტიკაზე. მხოლოდ სერიოზული, მიუკერძოებელი კრიტიკა აღმოფხვრის იმ ხარვეზებს, ასე რომ შეიმჩნევა ჩვენ თანამედროვე ლიტერატურაში. იმედია, მწერალთა სახლი და მისი სამეურვეო საბჭო ყოველივე ამას გაითვალისწინებს. ძნელია აქ რაიმე თქვა, ყველაფერს დრო გვაჩვენებს...

სიზმრად ვნახე

ბექა ქურხული

ორსართულიანი სახლი იყო. ჩვეულებრივი ორსართულიანი სახლი, რომელსაც მოაჯირები არ ჰქონდა. ძველი ხის კარი ჭრიალით იღებოდა და ჩაბნელებულ დერეფანში და ოთახებში შედიოდი. ოთახები ერთმანეთში გადიოდა. ღია ფანჯრებში თეთრი, ჭუჭყისგან ჩამუქებული ფარდები ფრიალებდა. ფერები მხოლოდ ახსოვდა იმ დროიდან, როდესაც ჯერ კიდევ ხედავდა. ბევრი ფერი დაავიწყდა, მაგრამ თეთრი, შავი და მკვეთრი ფერები ახსოვდა. როდესაც იხსენებდა ან ესიზმრებოდა, ამ ფერებს თითქოს შიგნიდან ვინმე ანათებდა.

სახლში ხან ვისთან ერთად იყო ხან — ვისთან, ზოგჯერ თავის ძმაკაცებთან ერთად აღმოჩნდებოდა იქ, ზოგჯერ ბიძაშვილთან, ზოგჯერ თავის შეყვარებულთან, ხან ვიღაც, სრულიად უცხო ტიპებთან. ერთხელ კამილო სენფუეგოსმაც შემოიარა კუბიდან თუ საიქიოდან. შავი ბერეტიდან თმა ჩამოშლოდა, გრძელი წვერი ჰქონდა და ხელში „თომპსონის“ ავტომატი ეჭირა. ჯეიმს ბრაუნთან ერთად მოვიდა. ჯეიმს ბრაუნი იცინოდა, იცინოდა, კვდებოდა სიცილით. შავ სახეზე თეთრი კბილები უკრიალებდა. როდესაც ჯეიმს ბრაუნი იცინოდა, მისი სიმღერა ‘It‘s a man‘s world“ ირთვებოდა. მაგრად უბერავდა. კამილო სენფუეგოსი არ იცინოდა. მაგარი ნაღვლიანი იყო. ეტყობა თვითმფრინავში რომ დაიწვა, იმიტომ. ერთი ეგ იყო, დროდადრო ავტომატს გადაიდებდა ხოლმე მხარზე და სევდიანად იყურებოდა ბერეტის ქვეშიდან. იარაღი კი მაინც ხოშიანად ეჭირა, ჩვენებურად, გამართულად და მარიაჟულად, როგორც სამხრეთელ ბიჭს და ლათინოსს შეეფერება და ეკადრება, მაგრამ სევდა და ნაღველი მაინც დიდი ედგა თვალებში.

ჩვეულებრივი სახლი იყო, ჩვეულებრივი ორსართულიანი სახლი. თითქოს ხო არაფერი, მაგრამ რაღაც მაინც ვერ იყო რიგზე ამ სახლის გარშემო. ყოველთვის ბნელოდა. ყოველთვის, რაღაცნაირი მურტალი, მრუმე ბინდი იყო ჩამოწოლილი და გამუდმებული სიჩუმე. არაფერი, ჩამიჩუმიც კი არ ისმოდა. თეთრი ჭუჭყიანი ფარდებიც კი სრულიად უხმაუროდ ფრიალებდნენ შავ, უკუნ სიბნელეში. იმის მიუხედავად, რომ განუწყვეტლივ ფრიალებდნენ, ერთხელაც არ გატყლაშუნებულან. შრიალიც კი არ ისმოდა.

არა, არც სატანა, ლუციფერი და ბელზებელი გამოჩენილა. არც ერთხელ. უკუნეთის თავადს, ქვესკნელის მეუფეს და დაცემულ ანგელოზს ვინ ჩივის, აზაზელოსაც კი არ შემოუვლია, კოჭლობით არ ამოჩლახუნებულა კიბეზე და წითური თავი არ შემოუყვია კარში, რომ სახლის ბინადართათვის თავისი განთქმული ყვითელი ღოჯი ეჩვენებინა. არც იარაღის ხმარების მასტერკლასი ჩაუტარებია, ბალიშის უკან ამოდებული აგურის შვიდიანით. არა, არც ერთხელ. ფუი ეშმაკს და არული კუდიანებს, მაგრამ ხომ არ მოუგონებ, მაგას რაღა დაბრალება უნდა, თავისი ჰყოფნის.

არა, მაგრამ რაღაცნაირი მძიმე სახლი იყო. რამდენჯერაც დაესიზმრა, იმდენჯერვე ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ აქ ცხადშიც ნამყოფი იყო. რომ იღვიძებდა, მერე იხსენებდა, მართლა ყოფილა თუ არა იქ. ხან რომელ სახლს ამსგავსებდა, ხან რომელს. ჩვეულებრივი სახლი კი იყო, მაგრამ არც ერთს ჰგავდა. ვერც ემსგავსებოდა, იმიტომ, რომ არარსებული სახლი იყო. ყოველ შემთხვევაში, აქ არ არსებობდა. იქ კი, სადაც იყო, ნამდვილად იდგა თავისი უმოაჯირო ქვის კიბით, შიფერით გადახურული, ერთმანეთში გამავალი ოთახებით და აფრიალებული თეთრი, ჭუჭყიანი ფარდებით — უკუნ, მრუმე, ცუდ სიბნელეში რომ შრიალებდა.

იღვიძებდა და მერე დიდხანს ფიქრობდა – რატომ ესიზმრებოდა მაინცდამაინც ეს სახლი. ერთი და იგივე ადგილი, სიტუაცია და ადამიანები ხშირად დასიზმრებია, მაგრამ ისინი აბსოლუტურად რეალური, ცხადშიც არსებული ადგილები და ადამიანები იყვნენ. იხსენებდა, სად შეიძლებოდა ენახა, როდის შეიძლება მოხვედრილიყო ამ სახლში. წამის მეასედში თითქოს აფიქსირებდა კიდევაც: „აი აქ, ამ დროს, აი ეს“... მაგრამ იმ წამსვე ქრებოდა ყველაფერი, სახლი თავის ადგილას ბრუნდებოდა და კვლავ დამცინავი სიცარიელე რჩებოდა.

იხსენებდა, წრიალებდა, იტანჯებოდა. გამწარებული ცდილობდა, ზუსტად და დეტალურად აღედგინა ყველაფერი. ცდილობდა, მისწვდენოდა იმ დროს, როდესაც უკეთესად ხედავდა და ჯერ კიდევ არ ჰქონდა თვალებში ჩამდგარი ეს მტანჯველი და მოუშორებელი სიბნელე. ღამის ფიზიკურად მისწვდენოდა, ორივე ხელით ეპოტინებოდა, მაგრამ ვერა, ეს შეუძლებელი იყო. იმისთვის, რომ ჭკუაზე არ შემცდარიყო და არ გაგიჟებულიყო, ერთადერთი გამოსავალი რჩებოდა, უნდა დაეჯერებინა, საბოლოოდ უნდა დაერწმუნებინა თავი, რომ ეს სახლი აქ, დედამიწაზე, არ იდგა. არსად არსებობდა და მხოლოდ იქ იყო, სადაც მას ხედავდა. იქ, ერთადერთ ადგილას, სადაც მას კვლავ შეეძლო, თვალხილული ყოფილიყო და დაენახა ყველაფერი, თვით უმცირესი დეტალიც კი, რასაც აქ ვერასდროს ახერხებდა. მაშინაც კი, როდესაც ჯერ კიდევ ხედავდა.

ოთახებს, რომლებიც ერთმანეთში გადიოდა, ხის ფიცრული იატაკი ჰქონდა. ის ოდესღაც წითლად შეეღებათ და ახლა ყავისფერი დასდებოდა. კედლები უცნაურად გამომშრალი, ხმელი, თითქოს ცხელი და მხურვალეც კი იყო. ამის მიუხედავად, ჭერთან, ოთხივე კუთხეში, ნესტის ნაკვალევი, დიდი, უცნაური ფორმის, მიხვეულ-მოხვეული ლაქები ჩანდა, რომლებიც, კედლების და ჭერის სიმხურვალისგან გამომხმარი და ალაგ-ალაგ დახსნილი, დაბზარული იყო.

ბნელ ეზოში შავი ხეები ილანდებოდნენ. მეზობლად მდგარი სახლებიც ჩანდნენ, მაგრამ სახლები ხშირად იცვლიდნენ ადგილს. ხან სად იდგნენ, ხან — სად. მეტიც, დროდადრო საერთოდ ქრებოდნენ და მერე ისევ ჩნდებოდნენ, როგორც მოეპრიანებოდათ, ან იმას როგორც მოუნდებოდა, ვინც აქაურობას განაგებდა. სახლები, თვითონ ეს სახლი, მხურვალე კედლები, უკუნი სიბნელე, უმოაჯირო კიბე, ფანჯარაში გაფრიალებული თეთრი, ჭუჭყიანი ფარდები, კუთხეებში დალაქავებული, ლაქებით უცნაურად მოხაზული, რუკებით მოხატული ჭერი, ერთმანეთში გამავალი ოთახები ან თავის ნებაზე იყვნენ და თვითონ რასაც უნდოდათ, იმას აკეთებდნენ, იმას მასპინძლობდნენ, იმათ აჩენდნენ და აქრობდნენ ან აქაურობას სხვა მართავდა ან სხვები მართავდნენ, ან, ან...

სინამდვილეში რა ხდებოდა — ვინ? ერთი თუ რამდენიმე? თუ არცერთი? თუ არავინ? — ამ კითხვებზე პასუხი, იმის მიუხედავად, რომ სიზმარი ყოველთვის ჯიუტად მეორდებოდა, თავისი სახლით და მისი დროებით ბინადრებით, გამქრალი და ისევ საიდანღაც აღმოცენებული სამეზობლო კარ-მიდამოებით, სიბნელით, შავი, შავტოტებიანი ხეებით და საშიში იდუმალებით, არასოდეს ჩანდა. პასუხი კითხვებზე, ყოველთვის სიბნელის – როგორც ყველაზე მტკიცე და საიმედო საფარველის — მიღმა რჩებოდა.

რატომ ეს სახლი?.. ჩვეულებრივი შიფერით გადახურული ორსართულიანი სახლი, ქვის უმოაჯირო კიბით და ერთმანეთში გამავალი, გაფიცხებული ოთახებით, თეთრი ჭუჭყიანი აფრიალებული ფარდებით... და რატომ იყო ეს სახლი ასეთი საშიში? სად იყო ჩასაფრებული საფრთხე? და თუ საშიშის და სახიფათოს წარმოჩენა უნდოდა თუ უნდოდათ, რატომ სახლი? ყოველთვის სახლი და არა სასაფლაო, მკვდრები, მორგი, მიტოვებული ეკლესია, ჯოჯოხეთი, ვულკანი, მიწისძვრა, ტორნადო, შტორმი, მეტეორი, კომეტა, ასტეროიდი, ან თუნდაც ყველაზე შემზარავი, დახურული სივრცე, ან კარგი, გალაქული, შავად გაპრიალებული კუბო თეთრი, გაქათქათებული, კარგად, გულდასმით და სინდისიერად გაუთოებული სუდარით და მარმაშებიანი და ფურფუშელებიანი, პატარა, თითქოს სათამაშო ასევე თეთრი ბალიშით? კარგი ვარდისფერი იყოს ჰა. . . რას გადაეკიდნენ ამ სახლს? თუ სახლი გადაეკიდა? თუ თავად გადაეკიდა იმ სახლს? რა იყო ეს — გაფრთხილება, მუქარა, თუ იქნებ ნუგეში იყო...

რა ჩემი ფეხები უნდა გაიგო კაცმა?!

სიზმარი განუწყვეტლივ ბრუნდებოდა, თითქოს რაღაც პერიოდულობითაც კი, რასაც, რა თქმა უნდა, ვერ იმახსოვრებდა. შეიძლება რაღაც კანონზომიერებაც იყო ამაში, თუ დროის და პერიოდულობის არა, მაშინ სხვა გაცილებით უფრო იდუმალი რამის. მეორდებოდა და ბრუნდებოდა, როგორც დედამიწა იწებებს დროდადრო უცხო კოსმიურ სხეულს, ახლოს მოუშვებს, მერე შორს გასტყორცნის ერთი 39 წლით, მერე ისევ უახლოვდება, მერე 74 წლით მოისვრის, მერე ისევ მერე 150 წლით გაჰკრავს სადღაც, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ იშორებს, ვერ იცილებს, როგორც ავსტრალიელი აბორიგენი თავის ბუმერანგს, ვიდრე ბოლოს ამ ბებერ დედამიწას სულელ გოგრაში არ გაადენს ხოლმე ეგ რაღაც კოსმიური სხეულის რაკვანს, რომ კინკრიხოდან კარგა დიდ სიმაღლეზე ბდღვირი აადინოს და მაგითი მთავრდება.

ან მთავრდება, ან — არა. ამბობენ, ეგეთი რამ უკვე მომხდარაო მექსიკის ყურეში. იუკატანის ნახევარკუნძულზე. სხვაგანაც. მეცნიერები ამბობენ.

არ სჯეროდა მეცნიერების. კიდევ უფრო მეტად არ სჯეროდა წარსულის. იუკატანი კი არა, იმასაც კი ვეღარ იჯერებდა, რომ ოდესმე ხედავდა. სინამდვილეში მხოლოდ დღევანდელი დღე არსებობდა. აწმყო. დღეს. დღეს კი ვერ ხედავდა. ოდნავადაც, სინათლის ნამცეცსაც კი. მხოლოდ სიზმარში. ამიტომ სიზმრის სჯეროდა და აწმყოსი. დღევანდელი დღის. უფრო სწორად, დღევანდელი ღამის, რადგან სიბნელეში დღეც ღამეა.

აბსოლუტურ სიბნელეში დრო ჩერდება და აღარ იძვრის. ამიტომ სიტყვები – წარსული, მომავალი — უკვე დიდი ხანია, მხოლოდ გაურკვეველი, ლამაზი, პოეტური მეტაფორა და ფილოსოფიური ცნება იყო მისთვის და მეტი არაფერი. მხოლოდ დღევანდელ დღეს, ამ დილით შეიძლება, ახალგაღვიძებული ხელების ცეცებით წამოდგე ნელა, ფრთხილად და ნაბიჯ-ნაბიჯ გაიკვლიო ტუალეტისკენ გზა.

დროდადრო სრული შეგრძნება ჰქონდა, რომ მოკვდა. მოკვდა და ჯოჯოხეთში მოხვდა. საქმე კი გაცილებით უფრო უარესად იყო. ნებისმიერი ყოფითი რამ — საწოლიდან წამოდგომა, კბილების გახეხვა, საჭმლის ჭამა, წყლის დალევა — წარმოუდგენელ ტანჯვას აყენებდა. ფიზიკურად იმდენად არა — თავისი სახლის ყოველი კუნჭული ზეპირად ისწავლა, ხელის შევლებაც კი აღარ სჭირდებოდა. ყველა შეგრძნება და რეფლექსი ათმაგად ჰქონდა გამძაფრებული. არა მარტო სმენა და ყნოსვა, არამედ კანის მგრძნობელობაც კი. ხუმრობდა კიდეც – მგონი, თვალები თითებზე გამომივიდაო. ნებისმიერი მოძრაობა და მდგომარეობა აწუხებდა — საწოლში წოლა, სახლში ყოფნა, ხმაური, სიჩუმე, ქუჩაში გასვლა, ადამიანები, მარტოობა. სულიერი ტკივილი ფიზიკურ ტკივილში გადადიოდა. ცდილობდა, რაღაც წესები და რეჟიმი შეემუშავებინა, რომ ფორმაში ყოფილიყო, გარკვეული საქმეებით და მოვალეობებით მაინც დაეცვა თავი საკუთარი თავისგან. ცდილობდა, რაღაცები გახარებოდა, თუნდაც ის, რომ დილით სწრაფად დგებოდა საწოლიდან, აკეთებდა იმას, რასაც ყოველი ადამიანი აკეთებს, ჰქონდა ყოფითი საზრუნავი, ინტერესდებოდა გარემოთი, გარშემომყოფებით, იმით, რაც გარშემო ხდებოდა. მისი ყოველი, დიდი თუ პატარა, საქმე, საზრუნავი თუ პრობლემა, ყველა ის თვისება და ჩვევა, რომელიც ამ წლებში გამოიმუშავა, არსებობისთვის ბრძოლა იყო. ამას ყველაზე უკეთესად თავადვე გრძნობდა. გრძნობდა, რომ ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ამ ბარიკადებს თავის საშველად აგებდა და რომ ეს ყველაფერი, საბოლოო ჯამში, მაინც ხელოვნური იყო თუნდაც იმიტომ, რომ ბუნებრივი ბარიკადები არ არსებობს. და უცებ ეს ყველაფერი საშინლად ბეზრდებოდა და სიკვდილამდე ეზარებოდა — რომ უნდა ადგე, ჩაიცვა, ხელ-პირი დაიბანო, თავი მოიწესრიგო, ისაუზმო, გაისეირნო. იყო ამ ნაძალადევ ყოველდღიურობაში რაღაც საშინლად შეურაცხმყოფელი. გამწარებული ფიქრობდა: „არა, აღარ მინდა. დავიღალე, მორჩა, აღარ მინდა ეს თავის გადარჩენა და ამისთვის რაღაცების მოგონება, რაღაც იდიოტური ძალისხმევა, ნებისყოფა და ეგეთი სიტყვების ბრახუნი იმისთვის, რომ კიდევ ორი დღე ვისუნთქო. როდემდე უნდა ვებღაუჭო — დანის პირივით ალესილი ცხოვრების კედელზე თითების და ფრჩხილების დასისხლიანებამდე? აღარ მინდა, მორჩა. მერე იწყებოდა „სულიერი ძლიერება“ — „ძლიერი“, „სუსტი“... ათასი ერთმანეთზე უფრო უაზრო და სულელური მაგალითის მოყვანა. „ეე, წადი თქვენი ბითური დედაც!.. აღარ მინდა! დავამთავრე! წავაგე! მორჩა!..“

და იწვა მერე მთელი დღე გაუნძრევლად და ამ დროს უჩნდებოდა ყველაზე საშინელი, მურტალი კითხვა: „რას ნიშნავს ეს გადარჩენა? რატომ იბრძვის კაცობრიობა, ადამ და ევადან მოყოლებული, ყველა — უსინათლო, თვალხილული, მუნჯი, ყბედი, ჭკვიანი, სულელი, ლოგინად ჩავარდნილი თუ ფეხმარდი — თავის გადასარჩენად და რატომ უნდა გადაირჩინო თავი? რატომ უნდა იბრძოლო, იფიქრო, იომო, იზრუნო, იდარდო, აშენო, აჩინო, აკეთო, ანგრიო, წააგო, შექმნა ამისთვის და რა?.. და იქნებ სწორედ ამისთვის შექმნა და იწამა ადამიანმა ღმერთი, ისევე, როგორც ღმერთმა ადამიანი, თავის გადასარჩენად?“

იწვა მერე, აღარ დგებოდა. ცამდე მარ-

თალი იყო. იწვა, ცდილობდა, დაეძინა, ძილშიც კი ეშინოდა გაღვიძების. ნახულობდა სიზმრებს, ელოდა ორსართულიან, შიფერით გადახურულ სახლს, მაგრამ სახლი ყოველთვის მოულოდნელად მოდიოდა, როდესაც თავად მიიჩნევდა საჭიროდ მაშინ. ან სულაც შემთხვევით. მისი ნება იყო.

იწვა და იტანჯებოდა. და ის, რომ ცამდე მართალი იყო, ოდნავაც ვერ ეხმარებოდა. რატომღაც უმოქმედობა მაინც გაცილებით უფრო მტანჯველი იყო, ვიდრე ის ნაძალადევი, მტკივნეული და უაზრო, ყოველდღიური, ყოფითი საზარუნავი. ბოლოსდაბოლოს, როდესაც ურჩხული მოგდევს, ნებისმიერ შემთხვევაში, სჯობს, გაიქცე, სადამდეც გაექცევი, ვიდრე ასე უძრავად დახვდე, ფელამუშის ნაჭერივით.

ცოტა ხანს კიდევ ელოდა სახლს. იცოდა, რომ ტყუილად ელოდა, მაგრამ იწვა და ელოდა. ამ ბოლო დროს უკვე ისე ელოდა სიზმრის სახლში წასვლას, როგორც სახელმწიფო სამსახურით გადაღლილი მოქალაქე ეშურება ხოლმე ზაფხულში შვებულების აღებას და აგარაკზე ასვლას დასასვენებლად და სულის მოსათქმელად.

და არა მხოლოდ იმიტომ, რომ იქ თვალი ეხილებოდა და ყველაფერს ხედავდა, არც იმიტომ, რომ ცუდი სახლი იყო, საშიში და ყოველ წამს შეიძლებოდა, რამე მომხდარიყო. როცა რამე ხდება, თუნდაც საშიში და საშინელი, თვით ამის მოლოდინიც კი გაცილებით უკეთესია, ვიდრე როდესაც არაფერი ხდება და ამ აფთარივით პირდაღებული არარაობის წინაშე დგახარ, ხელებჩამოყრილი და განიარაღებული. მთავარი ის იყო, რომ გრძნობდა, იმ სახლში რაღაც ხდებოდა, რაღაც ძალიან საინტერესო და ერთ მშვენიერ და საშინელ ღამეს ყველაფერი გაცხადდებოდა, ან მთავარი მასპინძლები დახვდებოდნენ, ან პირიქით — სტუმრად მოვიდოდნენ ან თავად სახლი ეტყოდა და აჩვენებდა რამეს... რამე ისეთს — მთავარს!

აბა, ასე ტყუილად სახლები სიზმრებში არ დაიარებიან. ეგ ზუსტად იცოდა. შემთხვევით შეიძლება ერთხელ შემოხეტებულიყო, ორჯერ... მერე უკვე შარია. და სწორედ ეს შარი იყო, რასაც ელოდა და რაც აძლებინებდა. ხვდებოდა, რომ იქ რაღაც ისეთი ხდებოდა, მნიშვნელოვანი. ან იქნებ სამუდამოდ დასახლებულიყო კიდეც ამ სახლში. ვინ იცის, სინამდვილეში სად არის სიზმარი? აქ თუ იქ? ვინ დაადგენს? ცხადი მაინც იქ არის, სადაც ხედავ... მაინც ძალიან უჭირდა. ადგომა ყველაზე უფრო მეტად, მერე ნელ-ნელა, ნელ-ნელა იმართებოდა, მაგრამ პირველი ნაბიჯი მაინც საშინელება იყო. ყველაზე მტანჯველი და მტკივნეული, როგორც აღესილ სამართებელზე გაიარო ფეხშიშველმა.

საკუთარი გამოცდილებით იცოდა, რომ სჯობდა, წამომდგარიყო, როგორმე გაეძლო და თუ სახლიდან გაღწევის ძალაც ეყოფოდა, მთლად უკეთესი, იმიტომ, რომ თუ საწოლში დარჩებოდა, დღის ბოლომდე გარეკავდა და მერე, მბორგავი, ოფლში გახვითქული და ნერვებდაწყვეტილი ერთადერთ ნუგეშად ძილს, როგორც სიკვდილს, ისე დაელოდებოდა...

წყალი გადაივლო და შედარებით უკეთ იგრძნო თავი, მისთვის წინასწარ გამზადებული თეთრეული და ტანსაცმელი ნახა და ჩაიცვა. ვერასოდეს იტანდა უსუფთაოდ და უგემოვნოდ ჩაცმულ ადამიანებს. ჩაცმა მაგრად უყვარდა, განსაკუთრებით ფეხსაცმელების. ახლაც კი ხელის თითებით ამოწმებდა ფეხსაცმელს და თითქმის არასდროს ცდებოდა. შავი სათვალე გაიკეთა. ხელჯოხი აიღო და სახლშივე გაშალა. ძალიან კარგი ხელჯოხი იყო, ლამაზი, მოკლე და ძალიან კარგი. რომ გაშლიდი, ორ მეტრზე იშლებოდა, რაც გამოცდილი და უსინათლობას მიჩვეული ადამიანისთვის სრულიად საკმარისი იყო. ერთადერთი, რასაც ვერ შეეგუა, ხელჯოხის მონოტონური და გულისგამაწვრილებელი კაკუნი იყო. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს პირდაპირ მის ნერვებზე უკრავდნენ და თავიდან ლამის ღრიალი დაიწყო. მერე თანდათან მიეჩვია. ისიც დაამხეცა, რომ ჯოხი ტროტუარიდან, ასფალტიდან ან მიწიდან ოდნავ მაღლა დაეჭირა და მხოლოდ დროდადრო მოესინჯა წინ სივრცე...

ეს ხელჯოხი და კაკუნი ბავშვობისას წაკითხულ „განძის კუნძულს“ ახსენებდა, ბებერი ბრმა მეკობრე პიუ, დამეტკილ ბარათს რომ მიუტანს თავის კაპიტან ბილი ბონსს და ის კიდევ დაღუნული მეზღვაურული კორტიკით გამოუხტება, მაგრამ მოქნევის დროს სასტუმროს აბრას წამოსდებს და ბებერი ოხერი პიუ გადარჩება, გაასწრებს.

ეღიმებოდა, მაგრამ ეს მოგონება მაინც დიდხანს ვერ მიჰყვებოდა, ვერ ართობდა.

‘რას ვიფიქრებდი, რომ ბავშვობაში მეც ბებერი მეკობრე პიუსავით ვივლიდი, თან ისე, რომ დამეტკილ ბარათსაც არავინ გამატანდა ბილი ბონსთან – შენი კაპიტნობა დამთავრდაო. არავინ იცის, წინ რა ელოდება და ვერც ვერასდროს გაიგებს, სიცოცხლეც ხომ სწორედ მაგით მთავრდება, შეუცნობელში წასვლით, საიდანაც ჯერ ამბავი არავის მოუტანია და არც შენ იცი, წინ რა გელის – განსაწმენდელი, საზვერეები, ანგელოზები, ეშმაკები, კუპრის მდინარე, სადაც მხოლოდ ერთი ბეწვის ხიდია, თუ კარგად მოიქცევი და ბევრ სიკეთეს ჩაიდენ, შენი სული გამსუბუქდება და გახვალ კუპრის მდინარეზე, თუ ცოდვებით ხარ დამძიმებული, ჩავარდები.

საშინელი, ადუღებული, კუპრის მდინარე, რომელიც თავის შავ-წითელი ცეცხლისგან დახეთქილ ტალღებს მოაგორებს და უბედურ ცოდვილებს აბრუნებს თავის ალმოდებული ზვირთებით. კუპრის მდინარის მთელი კალაპოტი ცოდვილების მოთქმაგოდებით არის აზრილებული...

კუპრის მდინარე და ზედ ბეწვის ხიდი. რა სიკეთე უნდა გქონდეს ეგეთი ჩადენილი, ბეწვის ხიდმა რომ გაგიძლოს? ან კიდევ კუპრის მდინარეზე და ბეწვის ხიდზე გაცილებით უარესი. არაფერი რომ დაგხვდეს. სიცარიელე. შავი, ბნელი სიცარიელე, ზუსტად ისეთივე, საიდანაც მოხვედი... ხო ეგრევე მოგენატრება ბეწვის ხიდი...

„არავინ იცის, წინ რა ელოდება“...

ამაზე ყოველთვის თავისი შვილის ნათქვამი ახსენდებოდა, რომელიც ახლა სტოკჰოლმში სწავლობს და ძალიან დიდი ხანია, არ უნახავს.

მაშინ კი შვიდი წლის გამხდარი, აწოწილი ბიჭი იყო. რაღაც მაგარი სათამაშო მოუტანა. ბიჭმა ძალიან გაიხარა, მაგრამ მერე მოიწყინა და თქვა: „კაცს როცა რაიმე სასიხარულო შეემთხვა, უნდა გაუხარდეს, თორემ ვინ იცის, წინ რა სახიფათო ამბები მოელოდებაო“...

სახლიდან გასვლისას კარს არასდროს კეტავდა. საშინელება იყო ხელის ცეცებით გასაღების საკეტში მორტყმა. ახლაც უბრალოდ გამოიხურა რკინის თეთრი კარი და კიბეზე დაეშვა. აქ კი უწევდა ხელჯოხის კაკუნი. მისი სახლის კიბე იყო, ზეპირად იცოდა, მაგრამ მაინც დიდი სიფრთხილე სჭირდებოდა. ერთი-ორჯერ მაინც წამოჰკრავდა ხოლმე ფეხს, ან ჩაუცდებოდა ვერაგულად ჩატეხილ საფეხურზე. ყველაზე მეტად ამ დროს მეზობლებთან შეხვედრას ვერ იტანდა, გამოქანდებოდნენ, ამოსდებდნენ იდაყვში ხელს და დაფაცურდებოდნენ. სიკეთით მოსდიოდათ, აბა, რა, მაგრამ მაინც ძალიან ძნელი იყო.

შუა გაზაფხული იდგა, აპრილი. როგორც იქნა, დათბა. ეზოს ბავშვების ყიჟინა იკლებდა: „დედაა, ხუთთეთრიანი ჩამომიგდე, დედაა!.. პასი, ეი, პასი ძმურად, აუ, შენ ვინა ხარ რაა!.. მამა, არ ჰქონდაააათ!.. გოოლ!.. შეიძლება, კიდევ ვიყიდო ნაყინიი! არ იყო გოლიიი... არაა! ყელი გაგიცივდებაა! მთელი ზამთარი იწექი! რა არ იყო ბიჭოოო!.. დედაა!..

უცებ თავბრუ დაეხვა. ხმები, გაზაფხულის სუნი, მზე, რომელსაც მთელი სხეულით გრძნობდა და ისრუტავდა. იგრძნო, მთვრალივით როგორ აერია ფეხი. საუკუნე იყო, აღარ დაულევია, უკვე დიდი ხნის დავიწყებული ჰქონდა სიმთვრალის შეგრძნება და ახლა ყველაფერი დატრიალდა. წელში გაიმართა, თავი ასწია და ოდნავ ფეხარეული საკაიფო რწევა-რწევით წავიდა, როგორც ადრე თავის ბიჭობაში დადიოდა, ღვინით მთვრალი...

მანქანის მუხრუჭის ჭრიალი გაისმა!

— გადადი რა დროზე, ტო!

— წადი ერთი, შენი დედაც!..

— რაა?..

— ვერ გაიგე? გაგიმეორო? — შავი სათვალე შეაბრუნა იქით, საიდანაც ხმა მოდიოდა.

მძღოლმა მხოლოდ ახლაღა შეამჩნია და ხმის ამოუღებლად დაძრა მანქანა.

მიდიოდა წელში გამართული, თავაწეული და ფეხარეული — შავი სათვალით და ხელში თეთრი, ლამაზი ხელჯოხით. ეკლესიის ჭიშკარი მოწყალების სათხოვნელად გამოსული ადამიანების ხმით იცნო, მიხვდა, რომ მოვიდა. პირჯვარი გადაიწერა. ჯიბიდან სპეციალურად მათთვის შენახული ბლომად თეთრი ფული ამოიღო და გაშლილი ხელისგულით გაუწოდა.

— თქვენ თითონ აიღეთ, ვისაც რამდენი გინდათ და გჭირდებათ.

და როდესაც იგრძნო, რომ უკანასკნელი ხურდაც აიღეს მისი ხელისგულიდან, ხმებს, რომლებიც მადლობას უხდიდნენ და ლოცავდნენ, ცალყბად, კეთილად გაუღიმა და თეთრი ხელჯოხის კაკუნით განაგრძო გზა.

ბებერი მეკობრე პიუსავით...

ორსართულიანი ჩვეულებრივი სახლი კი იქ იდგა, სადაც იდგა — ქვის კიბით, უმოაჯიროდ, შიფერით გადახურული, ხის წითლად შეღებილი და ახლა გაყავისფერებული იატაკით, ერთმანეთში გამავალი ოთახებით, გამშრალი, გახურებული კედლებით და ფანჯრებიდან შავ, მურტალ სიბნელეში გაფრიალებული თეთრი, ჭუჭყიანი ფარდებით.

ფანჯარასთან კი თვითონ იდგა ჯიბეში ხელებჩაწყობილი და უყურებდა მანქანების ზრიალში, ერთმანეთში არეულ, გამწარებულ და გადარეულ ხალხში, გამონაბოლქვის სუნით და ბუღით ამომხრჩვალ ქუჩაში მიმავალ საკუთარ თავს. როგორ მიირწეოდა წელგამართული და თავაწეული, შავი სათვალით და ხელში თეთრი ხელჯოხით. როგორ მიიკვლევდა ამდენ უცნობ და უცნაურ ხალხში გზას ისე, რომ ვერავის და ვერაფერს ხედავდა.

ფანჯარასთან იდგა, ჯიბეში ხელებჩაწყობილი, უყურებდა და ელოდა.

ე, მართლა, ნეტავი მაგ ორსართულიანი სახლის პირველ სართულზე რა ხდება? ჯერ იქ არავინ ჩასულა. არც ერთხელ. და არც თვითონ გამოჩენილა...

გიორგი ლობჟანიძე

ჩემი ფანჯრებიდან

დასასრული

ერთი კია, მუცლიდანვე რაღაც სასწაულით გადავრჩენილვარ და ამასთანავე ამცდენია ორი უხერხული სახელი — სერაფიონი, დედაჩემის მამისა, და უფრო კი, ერასტი, მამაჩემის მამისა, რომლის დარქმევასაც, რომ არა წმინდა გიორგის ნება, თურმე სერიოზულად მიპირებდნენ.

ირმას კი ჩემს მეხსიერებაში უკავშირდება კიდევ ერთი მისტიკური ამბავი, რომელიც რაკიღა ოლიკა ქადაგის ამბებისაგან განსხვავებით, შესანიშნავად მახსოვს, ჩემზე დღემდე პირვანდელი სიცხადით მოქმედებს.

რახან მაშინ მე სკოლაში ჯერ არ დავდიოდი, ესე იგი, ირმა იყო დაახლოებით მეშვიდე კლასში, უცნაური ხილვები რომ დაეწყო. ჯერ თავიდან მშობლებს არ უმხელდა, მერე კი, როცა თავსდატეხილმა უცნაურობამ ძალიან შეაწუხა, რა თქმა უნდა, დედას უთხრა, რომ საღამოობით ან გამთენიისას, ვიღაც შავებში ჩაცმული კაცი ეცხადებოდა და დავალებებს აძლევდა. დედაჩემი მორწმუნე იყო, მაგრამ თავიდან, ეტყობა, ეს ყველაფერი ირმას ფანტაზიას მიაწერა. დროთა განმავლობაში კი ჩემს დას სერიოზული შიში რომ შენიშნა, დაუჯერეს, დასვეს და ყველაფერი მოაყოლეს.

ირმამ თქვა, რომ მაღალი, წამოსასხამში გახვეული უცნობი კაცი ყველასაგან უჩუმრად მოდის და აშინებს.

ატყდა ერთი ალიაქოთი. ჯერ ეგონათ, ვიღაც ჩვენი სოფლელი ავაზაკი აშინებდა. დაუდარაჯდნენ, მაგრამ ვერაფერი რომ ვერ გააწყვეს, დაიწყეს ექიმბაშებსა და მკითხავებში, უფრო სწორად, მლოცველებში სიარული.

შორს წასვლა არ დასჭირვებიათ. მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო მამაჩემის დედა, ოლიკა ბაბო, რომელმაც უებარი შელოცვა იცოდა.

ჰოდა, დააწვინეს ეს ირმა და ოლიკა ბაბომ კოჭობი გადმოაბრუნა.

ვინც არ იცის, რა არის კოჭობის გადმობრუნება, იმისთვის ალბათ საინტერესო იქნება ამ რიტუალის საგანგებო აღწერა: შეპყრობილს ან შეშინებულს მლოცველი ტახტზე დააწვენს, გულზე ან თავთან წყლით სავსე ხის ვარცლს დაადებს და გარეშემო შემოვლას იწყებს. თან ჭინჭარს სცემს წყალს და ფერად-ფერად მაგიურ შელოცვას ბუტბუტებს.

არ ვიცი, ჭინჭრის ცემით თუ არ ვიცი, შელოცვის ძალით, ცივი წყალი თანდათან ხურდება, დუღილს იწყებს და ჰაერში ორთქლად იფანტება. ჩემი თვალით რომ არ მქონდეს ნანახი, ვერ დავიჯერებდი, მაგრამ სწორედ ასე მოხდა მაშინ და ამ ამბავმა ჩემზე შემარყევლად იმოქმედა. მთელი ვარცლი წყალი ერთ საათში აორთქლდა. ბაბოს სახლიდან წამოსულებს ეჭვი აღარ გვეპარებოდა, რომ ირმა სრულებით განიკურნა და ის „სტუმარიც“ მართლა კარგახანს არ გამოჩენილა, სანამ ერთ დღესაც დილით სამზარეულოდან ირმას განწირული ღრიალი არ შემოგვესმა.

სამზარეულო ეზოში გვედგა. სახლიდან სასწრაფოდ ჩავცვივდით ქვემოთ და სამზარეულოში ირმა დავინახეთ, რომელიც იდგა და დაფეთებული თვალებს ატრიალებდა, ხელში კი რაღაც შავი ნაჭერი ეჭირა. მერე ჰყვებოდა: ისევ მოვიდა ის კაცი, მე თავიდან ძალიან შემეშინდა, მაგრამ ძალა მოვიკრიფე და სახიდან ნაჭერი ჩამოვგლიჯე, რომ დამენახა. ის კი უეცრად გაქრა და ხელში ეს შავი ნაჭერი შემომრჩაო.

ის ნაჭერი ბაბოჩემის რჩევითა და ლოცვით დაწვეს და ჩემს დას იმის მერე ფრჩხილიც აღარ წამოსტკენია. ხალისიანი, ჩახჩახა, ცხოვრებისა და სიყვარულის ნდობით აღსავსე ადამიანი დადგა, რომელმაც სწორედ ამ ნდობისა და სიყვარულის გამო იმდენი რამ გადაიტანა ხორცშესხმული ადამიანებისაგან მერე, რომ ალბათ ყმაწვილობის დროინდელი ხილვები იმასთან შედარებით ახლა აღარაფრად ეჩვენება.

მაკა ლომაძე

არც ისე ზღაპრული ამბავი

ეძღვნება ყველა აბიტურიენტს

ერთი პატარა ქალაქის ერთი პატარა უბნის ერთ პატარა ქუჩაზე ერთი პატარა სკოლა იდგა. ეს სკოლა სხვებისგან თითქოს არაფრით გამოირჩეოდა, მაგრამ მაინც რაღაცით განსხვავდებოდა და ამ განსხვავებულობას ის ქმნიდა, რომ დიდი და ძალიან ლამაზი იყო. ჰო, კიდევ ერთი და, იქნებ, მთავარი რამ – ამ სასწავლო დაწესებულებას ჰყავდა მეტად საინტერესო, თავისუფალი და კრეატიული დირექტორი, რომელიც მუდამ ცდილობდა, ყოველი დღე გაეფერადებინა მოსწავლეებისათვის და არცერთი ჰგვანებოდა მეორეს, სძულდა შტამპები და დოგმები და არასოდეს ყოფილა სპარტანული და ავტორიტარული აღზრდის მეთოდების მომხრე. ამიტომაც, ყველას განსაკუთრებულად უყვარდა, არავის ეშინოდა მისი, თუმცა, ყველა მოწიწებითა და პატივისცემით ეპყრობოდა.

ერთხელ, ბავშვების დაჟინებული თხოვნით, ბატონმა მ.ნ-მ გადაწყვიტა, თითოეული მასწავლებლისთვის განსაკუთრებული დავალება მიეცა. მათ საკუთარ საგანში მორიგი გაკვეთილის ახსნის მაგივრად, უნდა გაეცათ პასუხი კითხვაზე: რა არის სიყვარული, და საერთოდ, არსებობს თუ არა იგი?

გაკვეთილები, ბუნებრივია, მაღალ კლასებში ჩატარდა. პირველი, ვისაც ამ დილემის გადაწყვეტა ხვდა წილად, გეოგრაფიის მასწავლებელი იყო.

— გულიკო მასწ, თქვენი აზრით, არსებობს სიყვარული, რომელიც მთელი ცხოვრება ძლებს? – შეეკითხა კლასის ყველაზე გაბედული და აქტიური მოსწავლე.

— ნამდვილად, ჩემო კარგო. სიყვარული ეს ისეთი რამ არის, რომელსაც არც გრძედი გააჩნია და არც განედი, არც ტემპერატურას ექვემდებარება, არც ჰავას და არც ნაციონალობას. მოკლედ, სხვაა სიყვარულის გეოგრაფია და მას საზღვრები არ გააჩნია. მას კი, რასაც სივრცე არ ზღუდავს, ვერც დრო შემოფარგლავს და მუდამ იარსებებს, ისე, როგორც თავად დედამიწა და სამყარო. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებაში ბევრი დაბრკოლებაა, მე მჯერა, რომ ნამდვილი სიყვარული წლებს გაუძლებს და მაინც გადარჩება. მანამ, სანამ ეს ორი ადამიანი, როგორც ერთი მთელი, ამ ქვეყანაზე დაიარება, დაე, თქვენც გეპოვოთ ის თქვენი მეორე პოლუსი!

შემდეგი ბავშვებთან ფიზიკის პედაგოგი შევიდა.

— თამრიკო მასწ, მაინც რა არის სიყვარული? – იკითხა გიომ დიდი ინტერესით.

— ამ ამოცანას მთელი მსოფლიოს მეცნიერები ეჭიდებიან, ჩემო ძვირფასებო, და მაინც ვერ ამოხსნეს. ეს, ალბათ, უფრო მეტაფიზიკაა, ვიდრე ფიზიკა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, რაღაც არამატერიალური, სულიერი და ამაღლებული. ამიტომაცაა, რომ სიყვარულს ვერ ხედავენ, არამედ განიცდიან.

— და თქვენ ბედნიერი ხართ? განგიცდიათ ასეთი რამ?

— ბედნიერება ფარდობითია, მაგრამ ვფიქრობ, სიყვარული თუ ნამდვილია, ყველასთან ერთნაირად მოდის. იქ უკვე აღარ ისმება კითხვა – მიყვარს თუ არა? სიყვარულს არ ახასიათებს ეჭვები, იცი, რომ ის ერთადერთია და მხოლოდ მასთან გინდა იცხოვრო და სხვასთან არავისთან. ალბათ, შემეკამათებით – აკი არ არისო კონკრეტული? უცნაურია, არა? მაგრამ ეს მეტაფიზიკური განცდები ერთ კონკრეტულ ფიზიკასთან მიმართებაში გვეუფლება და ალბათ, ამიტომაც არის, რომ მხოლოდ იმ ადამიანთან გვსურს, გავიზიაროთ ეს ღვთაებრივი გრძნობა და არა სხვა რომელიმესთან.

ახლა ჯერი ქიმიის მასწავლებელზე მიდგა.

— როგორც ვიცი, ახლა უნდა დამისვათ კითხვა, არსებობს თუ არა სიყვარული. მე მეცნიერი ვარ და თუ ამას წმინდა პრაგმატული კუთხით მივუდგებით, არ არსებობს, ვინაიდან ჩვენ ყველაფერს ცდისა და დაკვირვების შედეგად ვადგენთ და ასე კი აშკარაა, რომ ისეთი სახის ნივთიერება, როგორიცაა სიყვარული, ბუნებაში არ მოიპოვება. მაგრამ, რაოდენ უბადრუკი, ღარიბი და სწორხაზოვანი იქნებოდა ადამიანი, მას რომ მხოლოდ ხილული სწამდეს. მართალია, ის მენდელეევის ცხრილზე არ მოიძევება, მაგრამ მერე რა? თქვენ გგონიათ, მე ჩარჩოში ჩასმული მეცნიერი ვარ? არა, დღეს უნდა დავარღვიო თქვენი სტერეოტიპი. როგორ, ეს საბჭოთა დრო როდია, როცა ნებისმიერი რწმენა ცოდვა იყო. დიახაც, არსებობს სამყარო, რომელსაც თვალით ვერ აღვიქვამთ, მაგრამ შევიგრძნობთ. აბა, კომუნისტებისთვის რომ დაგეჯერებინათ, არც ღმერთი იყო და არც სიცოცხლე სიკვდილის მერე. მთავარი იყო, „მოგეჭამა“ ეს ცხოვრება, მოგესწრო და უკაცრავად და შეგეთქვლიფა. კაცს ყველაფრის უფლება ჰქონდა, ქრთამი ჩვეულებრივი რამ იყო, ერთი სიტყვით, უღმერთობა სუფევდა. დიახ, ბავშვებო, არსებობს სიყვარული და მას ხშირად, გაგეცინებათ და, ქიმიასაც კი ადარებენ – ერთმანეთის მიმართ ქიმია გაუჩნდათო. ეს არის ის ნივთიერება, რომელიც აღმოჩენილი არ არის, მაგრამ რომელსაც ვერცერთი ოქრო და სპილენძი ვერ შეედრება – ის ყველა ძვირფას ქვასა და მეტალზე უძვირფასესია, მეტიც – შეუფასებელი.

ბავშვები კმაყოფილნი დარჩნენ ამ ახსნით. ბევრი კითხვა გაუჩნდათ, თუმცა არაფერი უკითხავთ. განსაკუთრებით გოგონებს მოეწონათ ეს „შეუფასებელი“, რომანტიზმმა ერთი-ორად იელვა და საამოდ აუციმციმდათ ლოყები, შეეფაკლათ ატმის ყვავილისფერი ღაწვები თავად ყვავილებს.

ახლა ისტორიის მასწავლებლის ჯერი მოსულიყო.

— დღეს, ალბათ იცით, ძალიან საინტერესო თემაზე ვსაუბრობთ და ეს ყველა ბავშვს განსაკუთრებით გვახარებს. თქვენ რას გვეტყვით, მიშა მასწ? – ვეღარ მოითმინა თიკომ, რომელსაც ეს საგანი განსაკუთრებულად უყვარდა.

— სიყვარულს იმდენი ისტორია აქვს, რამდენიც წყვილია და რამდენიც ადამიანია. სიყვარულის ისტორია ღვთის მიერ იწერება და ამიტომაც, არავის აქვს არავის გაკიცხვის უფლება. სიყვარულის სახელით ყველაფერი გამართლებულია. ეს გრძნობა კაცობრიობის ისტორიის ასაკისაა, არქაულია, არ ექვემდებარება არც მოდას, არც ეპოქას და არც ქვეყანას – ის მარად იყო და იქნება, უკვდავია, როგორც თავად ღმერთი.

მერე ბიოლოგიის რიგი დადგა.

— ციცო მასწ, რა არის სიყვარული?

— რაკი ასეთი პოეტური თემა გვაქვს დღეს, მეც პოეტურ ხასიათზე დავდექი. სიყვარული მარადუჭკნობი ყვავილია. მას არ სჭირდება განსაკუთრებული ნიადაგი და წყალი, ის მაინც აღმოცენდება ხოლმე. და ეს იმიტომ, რომ სიყვარული გულებში აღმოცენდება, მსგავსი გული მსგავსს მიელტვის, მონათესავე სულები არიან და ამიტომ. დაბადების მერე კი გაფრთხილება ნამდვილად უნდა, რომ მსახვრალმა ქარმა არ წაიღოს.

შემედეგ ჯერი მათემატიკაზე მიდგა.

—მაინც, რა არის, ლეილა მასწ, სიყვარული? ან არსებობს კი ის?

— ნამდვილად არსებობს, ჩემო კარგო. ჩვენ, მართალია, ლოგიკური ხალხი ვართ და მათემატიკა ზუსტი მეცნიერებაა, მაგრამ არა მგონია, ეს სიყვარულში გვიშლიდეს ხელს. მთავარია, თქვენი ციფრებისადმი სიყვარული მერკანტილურ სიხარბედ არ იქცეს და ფული არ გახდეს თქვენთვის მთავარი ცხოვრებაში. სიყვარული ნაკლებად ემორჩილება ლოგიკასო, ალბათ, გიკვირთ ეს არა? როცა შემიყვარდა, კარგად მივხვდი ამას მეც კი – მათემატიკოსი ქალი. თუმც, მე მაინც მოგიწოდებთ, არ იჩქაროთ, რადგან ბოლომდე გონისგან დაცლილი სიყვარული დიდხანს არ ძლებს. თუ ნაზ გრძნობას გონიერებაც ერთვის, ის გაცილებით ხანგრძლივად იცოცხლებს. სიყვარული ისეთი რამაა, რასაც ვერ შეეხები და ყველაფერი ხელშეუხებელი კი ღმერთის თანაზიარია. ნამდვილ სიყვარულს გისურვებთ, ჩემო პატარა მეგობრებო.

ასტრომონიის ჯერიც მოვიდა.

— ო, ეს მართლაც ასტრონომიული გრძნობაა, ყველაზე დიდი გრძნობა, რაც არსებობს. სიყვარულის ფორმულებით გამოხატვა მხოლოდ ერთ გენიალურ ქართულ ფილმში მოხერხდა და ამ იდეის ავტორებიც „შერეკილებად“ მონათლეს. სიყვარულის ასტრონომია კი ისაა, რომ ის ვერტიკალურია და თანაც, ბრუნვადი. ისე, თავად დედამიწას სიყვარულის პლანეტას უწოდებენ, რადგანაც ჩვენი მთავარი არსი სიყვარულია. ეს ფართო გაგებით, ისე კი მართლა ამ ღერძის გარშემო ბრუნავს ჩვენი კაცობრიობა და მრავალი ომისა და სტიქიური უბედურების მიუხედავად, ის მაინც ბრუნავს. დაე, იბრუნოს, დაე, გვიყვარდეს მუდამ. შეყვარებულ ადამიანებს კი ციური მნათობები გამსაკუთრებულად იზიდავს და ათრობს, მთვარე ხომ მუდამ იყო მიჯნურთა მთავარი მესაიდუმლე.

ბოლოს ქართულის მასწავლებელს ჰკითხეს აზრი.

— „სიყვარული აგვამაღლებს – ვით ეჟვანნი, ამას ჟღერენ!“ ბრძანა დიდმა შოთამ. „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე“ – გაეპასუხა გალაკტიონი. არაჩვეულებრივი ნათქვამია: „სიყვარულო, ძალსა შენსა, ვინ არს, რომე არ ჰმონებდეს?“ რადგან მისი მონობა სასიამოვნოც კია, თუმც, ზოგნი ცალხმრივად იტანჯებიან და ეს დიდი ტკივილია, მაგრამ მაინც დიდი სიხარული. რომ არა მისი უდიდებულესობა, არ იქნებოდა არც ესოდენ შესანიშნავი პოეზია და ლიტერატურა, არც უნატიფესი ხელოვნება. არც სილამაზეს ექნებოდა ფასი. აკი, ასე გვითხრა პოეზიის მეფემ: „უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზეო“. სრულიად ულამაზო ადამიანიც კი შეიძლება დაამშვენოს ამ დიადმა გრძნობამ, რადგან სილამაზე მაინც სულის მდგომარეობა უფროა, ვიდრე სხეულისა. გისურვებთ, მარად შეყვარებულები ყოფილიყავით, რადგან ეს ის შარბათია, რომელსაც ერთხელ რომ დალევ, მისი გემო არასოდეს დაგავიწყდება. ბედნიერ სიყვარულს გისურვებთ, ახალგაზრდებო, რომ ხემ ჯანსაღი ნაყოფი მოისხას და გალაღდეს ერი, დამშვენდეს საქართველო თქვენი სილამაზით.

აი, ასე ჩაიარა თითქოს ერთმა ჩვეულებრივმა დღემ, მაგრამ ეს დღე დაუვიწყარი აღმოჩნდა ბავშვებისათვის. მათმა შთაბეჭდილებებმა ასახვა ჰპოვა ბევრი მათგანის დღიურში, ზოგმა კი სურათებიც გადაიღო. თავი ნამდვილ ჟურნალისტებად იგრძნეს. მათ პირველად შეძლეს, ყველა მასწავლებლისგან ჩაეწერათ ინტერვიუ ყველაზე ზოგადსაკაცობრიო თემაზე. ვინ იცის, იქნებ, რომელიმე მომავალი ჟურნალისტიც იყო? ბევრი შეყვარებულიც ერია მათ შორის, რომლებსაც სხვებზე უკეთ ესმოდა ამ სიტყვების მნიშვნელობა, რამდენიმემ კი მტკიცედ გადაწყვიტა, დამამთავრებელ ბანკეტზე აუცილებლად აეხსნა სიყვარული თანაკლასელი გოგონასათვის და აღარ განეგრძო ამ დიდი გრძნობის მალულად გულში ტარება. თითქოს, კიდევ უფრო თბილები, კეთილშობილები და ლამაზები გახდნენ ამ დღის მერე, თუმც, ისედაც მალე იწყებოდა მათი ცხოვრების გაზაფხული – სულ მალე ბოლო ზარი დაირეკებოდა და სტუდენტობის ლამაზ ბილიკებს გაუყვებოდნენ...

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 6 სექტემბერს.

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com